ილია ჭავჭავაძე

წერილები ლიტერატურაზე

პუბლიცისტური წერილები

ილია ჭავჭავაძე

წერილები ლიტერატურაზე

პუბლიცისტური წერილები



„ნაკადული“
თბილისი
1987

83 3Гр 1+85·1
ჭ·152

ამ წიგნს ილიას დაბადების 150 წლის საიუბილეოდ სთავაზობს გამომცემლობა „ნაკადული“ ყმაწვილებს. გასაგებია, რომ ილიას ფენომენის სრულყოფილი შემეცნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიდი მამულიშვილის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ნააზრევს. ილიას მემკვიდრეობიდან ამ წიგნისათვის საგანგებოდ შევარჩიეთ წერილები, სადაც გამოიკვეთა დიდი მამულიშვილის შეხედულებანი ლიტერატურის რაობის, მისი დანიშნულებისა და ფუნქციის, მწერლის მისიის, კრიტიკის რაობის შესახებ, სადაც განისაზღვრა XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების ტენდენციები. ამასთანავე ყურადღება გავამახვილეთ იმ პუბლიცისტურ წერილებზე, რომლებშიც მთელი სისრულით გამოიკვეთა ილიას მოქალაქეობრივი მრწამსი, მისი მებრძოლი შემართება, მძაფრი სიტყვა ჩვენი ქვეყნის ღირსების, ჩვენი ხალხის ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად გარეშე თუ შინაური მტრებისგან.

შემდგენელი ლადო მინაშვილი

© „ნაკადული“, 1987

И $\frac{61005 — }{М 603—08—87}$ 147 87

წინათქმა

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა მოიცავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა უბანს. ქვეყნის საზრუნავით შეპყრობილი დიდი მამულიშვილის ინტერესები ჩვენი ხალხისათვის ასე თუ ისე მნიშვნელოვან ყველა მოვლენას წვდებოდა.

ილია ჭავჭავაძის მდიდარ და შემოუსაზღვრელ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებსა და გამოსვლებს.

ილია ჭავჭავაძის მოქალაქეობრივი და ლიტერატურული მრწამსი 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა გარკვეულ საფუძვლებს ემყარებოდა და სავსებით გააზრებული იყო მწერლის მიერ. 60-იანი წლებიდანვე გამოამჟღავნა მან ფართო თეორიული ინტერესები. ილია ჭავჭავაძე იმთავითვე მოევლინა ქართველ საზოგადოებას, როგორც დიდად ერუდირებული ლიტერატორი, რომელიც იდგა მოწინავე ევროპული და რუსული ლიტერატურული აზროვნების სიმაღლეზე, თამამად უსწორებდა თვალს კლასიკურ ესთეტიკურ მემკვიდრეობას და ქართველი მოაზროვნის თვალთახედვით ირჩევდა, აფასებდა და ავითარებდა გარკვეულ შეხედულებებს. ილია ჭავჭავაძის მსჯელობა, მისეული შეფასება ყოველთვის მაღალპროფესიულ დონეზე დგას, რამდენადაც მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებულ მოსაზრებებსა და დაკვირვებებს გვთავაზობს იგი.

მაინც რა აქცია ილიამ თავისი დაკვირვებისა და განსჯის ობიექტად, ყურადღების გამახვილება რა ლიტერატურულ მოვლენებსა და ფაქტებზე ჩათვალა მან საჭიროდ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ლიტერატურის თვალსაზრისით, რაში მდგომარეობს მისი როგორც მოაზროვნის დამსახურება?

ერთობ მნიშვნელოვანია, რომ XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ ჩვენს სინამდვილეში პირველმა მოიყვანა სისტემაში და ქართველ საზოგადოებას მიაწოდა ჩამოყალიბებული, თავიდან ბოლომდე გარკვეულ ამოცანასთან შეფარდებული ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები. ილიას მემკვიდრეობაში მთელი სისრულით დაისვა საკითხები ხელოვნების რაობის, მისი დანიშნულებისა და ფუნქციის, მწერლის მისიის, ხელოვნებისა და ყოფის ურთიერთდამოკიდებულების, შემოქმედებითი პროცესების და საზოგადოდ მხატვრული აზროვნების სპეციფიკისა, თარგმანისა და ა. შ.

ილია ჭავჭავაძე კრიტიკის რაობისა და ქართულ სინამდვილეში მისი ამოცანების საკითხსაც შეეხო. ამ მხრივაც ფასდაუდებელია მისი დაკვირვებების მნიშვნელობა.

ილია ჭავჭავაძემ ფაქტიურად პირველმა ჩვენს სინამდვილეში გაგვითვალისწინა XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. მან ქართული მწერლობის უმთავრესი წარმომადგენლებიც დაახასიათა და ამ მხრივაც სახელმძღვანელო მოსაზრებები გამოთქვა.

ოცდასამი წლისა იყო ილია ჭავჭავაძე, როცა თავისი პირველი გახმაურებული კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილი"-ს თარგმნაზედა" გამოაქვეყნა. კოზლოვის „შეშლილის" ქართულად გადმოთარგმნის ფაქტი მხოლოდ საბაბი იყო ილიასათვის საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად. აქაც და შემდეგაც ოპონენტებისადმი გაცემულ პასუხში, თუ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ" ილია ჭავჭავაძემ პრინციპულად წამოაყენა რეალისტური ლიტერატურის საჭიროების საკითხი. ილიამ დაგმო ჩვენს სინამდვილეში სენტიმენტალური ხასიათის ნაწარმოებების გადმოთარგმნის ფაქტი. სენტიმენტალური ლიტერატურა, ილიას აზრით, იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი არსებობდა, არ წარმოადგენდა დიდ ღირებულებას, მით უმეტეს, არ იყო იგი საჭირო ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველები ვიყავით, რამდენადაც სენტიმენტალურ ლიტერატურაში ფაქტიურად იგნორირებული იყო სოციალური პრობლემატიკა, ხოლო ამგვარი პრობლემატიკით ლიტერატურის გამსჭვალვას ილია არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილია ჭავჭავაძე თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამოხატვისას ეროვნული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა.

ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, ცხოვრების საჭიროებისაგან წარმოიქმნება და ცხოვრებითვეა განსაზღვრული, მაგრამ ძალზედ ხშირად ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანურ ან ცხოვრების მოთხოვნილების ყალბ გაგებასთან. მართალია, ყოველი ნაღვაწი ადამიანისა, მათ შორის ხელოვნების ნაწარმოები, ადამიანური მოთხოვნის პასუხია, მაგრამ ყოველთვის არ არის საზოგადოებრივი ღირებულების მოთხოვნის პასუხი. ხელოვნება მაშინ არის ღირსი განსაკუთრებული საზოგადოებრივი ყურადღებისა, როცა იგი განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ღირებულებას პასუხობს, როცა იგი ამ საზოგადოების მომავლისთვისაა მოწოდებული და მის სასიცოცხლო ამოცანებს ეხება. ამდენად, ილიას აზრით, ლიტერატურა, ხელოვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მოწინავე, როცა იგი საერთო საზოგადოებრივ სატკივარს, საერთო ეროვნულ სატკივარს ცხადად გვაგრძნობინებს, როცა თავის მასალას ცხოვრების სინამდვილიდან აიღებს და საზოგადოებრივი ყოფით განისაზღვრება.

ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ფართოდ შეეხო ხელოვნებისა და ლიტერატურის არსისა და დანიშნულების საკითხს და განაცხადა, რომ ლიტერატურის უმთავრესი დანიშნულებაა არა „მეტისმეტად დამჟავებული ხიყვარულის გამო" ქება-დიდება და

ყურის დატკბობა, არამედ დაუნდობლად გამოფენა „ცხოვრების ჭუჭყისა“. მცდარია აზრი, რომლის თანახმად, ნაკლის დაფარვაა პატრიოტობა, „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარი წადილი გასწორებისა“.

ილია ჭავჭავაძე თავის პირველსავე წერილში შეეხო მხატვრული ნაწარმოების ეროვნულობის საკითხს. ილიას აზრით, მწერალი უნდა ჩაწვდეს თავისი ერის თავისებურებებს, განასახიეროს პერსონაჟთა ეროვნული თვისებები, სხვაგვარად აზრი არ ექნება ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთა დახატვას, ნაწარმოების ამა თუ იმ ენაზე შექმნას.

ეროვნულობის საკითხს ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო მწვავედ მიუბრუნდა დიდი მოქალაქეობრივი პათოსით ავსებულ სტატიაში „ზოგიერთი რამ“. ილია ჭავჭავაძემ მიიჩნია, რომ მწერლობა ერის სულიერი მისწრაფებების, მისი საერთო ეროვნული ნიშნების საერთო ეროვნულ ენაზე გამოხატვას უნდა ესწრაფოდეს და ამას მით უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის ცალკეული კუთხეების წარმომადგენლებს ქვეყნის „პოლიტიკური ბედის ტრიალის“ გამო საერთო საქვეყნო სატკივარზე საფიქრელი დაშრეტიათ, განთითოებულან და ერთმანეთისათვის ზურგი შეუქცევიათ. საერთო ეროვნულის ძიება, იმ „საერთო ნიშნის“, საერთო იდეალების დანახვა და ასახვა, „საითკენაც თვითოეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად ხალისიანად და შეუპოვრად“, უნდა მიიწევდეს, აქცია ილია ჭავჭავაძემ ქართული მწერლობის გადაუდებელ ამოცანად. კონკრეტული მასალის ანალიზისას და შეფასებისას ილია სწორედ ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობს.

ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში არაერთგზის ეხება მხატვრული სიმართლის ასახვის საკითხს. ილიას აზრით, მწერალი კი არ უნდა გვაცნობდეს თავისი პერსონაჟის თავისებურებებს, არამედ იგი, ეს პერსონაჟი, თვითონ ჩვენს თვალწინ უნდა გამოვლინდეს ქცევებსა და მოქმედებებში. რუსი პოეტი კაზლოვი „თუმცა გვეფიცება, რომ მისი პოემის გმირი შეშლილია, სინამდვილეში კი იგი ძალიან კარგ გუნებაზე გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგად სჯის“. ილია სრულიად უკომპრომისოა მწერალზე მსჯელობისას, მას მიაჩნია, რომ არავინ არავითარ შეღავათს არ საჭიროებს. ლიტერატურული ფაქტების განსჯის დროს ყველასათვის არსებობს ერთი და იგივე კრიტერიუმი. ამდენად გასაგებია, რომ კოზლოვის, როგორც მწერლის, სისუსტის საჩვენებლად თვალსაჩინოებისათვის ილია შექსპირის მაგალითს მიმართავს. შექსპირი არსად არაფერს არ გვეუბნება ოფელიას სულიერ მდგომარეობაზე, რადგან „იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმიდამა სჩანს ყველაფერი, სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა“.

ბევრ სხვა საკითხთან ერთად ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში შეეხო შემოქმედებითი პროცესის საკითხს. ილიას აზრით, ხელოვანი ზე-

გარდმო ნიჭით არის ცხებული, იგი უნდა დაიბადოს, მას „ცა ნიშნავს“, რათა საზოგადოებაზე აქტიური ზემოქმედება მოახდინოს. ხელოვნება ნიჭია, მადლია და პოეტი ამ ნიჭით, ამ მადლით დაჯილდოებული ადამიანია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. მეორეა შრომა. „ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღემუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფეროში ტრიალი. დღე-მუდამ ფიქრისა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი“. მწერლური შრომა ძალზე რთული საქმიანობაა. „ქვეყნიერებაზე არ არის, ჩვენის ფიქრით, იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი საფუძვლიანი და ხანგრძლივი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატორი და ლიტერატორობაა. ცარიელი, მოუმზადებელი და უწვრთნელი ნიჭი არ გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერ შეძლებს ლიტერატურის სარბიელზე“.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს ილია ჭავჭავაძე წერილში „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, რომელსაც უაღრესად პრაქტიკულ-მოქალაქეობრივი ამოცანა განსაზღვრავს. მაცდური სურვილი ლექსის წერისა და ამ გზით სახელის განთქმისა ადრეც არსებულა და მაშინაც არ ცოდნია ასაკი... და აი, დიდ ილიას საჭიროდ მიუჩნევია, რომ თავგამოჩენის სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდობისათვის მიემართა ძალზე სერიოზულად, პირდაპირ, ყოველგვარი დატკბილული „ენის მოჩლექის“ გარეშე. ილია მკაცრი პირდაპირობით უშინაარსებს ახალგაზრდობას, რომ სიტყვათშეწყობა, მით უმეტეს, ჩვენს ენაზე მეტად ადვილი საქმეა, „ხოლო ლექსი იმით არ ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ“. შერითმული სიტყვები არ ქმნის პოეზიას. „პოეზია ნიჭია, ხოლო პოეტი ამ ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი“ თუ ეს ნიჭი ვინმეს თან დაჰყვა, იგი არ დაიკარგება. ადრე თუ გვიან თავს იჩენს. ხოლო ცარიელი ნიჭი, უსწავლელი, გაუწვრთნელი ვერაფერს შექმნის ფასეულს. მოსწავლე-ახალგაზრდობის ვალი და უპირველესი ამოცანაა გრძნობა-გონების ვარჯიში, ცოდნის მიღება. ლექსის წერის „ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, მისწვდეს. ვიდრე ამის ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელი ხალისით გახდეს რასმეს“.

ილია ჭავჭავაძემ თავის **ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში** დიდი ადგილი დაუთმო სალიტერატურო ენის საკითხებს. ილიამ დაბეჯითებით მოითხოვა ლიტერატურიდან გაძევება ყველა „უნიჭო მბღაჯვნელისა“. მწერლის უპირველს მოვალეობად მან ენის ცოდნა მიიჩნია. ილია ჭავჭავაძე, ბუნებრივია, გულისხმობს არა უბრალო ცოდნას ენისა, არამედ ენის გ რ ძ ნ ო ბ ა ს, მის აქტიურ ფლობას, იმ უნარს, რომლითაც არა მარტო ავისა და კარგის გარჩევა ხერხდება, გარკვეულ შემთხვევაში ესეც დიდი ღირსებაა, არამედ კარგის შ ე ქ მ ნ ა.

ილიამ აქამდე ჩვენი ლიტერატურისათვის უჩვეულო სიმძაფრით წამოაყენა ერთიანი სალიტერატურო ენის მოთხოვნა, ხოლო ახალი ქართუ-

ლი სალიტერატურო ენის ფუძემდებლად იქცა დიდი ილია სწორედ იმის გამო, რომ მას შესწევდა ძალა თავისი მოთხოვნა პრაქტიკულად განეხორციელებინა.

უაღრესად დიდია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართული კრიტიკის განვითარების საქმეში. ილიას აზრით, სალიტერატურო კრიტიკის დონე საზოგადოების აზროვნებითი სიმწიფის გამოხატულებასაც წარმოადგენს. კრიტიკა მებრძოლი უნდა იყოს და ლიტერატურის მხარდამხარ ხელს უწყობდეს საზოგადოების გარდაქმნის, გემოვნების განვითარების საქმეს.

თუ, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ყურადღებას იქცევს ზოგად-ლიტერატურული და ესთეტიკური თვალსაზრისით, მეორე მხრივ, მან ითავა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსობა და კრიტიკოსობა. თვითონ იგი გახდა ნიმუში განმსჯელი, პირუთვნელი კრიტიკოსისა, რომელიც ჯერ გაუკვალავ ხვეულებში მტკიცედ მიიკვლევდა გზას და ლიტერატურულ მოვლენებს და ქართველ მწერალთა თხზულებებს თავთავის ადგილს მიუჩენდა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს მისი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც 90-იან წლებში დაიწერა. „წერილებში...“ მითითებულია ახალი ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპები 60-იანი წლების ჩათვლით.

XIX საუკუნის მწერლობას ი. ჭავჭავაძე 30-იანი წლებით იწყებს. იგი თვლის, რომ საუკუნის დასაწყისში, როცა ქართველმა კაცმა „მოსაქმე ცხოვრება დაკარგა“, როდესაც საზოგადო ასპარეზი ხელიდან გამოეცალა, იგი თითქოს გაყუჩდა, თითქოს ხანგრძლივი ბრძოლებით ქანცგაწყვეტილმა შეიძინა. ერსაც, ისევე, როგორც ცალკე კაცს, ჭირდება დასვენება. 30-იან წლებში, როცა ერთგვარი გამოღვიძება იწყება, განვითარებას იწყებს ლირიკული პოეზია, რომელიც „უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“. განსხვავებით ყველა დანარჩენი კრიტიკოსისაგან, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისის პოეტებს და, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძეს უკიჟინებენ მოსალხენი, სატრფიალო ლექსებით გატაცებას, მოქალაქეობრივი თემის უგულვებელყოფას, დიდი ილია მიიჩნევს, რომ „უმთავრესი ძარღვი“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის სასიმღერო-სატრფიალო ხასიათისა და ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან დგება გარკვეული ჟამი, როცა ერისათვის საჭირო ხდება „თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი“ და სწორედ ასეთი დრო იყო XIX საუკუნის დასაწყისი, როცა „რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის თავიდა, სხვა რა ექნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ გარკვეული ჟანრის გარკვეულ დროში დაწინაურებას გარკვეული საზოგადოებრივი პირობები განსაზღვრავენ და მსჯელობა ასე კი არ უნდა წარიმართოს, საჭი-

რია თუ არა ესა თუ ის ჟანრი, არამედ რა აპირობებს მის წინ წამოწევას მოცემულ დროში.

ილია ჭავჭავაძე ცალკე გამოყოფს 50-იან წლებს, როცა „ჩვენია აზრთა დენას“ საშუალება მიეცა „შინიდან გარე გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისათვის აზრთა წყარო ესმია“. საგანგებოდ არის ცალკე გამოყოფილი მეტად მღელვარე ხანა ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისა — 60-იანი წლები. „წერილები...“ 60-იანი წლების დახასიათებაზე წყდება. ასე რომ, იგი დასრულებული არა ჩანს. მაგრამ ის უმთავრესი მიზანი, რაც ილიამ მისი შექმნისას დაისახა, სავსებით თვალსაჩინოდაა განხორციელებული იმ ნაწილშიც, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი. ილიას მიზანი კი ასეთი იყო: მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მისი განვითარების რომელსამე მონაკვეთში ჩიხში არ მოქცეულა, რომ იგი განვითარების უწყვეტ გზას გვიდგენს, რომ ყოველი მომდევნო მონაკვეთი გარკვეულად ეყრდნობა წინას, მისი მემკვიდრეა. ამ განვითარების გზის ჩვენების აუცილებლობა კი ილიას წინაშე იმ გარემოებამაც წარმოშვა, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გავრცელდა აზრი, რომელიც XIX საუკუნის ქართველ მწერლებს, ე. წ. „ძველ“ და „ახალ“ თაობებად აჯგუფებდა და მათ შორის უკომპრომისო ბრძოლას აღიარებდა არა მარტო ლიტერატურულ, არამედ სოციალურ-პოლიტიკური საკითხების სფეროში და ერთმანეთისაგან თიშავდა სამოციანელთა და ადრეულ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აღნიშნულ აზრს თაობათა ბრძოლის შესახებ ამჟამადაც მკლევართა დიდი უმრავლესობა აღიარებს... და აი, დიდი ილია, რომელიც ამ თეორიის მიხედვით ახალი თაობის — „შვილების“ — ბელადადაა აღიარებული, საზოგადოდ, გაუმართლებლად მიიჩნევს ძველ და ახალ თაობებზე საუბარს. ილია თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძველ და ახალ თაობებად დაყოფის საფუძველი მათი აზრების განსხვავებულობასა და დაპირისპირებულობაში უნდა იჩენდეს თავს, ხოლო ასეთი დაპირისპირება XIX საუკუნის ლიტერატურაში არსად შეინიშნება.

ილია ჭავჭავაძე თავის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს საზოგადოებრივ ყოფასთან, ტრადიციულ გემოვნებასთან, მოშვებულობასთან და ინდიფერენტიზმთან ჭიდილში აფუძნებდა. ამიტომ პოლემიკური ხასიათისაა მისი წერილები. ილია ჭავჭავაძე ნიმუში იყო მებრძოლი კრიტიკოსისა.

ილიას ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი საკუთარ განცდილს ეფუძვნება, ამდენად არის იგი უაღრესად ორიგინალური. მწერალმა განსჯის საგნად აქცია ყოველივე ის, რაც უშუალოდ ქართული ვითარებით იყო ნაკარნახევი. მართალია, ილია იცნობს მოწინავე ევროპელ და რუს ავტორთა ნააზრევს, ხშირ შემთხვევაში კიდეც იზიარებს მათ იდეებს, მაგრამ იგი მაინც ყოველთვის „ქართველ მოაზროვნედ რჩება“ (გრ. კიკნაძე).

ილია ჭავჭავაძემ ახალი გზები დაუსახა ქართულ ლიტერატურულ

აზროვნებას და კრიტიკას. ილია განმსჯელი კრიტიკის, დაფიქრებული, საბუთების ენაზე მოსაუბრე, კონკრეტული მასალის ღრმა გააზრებაზე დაფუძნებული კრიტიკის მომხრეა და თვითონ იძლევა ნიმუშებს ამგვარი კვლევისას, ამიტომაც აქვს მის ნააზრევს დიდი დამარწმუნებელი ძალა.

ილია ჭავჭავაძის მდიდარ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს პუბლიცისტურ წერილებსა და გამოსვლებს. მხატვრული ქმნილებებიც რომ არ შეექმნა, ილია ჭავჭავაძე მაინც დარჩებოდა ქართულ ლიტერატურაში, როგორც დადი რეფორმატორი, როგორც ფუძემდებელი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა.

ილია ჭავჭავაძის მრწამსი ღრმა მოქალაქეობრივ შეგნებას ეფუძნებოდა, რამდენადაც იგი თავისი დროის უდიდესი მოქალაქე იყო. ილია ჭავჭავაძის სახით უკომპარომისო, შეუვალი მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე თავკაცი ჰყავდა ჩვენს ქვეყანას. ილია ჭავჭავაძეს, სრულიად გარკვეული თვალსაზრისი ჰქონდა შემუშავებული და პუბლიცისტიკაში ამ თვალსაზრისის შესაბამისად აფასებდა მოვლენებსა და საგნებს.

როგორც აღნიშნავენ, „ილიას ერთი დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ სინამდვილეში მან ჩაუყარა მტკიცე საფუძველი პუბლიცისტიკას — ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით. მართლაცდა ილია ჭავჭავაძემდე ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მოღვაწეს, რომლის სტატიებსა და გამოსვლებს ასე თუ ისე თვალსაჩინო კვალი დაეტოვებინოს ჩვენი მწერლობის ამ დარგის განვითარებაში. პუბლიცისტიკას ილია ჭავჭავაძემ მოუპოვა სრული მოქალაქეობრივი უფლება ქართულ მწერლობაში და მანვე აიყვანა იგი ისეთ სიმაღლეზე, რომელსაც ვერ წვდება და ვერ შეედრება ვერც ერთი პუბლიცისტური გამოსვლა მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე“ (გრ. კიკნაძე).

მიუთითებენ, რომ პუბლიცისტიკა ყოველთვის არის ან ფარული, ან ღია ბრძოლა გარკვეული პოზიციის, მოსაზრებების დასამკვიდრებლად. ამდენად პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივია ტენდენციის პირდაპირი გამოხატვა, პოლემიკური ხასიათი. ილია ჭავჭავაძე ჩვენს სინამდვილეში იყო ნიმუში მებრძოლი პუბლიცისტისა. ილიას პუბლიცისტური სიტყვის უდიდესი ძალა აზრის ერთობ ნათლად გამოხატვაში მდგომარეობს. ილია წვდება მოწინააღმდეგის აზრის არსებით მხარეს და შეუვალი ლოგიკით თანდათანობით გამოკვეთს მის სრულ უსაფუძვლობას, უაზრობას, ხშირად ილიას მიდგომა სატირულია განსაქიქებელი ობიექტისადმი, ამ დროს მის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისთვის გაკიცხვის ირონიული გზა. ილია მარჯვედ იყენებს ცნობილ ხალხურ გამოთქმებს, ანდაზებს, ცნობილ გავრცელებულ სტრიქონებს მხატვრული ნაწარმოებებიდან და მათ ისეთ კონტექსტში აქცევს, რომ სრულიად კონკრეტულ, ახლებურ შინაარს იძენენ.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სიტყვა განსაკუთრებით მძაფრია, როცა იგი ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავს გარეშე თუ შინაური მტრე-

ბისაგან, როცა ილია თავს ესხმის ჩვენი ისტორიის გამყალბებლებს, იცავს ქართველი ხალხის წმიდათა წმიდას, ეროვნულ საუნჯეს — ქართულ ენას, მის პრაქტიკულ უფლებებს.

განსაკუთრებით იჩინა თავი ილიას პუბლიცისტურმა შემართებამ რუსიფიკატორული პოლიტიკის შემოტევის ჟამს — 80-90-იან წლებში, როცა არა თუ ქართული ენა გამოაცხადეს კანონს გარეშე, არამედ „საქართველოს“ ხმარებაც კი აკრძალეს. ასეთ მძიმე პირობებში ამბობდა ილია გადამწყვეტ სიტყვას. ილია თავგანწირული მებრძოლი იყო. მართალია, ამ ბრძოლაში ილიას არ აკლდა სიფრთხილე და ტაქტი, მაგრამ სიფრთხილე მომდინარეობდა არა პიროვნული დაცვის ინსტინქტიდან — ილია თავგანწირული ბელადი იყო ქართველი ხალხისა და ეს მან არაერთგზის დაამტკიცა. ილიას სიფრთხილე ისევე ეროვნული, საქვეყნო საქმის ინტერესებიდან მომდინარეობდა, თვითონ საერთო ეროვნული საქმე არ დაზიანებულიყო აჩქარებული, მოუზომელი ნაბიჯით — აი, რა აზრით ხელმძღვანელობდა ილია.

ილიასათვის ბრძოლაში ლმობიერება არ იყო დამახასიათებელი. იგი ჩვენი ქვეყნის მტრების მიმართ დაუნდობელი იყო და პირგამეხებული. ამის მაგალითები ბევრია, რომელთაგან განსაკუთრებით გამოყოფენ ილიას გალაშქრებას რეაქციული გაზეთის „Московские ведомости“-ს რედაქტორის კატკოვის წინააღმდეგ, როცა ამ გაზეთში ერის აბუჩად ამგდები სტატია დაიბეჭდა, სტატია, რომელშიაც დაუფარავად იყო გამჟღავნებული ზიზღი ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის წარსულის მიმართ. საქმე იმაში იყო, რომ ქართულ თეატრში დაიდგა დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“. პატრიოტულმა წარმოდგენამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა, მეტადრე მაშინ, როცა სცენაზე ქართული დროშა გაშალეს. ეს ამბავი მყისვე აცნობეს მოსკოვში კატკოვს და იგიც მაშინვე ამხედრდა. მისი გაზეთი დაურიდებლად ურჩევდა ქართველებს — მიატოვეთ თქვენი სიზმრები, თავი დაანებეთ ბოდვას და როტვას რაღაც წარსულზე, რაც შეეხება თქვენს დროშებს, გირჩევთ ეხლავე ჩააბაროთ გოთფრუას ცირკს, იქ ჯამბაზები და ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ, ვიდრე თქვენი თეატრიო.

ილიამ ჩვეული სიმძლავრით და სიმძაფრით გასცა პასუხი კატკოვს. მართალია ზნედაცემულ კატკოვს ვერ გადაარჯულებდა ილიას მრისხანე პასუხი, მაგრამ ი. მანსვეტაშვილისა არ იყოს, ქართველს კი იმედი შთაუნერგა, აგრძნობინა, რომ გაჭირვებაში მარტო არ არის, რომ მას ჰყავს გამბედავი ბელადი.

ასევე იყო მაშინაც, როცა ქართული ენის დაუძინებელმა მტერმა განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრახა სკოლებში ქართული ენის სწავლება მოესპოთ. ქართველებმა მაშინაც ილიას მიაპყრეს თვალი. ილია ჭავჭავაძემ მხნედ, საქმის მთელი არსის გათვალისწინებით, დიდძალი პედაგოგიური ლიტერატურის დამუშავებისა და გააზრების შედეგად დაწერა ისეთი წერილი, ისეთი ღრმა პედაგოგიური ცოდნა გამოამჟღავნა, რომ თვით სპეციალისტებიც კი გააკვირვა.

ილია ჭავჭავაძე ყველას არ თვლიდა ღირსად პასუხისა; ხმის ამაღლებას მხოლოდ მაშინ ჩათვლიდა საჭიროდ, თუ მეტოქე ანგარიშში ჩასაგდები იყო და საკითხიც ეროვნულს, საზოგადოებრივს შეეხებოდა, ეროვნული ღირსება თუ ითელებოდა ნებსით თუ უნებლიეთ.

ილია საგანგებოდ აწონდაწონიდა, განსჯიდა საკითხს და მხოლოდ ამის შემდეგ დაეძგერებოდა მოწინააღმდეგეს. იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში და ამიტომაც იყო უდრეკი და უშიშარი.

ილიას ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვის უჩვეულო ძალა, აშკარად ვგრძნობთ ქართული სიტყვის დიდ შესაძლებლობებს. ძარღვიანია და გამძლე ილიას სიტყვა. ფრაზის სიახლის განცდა არ გვტოვებს. სრულიად ჩვეულებრივი, გაცვეთილი სიტყვებიც კი უჩვეულო კონტექსტში ექცევიან და ახლებურ შინაარს იძენენ. ეს აპირობებს ილიას წერილების როგორც შემეცნებით, ისე ესთეტიკურ ძალასაც.

ილიას ლიტერატურული წერილები თუ პუბლიცისტური ნაღვაწი დიდი სულიერი საზრდოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ილიას წერილები ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულს, სამართლიანობას, შეუდრეკელობას ასწავლის, სიამაყის გრძნობას უღვივებს და კიდევ ერთხელ შეაგრძნობინებს, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს დიდი ილია.

ლ ა დ ო მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

[illegible] ეს ამბავი,
[illegible] ბოლოს, [illegible]
[illegible] - [illegible]
[illegible] ამ [illegible]
[illegible] ამ [illegible]
[illegible] ამ



წერილები ლიტერატურაზე



ორიოდე სიტყვა

თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმნაზედა

როცა გაგვახსენდება კაზლოვი და მისი პოეზია, თუკი არის პოეზია მის დაძალებულ ცრემლიან ლექსებში, როცა გაგვახსენდება, მაშინვე ენაზედ მოგვადგებიან ჩვენ სასიქადულო რუსთაველის სიტყვები, მხოლოდ ჩვენებურად კი დავიწყებთ ხოლმე:

„კაზლოვის ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
ვამსგავსე შვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა, —
არ ძალუძს სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა;
და დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა“*

ეს ლექსები თუ არ ამაღლებენ კაზლოვს, სრულიად არ ამცირებენ: კაზლოვის ნიჭი სწორედ იმ ყრმა მონადირეების შვილდია, რომელიც ტოროლის და ჩიტის მეტს ვერას განგმირავს. თუმცა ზოგიერთნი რუსნი ხედვენ კაზლოვში რაღაც პატარა ტალანტსა, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვხედავთ; და თუ ვხედავთ, პატარას კი არა, ძალიან უპატარესსა, ბეწვის ოდენას, ისიც იმისთვის, რომ ორიოდე ლექსი აქვს, მართლა-და ცოტა სიამოვნებით წასაკითხავნი და გრძნობით გამთბარნი. აი ის ლექსები, რომელნიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია: «Вечерний звон», რომელიც ერთ დროს დიდ პატივში იყო, ასე რომ ყოველ რუსის ცოტაოდენ განათლებულს სახლში მღეროდნენ ხოლმე: «На погребение Анг-

* უ უ Ჩ, Ძ, Წ, Ჭ, ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში; თუ ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ.

лийского генерала Сира Джона Мура», ესეც თავისი არ არის, ნათარგმნია, მაგრამ კარგი თარგმანიც სასარგებლოა; «Роман Дездемоны», შექსპირიდან თარგმნილია. ამათ გარდა, იქნება ორი, თუ სამი ლექსი კიდევ გვაჩვენოთ მთელი კაზლოვის თხზულებაში სასიამოვნონი, თორემ დანარჩენ ლექსებში, სუყველგან თითქმის, დაძალებული, ე. ი. ძალად მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანილი ცრემლი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად.

კაზლოვი იყო კარამზინის სხოლის მწერალი. არამც თუ მარტო თავის ლექსებს კაზლოვმა შეჰყარა ჭირი იმ წირპლიან სხოლისა, არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაცა სთარგმნიდა და რომელთაცა სულ არ სცვიოდათ ძალად გაჭიმულ პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი კარამზინისავით და მის მიმყოლ კაზლოვისავით. მიიღეთ შრომა, გადაშალეთ კაზლოვის გაბერილი წიგნი და ყურადღებით განიხილეთ ლექსები ანდრე შენიესი, ფრანციის პოეტისა; ძლივს-ღა იცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას და მის გამო ევროპასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თავის საფუძველში ცრუ-კლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა. კაზლოვის თარგმანში ისე ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა. მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კაზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები“. ეგ სონეტები, ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი, — რა-რიგ უსულდგმულო, უსურნელო ყვავილებად შეიცვალნენ კაზლოვის თარგმანში! არამც თუ კაზლოვმა [არ] შეარჩინა მიცკევიჩის სონეტებს ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერნი სურათნი, რომელშიაც ისე ნათლად გამოეხატვნენ წუთის გრძნობანი იმ სახელოვან პოლშელ პოეტს. დასარწმუნებლად, შეადარეთ თარგმანი კაზლოვისა უფ. ლუგოვსკის იმავე სონეტების თარგმანთანა, (რომელიც გამოიცა ოდესაში 1859 წელსა, როგორც გვახსოვს). თუმც არც უფ. ლუგოვსკის თარგმანია ძალიან მოსაწონი და საქებელი, მაგრამ მაინც ეს უფრო

განუზომელად უკეთესია კაზლოვის თარგმანზედა. ამათ გარდა, სხვა ბევრი პოეტები ალაგ-ალაგ გადმოთარგმნილი ჰყავს, და სხვათა შორის ლორდი ბაირონიცა. ბაირონი უთარგმნია კაზლოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი მთელი პოემაც ამისი, წოდებული «Абидосская Невеста», მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!

ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენა, რამოდენაც ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში, თუმცა კი სატანის სხოლის თავადად უხმობ-დნენ თანამედროვენი ბაირონსა. რასაკვირველია, მისი მბაძავნი — ზოგნი სულ უნიჭონი იყვნენ, ზოგნი კი კარგა დიდი ტალანტები-სანი, რომელთათანაც კაზლოვი ბუზად გამოჩნდება. თითონ პუშკი-ნიც მთელ თავის გენიით ვერ გადაურჩა ემაგ ჭირსა; მთელი ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, „კავკასიის ტყვიდგან“ დაწყებული „ევ-გენი ონეგინამდინ“, და თვით „ევგენი ონეგინიც“ თითქმის იყო ბა-ირონის გავლენის ქვეშა. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონსა; მთელ მის პოეზიას ეტყობა, როგორც ზემოხსენებულს პერიოდს პუშკი-ნისას, ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერ-მონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მაღლა დგას თვით პუშკი-ნზედაც. აი ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და, ამათ გარდა, რამდენი სხვა პაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბა-ირონის გავლენის ქვეშა!.. ეს საზოგადო ჭირი იმ დროებისა ჩვენ კაზლოვსაც შეეყარა. მართლა-და კაზლოვი არადროს არ ყოფილა თავისუფალი მწერალი, ის არამც თუ იყო მარტო ბაირონის გავ-ლენის ქვეშა, არამედ ბრმადა ჰბაძავდა ასე, რომ თავის საკუთარს ლექსებში ბაირონის თითქმის სიტყვებს და სურათებს ჰხმარობდა. გაშინჯეთ, მაგალითად, მეცხრე გვერდი კაზლოვის „Чернец“-ისა, ჩაიკითხეთ ცამეტი სტრიქონი და შეადარეთ ბაირონის „მანფრედის“ სიტყვებთან, როცა იგი ელაპარაკება წყლის ფეიასა. როგორც „Чернец“, ისე „Наталия Долгорукая“—ეს ორივ პო-ემა კაზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან: ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავით რაღაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწა ნიჭსა შთაე-ბერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორჭმული, მოუდრეკელი სუ-ლი ბაირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუ-ხარება, წყევლა და აი! უი! ოხ! უხ! და ამაზედ უფრო უძლიერესნი

შორისდებულნი შეჰქმნიან ბაირონსა? ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღვნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ: ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა. ბაირონის ნაცვლად, რომელსაცა ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშუღადა. მაგრამ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ერთ დროს კაზლოვი მიიზიდავდა რუსებსა. მისმა „Чернец"-მა დაუგდო ხმა შუათანა მწერლისა რუსეთში; ეგ საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია; აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაივაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!.. არც აზრია, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი. ეგ რად გინდათ, აიღეთ რუსეთში ხერასკოვი, სუმაროკოვი და სხვა მათებრ გაბერილები თავიდან ფეხებამდინ უნიჭობითა, რამდენ მკითხველსა და ტაშის-მკვრელსა შოულობდნენ გაუნათლებელ რუსეთშია! ეხლა რათ უნდა გვიკვირდეს, რომ კაზლოვსაცა ერთ დროს ჰყვანდა მკითხველიც და მაქებარიც. ამას კაცური სიტყვა მაინც ჰქონდა, რო სხვა არაფერი იყოს. ჩვენ გვინდა ამით ვსთქვათ, რომ მაშინ რუსეთის საზოგადოება არ იყო ისე ესტეტიკურად გახსნილი და განვითარებული, რ[illegible]ორც პუშკინის შემდეგ და ნამეტნავად ეხლა; იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი

გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი. ამის „უბედურ ლიზას“, რომელიც გადმოთარგმნილი იყო ქართულზედ და დაბეჭდილი ჩვენ „ცისკარში“, კითხულობდნენ თვით პუშკინის დროსაც, თუმცა ეხლა კარგ რუსსა სატანჯავად მიაჩნია მისი წაკითხვა. სწორედ ამისთანა ხვედრი ჰქონდათ კაზლოვის პოემებსაც, თუმცა ესენი მაღლა დგანან კარამზინის „უბედურ ლიზაზედ“. კაზლოვის მოსათმენი ენა, შუათანა შეუკვეცავი რითმა, ზოგიერთგან გრძნობიანი სიტყვა და უფრო ის ბნელი და მწუხარე საგანი მის „Чернец“-ისა და „Наталия Долгорукая“-სი არ იყვნენ უკანასკნელნი მიზეზნი, რომ მაშინ რუსები მაგ პოემებს კითხულობდნენ. კაზლოვის „შეშლილის“ ქება-კი ჩვენ არსად შეგვიტყვია, და თუ უქია ვისმეს, უთუოდ კაზლოვის თხზულების გამომცემს უქია. იმ გამომცემს, რასაკვირველია, სხვა, შიგნიტიკური, მისატევებელი მიზეზი ექნებოდა ქებისა, რადგანაც მარტივნი ამა ქვეყნისანი მალე დაიტაცებდნენ გამოცემულ წიგნსა და მით გაახარებდნენ გამომცემის მგლოვიარე ჯიბესა. ამას გარდა ჩვენ ვფიქრობთ კიდეც, რომ სწორედ იმ გამომცემის სიტყვებს უმოქმედნია, რომ თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს აუღია ეგ უშვერი და გამოუსადეგი პოემა ქართულს ენაზედ გადმოსაღებლად, თორემ თქვენვე გაშინჯეთ, ჩვენო მკითხველო, რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სხოლის მწერლების გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ უფ. სარდიონ ალექსიმესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სხოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სხოლის მწერალი კაზლოვი გადმოუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუარრს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება ს ლ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ

ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინეზსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ.

მართლა-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩივა თავად ერისთავს. ეს „შეშლილი“ — მართლა, რომ შეშლილი — რა სათარგმნელია? მაგრამ ერთის მხრით თავად ერისთავს კარგი უნებებია, რომ ღონის გასაშინჯავად და გამოსაცდელად კაზლოვი ამოურჩევია. ეხლა თვითვე, გვგონია, დარწმუნდეს, რომ არმც თუ პუშკინის და ლერმონტოვის თარგმნა შეეძლოს, არამედ კაზლოვისაცა და სხვათა უფრო მდარეთა რითმების მბეჭველთა პოეტთა, რომელნიც რუსეთში ქვიშაზედ უმრავლესნი არიან. დიახ, ძალიან კარგად მოქცეულა თავადი ერისთავი, რომ პუშკინის და ლერმონტოვისთვის ხელი არ უხლია, თორემ ამათი ქმნულებაც ისე წაეხდინა, როგორც წაუხდენია კაზლოვის „შეშლილი“, სწორედ ღვთის გმობა იქნებოდა.

ეხლა მიუბრუნდეთ და მოკლედ განვიხილოთ თითონ კაზლოვის პოემა „შეშლილი“. რა წითელი კოჭი ბრძანდება რუსულს ენაზედ, მერე ვახსენოთ ღმერთი და შეუდგეთ თარგმანს; მაგრამ, ჩვენო მკითხველო, ჩვენ სტატიაში ნუ ელოდებით ესტეტიკურ კრიტიკასა; ვინ ჩვენ და ვინ ესტეტიკური კრიტიკა! ჩვენ ერთი უბრალო სიკვდილის შვილი ვართ, სად შეგვიძლიან? და თუნდ დიდი, დიდი ბობოლაც რომ ვიყოთ და შეგვეძლოს, ამ „შეშლილში“ მცირედი საზრდოც არ არის ესტეტიკურ კრიტიკისათვის. ეგ პოემა არის ჩვენ „ეო-მეოსავით“ რაღაცა უბრალოდ აღსრულებული, რაღაც ბნელი სიუჟეტი. აქ ისმის რაღაც უიმედო სიყვარულის ტანჯვა, რაღაც უგემური ჩივილი, კვნესა და ოხვრა რუსის გოგოსი, როგორც კაზლოვი ამბობს. ტანჯვა და რაღაც ჩივილის მსგავსად კნავილი არც ტანჯვასა ჰგავს, არც ჩივილსა; აქ არ ისმის ის გულის განმგმირავი კვნესა მოტყუებულ გულისა, აქ არა სჩანს ის უნებური სიუგუნურე მარტივ სოფლის გოგოს სიყვარულისა, რომლის მუხთლობამაც შეშალა ჭკვიდამ იგი. მერე რა მოგახსენოთ! ის გოგო რუსის მუჟიკისა ხომ სრულიად შეშლილი არ არი, თუმცა კაზლოვი გვეფიცება, რომ შეშლილიაო; ძალიან კარგ გონებაზედ გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგადა სჯის. მართალია ლაპარაკში

თვალები ერევა და სახე ეშლება, მაგრამ განა მარტო თვალების და სახის ამღვრევაში სჩანს ადამიანის შეშლილობა ჭკვიდამა? აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას; იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმიდამა სჩანს ყველაფერი; სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა. აბა კაზლოვის თხზულებიდამ ამოფხიკეთ ზედშესრული „შეშლილი“ და მერე გაშინჯეთ სიტყვები შეშლილისა, თუ ჭკვიანად არ გეჩვენოთ. თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი. ქართველმა ბევრიც რომ იკითხოს, არამც თუ ეს საშინელი თარგმანი თავად ერისთავისა, არამედ ათი-ათასჯერ უკეთესი, მაინც იქნება არა გამოვიდეს-რა: ათი-ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია; ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა. იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისაო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა. მაგას ვინ ჩივის, რომ პოემის გმირი არ არის რუსი, ერთი ბეწო დრამატიზმი და ხელოვნება მაინც იყოს.

ეს გრძელი შესავალი იმიტომ გაუკეთეთ ჩვენს სტატიასა, რომ თუ ვინიცობაა „ცისკრის“ მკითხველი ბევრს რასმე ელოდა თავად ერისთავის „შეშლილის“ თარგმანისაგან და ვერა ჰპოვა, მაგის მიზეზი თითონ კაზლოვი იყო; მეორე იმისთვის, რომ გვეცნობებინა ჩვენი მკითხველისათვის, რომ მთელი კაზლოვიც რომ გადმოეთარგმნა ვისმე, არა თავად ერისთავსავით უხერხოდ, არამედ უფრო ბევრად უკეთესად, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა, უსარგებლო შრომა იქნებოდა, იმიტომ, რომ კაზლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაჰბარდნენ პატრონს და ქართველებს რად გვინდა?

ეხლა მიუბრუნდეთ თარგმანსა. თავად ერისთავის „შეშლილის“ თარგმანი, როგორც ხელოვნება, არ შეიძლება განიხილოს კაცმა, რადგანაც თვით ნამდვილი უხელოვნოა. თუ სათავე მღვრივეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა. თუ ჩვენ გვკითხავს ვინმე, ჰგავს თუ არა კაზლოვის „შეშლილს“ თავად ერისთავის „შეშ-

ლილი“, ჩვენ მიუგებთ, რომ სრულიად არა. კაზლოვის „შეშლილი“ რაც უნდა ცუდი იყოს, მაინც თუ კაცმა იკისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია. მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი — როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს. ჩვენ გულდაჯერებით უწინასწარმეტყველებთ თავად ერისთავს, რომ დრო მოვა, როცა მის თარგმანის ლექსებითა დასჯიან წარმართთა, როგორც დიდ ეკატერინეს დროს ტრედიაკოვსკის ლექსებითა სჯიდნენ. როცა ვკითხულობდით თარგმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხვისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდამო შთაგონებული წვრილი ლექსები! გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას? დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე. არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს თავად ერისთავის თარგმანისავით თარგმნის წაკითხვასა. იმისთანა ცოდვა ძნელად ექნება კაცსა, რომ ეგ სასჯელი მისი შესაფერი იყოს. თუმცა უწინაც „ცისკარში“ შეგვხვედრია ქართულ სტატიაში რაღაც გარმიანული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითა, როგორც თვით მათემატიკური სტატია იყო სასაცილო ჟურნალში თავის განუზომელ ღრმა აზრითა. ჩვენ გვიკვირს, უფ. რედაქტორი

როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“ და უფრო შეშლილ „ზადაჩებსავით“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბღაჯნიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“ მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რათ უნდა ვემდუროდეთ უფ. რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე გამოსადეგ პატრონისათვის მისი გამოუსადეგი სტატია. კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია, ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა. სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს. პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყის, როგორც იმათი ლექსები დაბეჭდვის უმალვე დაივიწყებიან ხოლმე. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ახალ რითმების მორახუნებლებს არავის ისეთი ენა არა ჰქონია, როგორც თავად ერისთავს აქვს; აი, მაგალითებრ, ყველაზე უმდარესი მწერალი უფ. ბერიევი, რომელიც გუთნის დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო, — ის კი არ აგონდება უფ. ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვლუპა ჩვენ, — აი, უფ. ბერიევი, თუმც პოეზიაზედ უკაცრაოდ ბრძანდება. მაგრამ ენა მაინც უვარგა, თუმც კი ესეც გამოაპარებს ამგვარ კონსტრუქციას, რითმის ტრფიალების გამო: „ფეხი გავიქნიე, ხელი“ — ფეხი და ხელი გავიქნიეს მაგიერად; მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც წასცდებაო, ნათქვამია. ჩვენ მთარგმნელის თავად ერისთავის ენა კი სწორედ ნაღველას გაუხეთქავს კაცს; ძალიან მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ „შეშლილი“ თავიდამ ბოლომდი წაიკითხოს. ვისაც არ წაგიკითხავთ „შეშლილი“,

ჩვენ ვითარცა კაცთ-მოყვარენი, არ გირჩევთ წაკითხვასა: პირველი, რომ უწყალოდ დაიტანჯებით, მეორე, რომ ჩვენ გაგვამართლებთ და ეგ, იქნება, თავად ერისთავს ეწყინოს. — ასეთ-ნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც გაუსაპრავი საპალნის ურმის თვლები; ასეთ ჟრჟოლას დაგმართებთ, რომ „ჟამი მოგივათ გაციებისა“, თავად რაფ. ერისთავისა არ იყოს. ნამეტნავად ნაზ აგებულების ქალს მოარიდეთ ეგ თარგმანი, თორემ ჭლექად ჩავარდება. როგორ მოგწონთ ეს რახარუხიანი ჰარმონია ამ გაუგებარი ლექსებისა:

„დედავ ბუნებავ! მშვენიერებით
შენ ყოველგან ხარ თავისუფლებით;
თუ გინდ რომ იყო საშიშროებით,
მაინცა სუნთქავ ღვთაებრივობით!“

აქ ორ პირველ სტრიქონში სწორედ იმისთანა კონსტრუქციაა, როგორც ზემოხსენებულ მაგალითში „ხელი გავიქნიე, ფეხი“ და სწორედ იმისთანაც აუარებელი სიღრმეა ცარიელობისა. თუნდ ეგ არ იყოს, სულ ერთად გაშინჯეთ, მკითხველო, რა მწყობრი ხმოვანი ბრახაბრუხია რითმებისა! სად ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი და სად „შეშლილის“ მთარგმნელი!

ანუ ესა:

ესე ყოველი სახელოვნება
არს საიდუმლოს აღსაარება*
რომელ არს ერთი ერთისა სულით
ყველასა მართავს ერთისა ძალით
ამა ქვეყნისა მშვენიერებას
და აგრეთვეცა საშიშროებას
ზღვათა და ცათა ქვეყნიერებას —
რომელსაც უწოდთ ერთსა ღვთაებას“ და სხვანი.

ამ რვა გარმიანულ ლექსში რაღაც ღრმა აზრი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი სუსტი გონება ვერ მიწვდება და ვგონებთ, თვით უ მთარგმნელსაც არ ესმის, აქ რა არის, თუნდ რომ აზრიც იყოს, ამგვარი გამოთქმა მისი კაცს გულს გაუხეთქავს. აი, უბრალო სიტყვების და რითმების რახარუხი! ამას იქით, ვისაც არ უწერია ლექსი, თავად რ. ბარათაშვილისა არ იყოს, მართლა უნდა უხაროღეთ, რომ ლექსებს არა სწერენ, თორემ ამისთანა ორიოდე

* ა აღსარებაში მოუმატნია, რადგანაც სილაბი არ გამოდიოდა, მაგრამ ეგ პოეტიკური სილაღეა, მიეტევება!

ლექსი რომ წასცდენოდა ვისმეს, აპოლონი, როგორც მარსიაზსა, ფეხებიდამ თავამდი ტყავს ააძრობდა და პირდაპირ ტრედიაკოვსკისთან ახტუნებდა ფერხულში. აი, კიდევ სამაგალითო განსახოვნება აზრისა:

„ეგრეთ ჩაფლული ოცნებაშია“ და სხვანი.

კაი ტლაპო ყოფილა, თქვენმა მზემ! აბა, თქვენი ჭირიმე, ოცნება რა ტლაპოა, რომ ჩაფლობა შეიძლებოდეს! დანთქმული ეთქო, კიდევ ჰო, ტლაპო მაინც არ მოაგონდებოდა კაცსა და გაახსენდებოდა ან ზღვა, ანუ სხვა წყალი რამე, რომელზედაც მაინც კიდევ ათასჯერ ფაქიზია ოცნება:

„მეც დავინახე ცა, როგორც სისხლი,
ზღვებრივ ღელვიდა, ღრუბლიდგან ცეცხლი,
თითქო ცა ღრუბლად გადაქცეული
დანთქმას გვიპირებს...“ და სხვანი.

აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის? „ღრუბლიდგან ცეცხლი!“ პირველი, რომ ქართული ენა ბრძანებს, რომ ღრუბლიდგან ცეცხლი უნდა იყოსო, — მეორე — გონება გვეუბნება, რომ თუ ქვემდებარეა, ზმნაც აქვე უნდა იყოსო. „ღრუბლიდგან ცეცხლი“ სადაა ზმნა? თუ „ღელვიდა“ არის „ღრუბლიდგან ცეცხლის“ ზმნა, ნიშანი რაღად უზის განყოფისა? მაგრამ თუ ნიშნებს გავყვებით ჩვენ, ათასი სხვა შეცდომებია ნიშნის ხმარების შესახები. ვინ ამოსწერს სუყველასა?

„თოვლიან მინდორს, ახლორეს ტყესა,
ზედ დაჰნათოდენ ბნელსა ხევებსა,
ყურთუკის მსგავსად ჭირხლი ჰრტოებსა
გარემორტყმოდა ფიჭვის ხეებსა...“ და სხვ.

თუ აქ გაიგება რამე, ხელს მოვიჭრით! აქ რომ აზრის გაგება უნდოდეს კაცს, უნდა თავთავის ალაგას დასვას გადარეული რითმის გულისათვის სიტყვები. აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია: „ხელი გავიქნიე ფეხი“. იქნება ჩვენ „შეშლილის“ მთარგმნელს ჰგონია, რომ „ხელი და ფეხი გავიქნიე“ და „ხელი გავიქნიე ფეხი“ ერთი და იგივე იყოს? არა, ერთნი არ არიან. ამ ორ მაგალითში, მართალია ერთი და იგივე სიტყვებია, მაგრამ ის სიტყვები ერთგან თავის ალაგას არიან, მაგ. „ფეხი და ხელი გა-

ვიქნიე“ და მეორეში კი არა, იმისთვისაც „ფეხი და ხელი გავიქნიე“ მეც მესმის და თქვენც და „ხელი გავიქნიე ფეხი“ არც თქვენ გესმით, არც მე.

„ჩემი ცხენები როგორც შეშლილნი“ და სხვანი.

ჭკვიდამ ხომ არა? ძალიან ახალი ამბავი იქნებოდა, მართლა დასაბეჭდი. სწორედ უნდა თქოს კაცმა. რომ ეს IV მუხლი, თუ თავი, კაზლოვს ლამაზად აქვს გამოყვანილი, ასე, რომ მთელ კაზლოვის თხზულებაში ძნელად იპოვნით ამისთანას. აბა ეხლა გაშინჯეთ თავად ერისთავის თარგმანი, რა საცოდაობაა! თუ კაზლოვი შეგძულდეთ, ჩვენო მკითხველო, თავისი ბრალი ისე არ იქნება, როგორც მის უწყალო მთარგმნელისა, თუმცა კაზლოვი. მართალია, იმისთანა მწერალია, რომ არაფერი დაეწერა. რუსეთს იმითი არა დააკლდებოდა-რა, და რადგანაც დაუწერია, იმითიც არა მოჰმატებია-რა, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც შებრალება უნდოდა და არა ეგრეთ გაწირვა.

„ძველი საყდარი, ვგონებ ფიცრისა
ღგას, საფლავები გარემო მისსა,
ძველ კარიბჭეში კანდელი ბჟუტავს...“ და სხვ,

კიდევ ქვემდებარეა და ზმნა ოცნებებში ჩაფლულა და ჩაჰბარებია პატრონსა: „საფლავები გარემო მისსა“ უზმნოდ ბრძანდება. არა, არა, ეგრეთ წერას ვერ აიტანს კაცი; ასე ჰგონია კაცსა, ახალ მოსწავლეს გარმიანელს უცოდვილებია კალამი ენის გასავარჯიშებლად და არა ჟურნალში დასაბეჭდავად. უზმნოდ არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა; რუსეთში თუმცა ზოგიერთგან არსებითი ზმნა არ იხმარება, მაგრამ ქართული რუსული ხომ არ არი? ქართულში ყოველთვის ზმნა უნდა, — ეგ მეორე კლასის მოწაფემაც იცის.

„ძველ კარის-ბჭეში კანდელი ბჟუტავს,
მის სიახლოვეს ვიღაცა სუნთქავს... და სხვ.

გესმით, მკითხველო! მთარგმნელი ამა პოემისა (თუნდ თვით დამწერი კაზლოვი, სულ ერთია), ზის მარხილში, ნაბადში შეხვეული და მიაქროლებს, „ზარი წკრიალებს“, „მარხილი ჭყრიალებს“, როგორც თავადი ერისთავი გვარწმუნებს, გზის იქიდამ მდინარის პირზედ ერთი ფიცრის საყდარია, იმ საყდრის ბჭეში კანდელია,

იმ კანდლის ახლო ვიღაცა სუნთქავს და ის სუნთქვა ესმის მარხილში მიმაქროლებელს, ნაბადში შეხვეულს „ზარის წკრიალში“ და „მარხილის ჭყრიალში!!! აგანგალა განგალა, გამოუცვნია! კაი ყურები არ უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელსაც ის სუნთქვა გააგებინა თ. ერისთავმა?! გვიხარიან, ტელეგრაფები აღარ მოუნდება საქართველოს, თუ მაგისთანა ყურების პატრონები სცხოვრობენ, რომ ისე ლამაზად შორიდამ ესმით ვიღაცის სუნთქვა. გამოიყვანეთ ის ბედნიერი კაცი, დააყენეთ მოედანზედ და დააგდებინეთ ყური; ქვეყანაზედ რა ამბავია, ის მოედნიდამ ყველაფერს გაიგებს. მერე თითონ ის ვიღაცა საშინელი მსუნთქავიც კარგი ცხრა-თავიანი მდევი უნდა ყოფილიყო, რომ ისე ესუნთქა, რომ გზაზედ მიმაქროლებელს მარხილითა, ზარის წკრიალში და მარხილის ჭყრიალში გაეგო. არა, თავადო ერისთავო! ბევრიც რომ გვეფიცოთ, რომ ეგ მართალია, მაინც შეუძლებელს არ დაგიჯერებთ და თქვენც, არა გვგონია, მაგის დამტკიცება მოინდომოთ. ეს უშესაბამო, შეუძლებელი სუნთქვის გაგება კაზლოვისა ნუ გგონიათ, ჩვენო მკითხველო, ეგ თავად ერისთავის მოგონილი გახლავსთ პოემის გასამშვენიერებლად. კარგად უხერხნია! თავად ერისთავს უხმარია ეს უშესაბამობა იმისთვის, რომ სიტყვაზედ „ბეუტავს“ რითმა ვერ მოუწყვია, ამისდა გამო გაუფიქრია: „მოდი, მიუწერ „ვიღაცა სუნთქავს“, რითმა ხომ გამოვა, უაზრო იქნება თუ აზრიანი, ღვთის მადლით, მოდავე არვინ მეყოლება; არავის არა ჰყოლია და მე რა ლმერთი გამიწყრება“! ჩვენ კი მოულოდნელად გამოგიჩნდით, თავადო ერისთავო!

„თეთრი მკერდი, ბუნებით ქმნული“.

ესრე ნაწყვეტ-ნაწყვეტად რომ ვიღებთ ლექსებს თავად ერისთავისას, ნუ გეგონებათ, რომ ძალადა ვშვრებოდეთ, რათა დაუკარგოთ აზრი. არა, ამოწერა გვეზარება. თქვენვე შიგ ჩართვით წაიკითხეთ და მაშინ უფრო უაზროდ გეჩვენებათ ეგ ლექსები.

„ბუნებით ქმნული“ რომ არ დაეტანა უფ. მთარგმნელსა, პირველი, რომ რითმა არ გამოვიდოდა, მეორე — რომ მკითხველი იფიქრებდა, არა-ბუნებითი ქმნული მკერდიც არისო. პირველზედ თუ გაგიფიქრიათ, მართალი ხართ, უფ. მთაგმნელო, მეორეზედ — კი უკაცრაოდ არ ვიყოთ, შემცდარხართ. მაგას არავინ არ იფიქრებდა. — აი, რითმის გულისათვის ორი სიტყვა სულ გამოუსადეგნი

ჩაგიტანიათ, განა მარტო ამ ზემოხსენებულს ლექსებში, ბევრგან სხვაგანაცა. განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლოდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშიაც! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბად-წამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავისი საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხზედ ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა. არა, როგორც ვხედავთ, თქვენ ძალიან სულწასულად გყვარებიათ რითმების რახარუხი, იმისთვის შეგიწირავთ: აზრიც, ფიქრიც, ის ცოტაოდენი გულის სითბოც, რომელიც ალაგ-ალაგ ჩანან ორიგინალშია. სულ ხელაღებით მოგითხრიათ კაზლოვი.

„იმ მშვენიერსა, თოვლებრივ თეთრსა,
ხუჭუჭნი თმანი ჰფარვენ მის შუბლსა...“ და სხვანი.

ჩვენ მივხვდით, რის თქმა გინდათ თქვენა, — იმ მშვენიერ, თოვლებრივ თეთრსა შუბლსა ხუჭუჭნი თმანი ჰფარვენო, მაგრამ ისევ ის გაუთავებელი „ხელი გავიქნიე ფეხი“ გამოგვივიდათ. ათასი კიდევ სხვა ამისთანა მაშრიყ-მაღრიბულ ენის კონსტრუქცია აქვს თავად ერისთავს თითქმის ყოველგან, მაგრამ ჩვენ აღარ ამოვსწერთ.

„გასწი, გაჰკურცხლე! იმის ანბავი
შენ მომიტანე, რომ სატრფო თავი
ჩემზედ რას ჰფიქრობს...“ და სხვანი.

სასაცილოა, რომ რითმის ტრფიალების გამო კაცმა სთქვას: „სატრფოს თავი ჩემზედ რას ფიქრობსო“. თავი იფიქრებდა, თუ იფიქრებდა, ფეხები ხომ არა?! რაღა თქმა უნდა მაგას? როგორც ვხედავ, თავადი ერისთავი ფეხებსაც-კი აფიქრებინებდა, რომ რითმას მოეთხოვნა. მერე პოეტი, რა ლაპარაკობს შეშლილზედ, ათავებს ეგრე მშვენივრად:

„...გულს აწუხებენ
ძველი საყდარი, ის საფლავები,
თითქოს ბნელაში დგებიან მკვდრები,
დაყრუებული ის არე-მარე
საშიშარია ეგრეთი ღამე,
ჩემ ფიქრთ აღელვებს ეს მოსაუბრე...“ და სხვ.

წადი და ეძებე, ვინ მოსაუბრე? დაყრუებული ღამე, თუ ის არე-მარე? აი, ამათ კი, სწორედ უზმნო ენა აქვთ, თუ ეგენი არიან მოსაუბრენ.

„არა, რა მესმის გაუგებრადა...“

გაუგებრად ვის რა ესმის, რომ თქვენ გაგეგოთ? სულ ამაო ჩივილია, მაგრამ თუ მარხილით მიმაქროლებელმა, ზარის წკრიალში და მარხილის ჭყრიალში გაიგო ის სახელოვანი ზემოხსენებული სუნთქვა საყდრიდამ, თქვენ, გვიკვირს, გაუგებრად რატომ არ გაგიგიათ?

„თითებითა თვლის კიდეცა თვეებს“ და სხვანი.

ახალი თვლა შამოუღიათ საქართველოში — თითებითა და არა ჭკვითა. ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ თითებზედ შეიძლება თვლა და არა თითებითა.

„ვხედავ საოცართ მე სანახავთა,
თითქოს რაღასაც მოჩვენებათა;
იქნება არის მხოლოდ ოცნება,
მაგრამ ბუნება თვით რომ იცვლება!“ და სხვ.

ამ ორ პირველ სტრიქონში კიდევ იგივე „ფეხი გავიქნიე ხელია“. ჩვენ ამისათვის კი არ ამოვწერეთ ეს ლექსი, რომ ეს გვეჩვენებინა, არაშედ იმისთვის, რომ უალაგო ალაგას „მაგრამ“ კუნტია; მაგრამ ეს ისეთი პატარა შეცოდებაა სხვა ახოვან შეცოდებაებთან, რომ თითქმის ღირსებად მიეწერება თავად ერისთავს და არა ცოდვად.

აი, ამ ქვემო-მოხსენებულ ლექსში გაშინჯეთ, რა აუარებელი ტანჯვაა გამოთქმული და იქავე ცოტაოდენი ნუგეში, რომელიც სურვებია შეშლილსა და არ მოსცემია, მაგალითად:

„დილით თუ ღამე ვფიქრობ მასზედა,
ცრემლი არ მშრება არც ერთ თვალზედა“ და სხვ.

ერთ-ერთ თვალზედ მაინც შეშრობოდა, რა ულვთობაა! მითამ რა ნუგეშია, რომ ერთ-ერთ თვალზედ შეშრეს, მეორიდამ კი სცვიოდეს ცრემლი?

„მის საშინელსა ჩემსა ტანჯვასა“ და სხვ.

ეს რა არის, ნეტავი გვითხრათ? თუ ის საშინელი ტანჯვა მისია, თქვენი რაღად იქნება, თავადო ერისთავო, და თუ თქვენია, იმისი რაღად იქნება? მაგრამ მაინც კიდევ და-ძმურად გაგიყვიათ: სახელი არსებითი თქვენ აგიღიათ და ამ არსებითი სახელის ზედშესრული შეშლილისთვის დაგითმიათ. კიდევ კარგი, რომ ხელცარიელი არ დაგიგდიათ.

„ბნელი ტუტუნი...“ და სხვანი,

მითამ ნათელი ტუტუნიც არის ქვეყანაში, არა გვგონია!

„იცი რა მითხრა, ღამე მთვარეში...“ და სხვ.

ეს სულ ახალი გამოჩენაა ასტრონომიაში! რომელ ტელესკოპით დაუნახავს თავად ერისთავს ღამე მთვარეში?

„ან სვინიდისის მე ყვედრებაში
რისთვის ჩავარდი ვფიქრობ ჩემ თავში...“ და სხვანი.

რა ჩაუვარდა საწყალს შეშლილს თავშია, რომ ეგრე ჩივის? არაფერი არ ჩავარდნია თავში, მხოლოდ თავად ერისთავს ვერ მოუხმარია ზმნა. პირველი პირი ამ ზმნისა ჩავვარდი არის და არა ჩავარდი. თუნდ რომ ეგრე იყოს, რომ „მე ყვედრებაში რისთვის ჩავვარდი ვფიქრობ ჩემ თავში“ რაღა არის? რატომ „ვფიქრობ“ ამის წინ ნიშანი არა ზის? მერე ვფიქრობ ჩემ თავში რაღა სათქმელია? ვინც არ იცის, რომ ფეხებში ფიქრობა არ შეიძლება? მაგრამ ვინ იცის? თუ ღამე მთვარეშია, რატომ ფიქრობა ფეხებში არ იქნება!.. და სხვანი და სხვანი, ჩვენო კეთილო მკითხველო!

თავიდამ იქამდი, სადამდინაც მე წავიკითხე ეს „შეშლილი“, სულ ამისთანა შეცდომებია, მაგრამ ჩვენ სულ ყველა იგი რომ ამოგვეწერა, ხელახლად დაბეჭდვა მოუნდებოდა თითქმის. ის არ ეყოფა ამ საშინელს თარგმანს, რომ ერთხელ ეღირსა დაბეჭდვა, რომ მეორედაც არ დაბეჭდილიყო? ჩვენც თიოონ ისე დავიღალენით, დავიქანცენით, დავყრუვდით რითმების უთავბოლო რახარუხით, რომ ვერ შევძელით „შეშლილის“ ბოლომდი წაკითხვა. სწორედ

მეოცდა-მეერთე თავის, თუ მუხლის, მეხუთე სტრიქონზედ შევდექით! კიდევ ბარაქალა ჩვენს ბიჭობას, რომ იქამდი მივსულვართ!..

ეს რაცა ვფქვით ჩვენა, მგონია სამყოფი იყოს, თითონ მკითხველი დაგვემოწმოს, რომ სწორედ მიწასთან გაუსწორებია ისეც არც ძალიან მაღლა მდგომარე კაზლოვი. საწყალი კაზლოვი! იფიქრებდა, რომ იმისი „შეშლილი", რომელზედაც იქნება უტირნია, ესრეთი სასაცილო იქნებოდა თავად ერისთავის თარგმანში? მარილა, რომ კაზლოვის „შეშლილი" სრულად შეშლილა ქართულს ენაზედ; ერთი ბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს — არც იმისი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეული პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავის მშობლიურ ენისა. მარტო ჩანს, რომ საკვირველად ჰყვარებია თ. ერისთავს რითმების რახარუხი.

მთელს თავის თარგმანში თავად ერისთავს აქვს ექვსი სტრიქონი ლექსი ისეთი ლამაზი და მსუბუქი, რომ ჩვენ არც კი გვჯერა, რომ იმისი დაწერილი იყოს. აი, ის ლექსები, რარიგად ხატვენ შეშლილის მდგომარეობას.

„ხან მიიხედავს, ხან მოიხედავს,
გარემოს ჩვენსა საფლავს შეხედავს...
ამოიოხრებს, იწყებს ლოცვასა...
ხან ათრთოლდება, შეხედავს ცასა,
შეშინებული მე მომეკვრება
და ხან უეცრად კრეჭას მოჰყვება..."

აი, აქ ჩანს ენაც, მხატვრობაც, აზრიც და ის სურათი, რომლის წარმოდგენაც ცხადად შეიძლება. ეს ლექსები ისე შვენიან დანარჩენ ლექსებში, როგორც ვარდი ჭინჭრებში. სწორედ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ლექსები ისეთი ლამაზები არიან, რომ ჩვენ გვიკვირს, ამისთანა ლექსები როგორ შესძლო იმან, ვინც მაგალითებრ, ეს დასწერა:

„ესე ყოველი სახელოვნება
არს საიდუმლოს აღსაარება,
რომელ არს ერთი ერთისა სულით
ყველასა მართავს ერთისა ძალით
ამა ქვეყნისა მშვენიერებას
და აგრეთვეცა საშიშროებას
ზღვათა და ცათა, ქვეყნიერებას —
რომელსაც უწოდთ ერთსა ღვთაებას!" და სხვანი.

ეხლა, როცა გვინდა კალამი თავის ალაგას დავსდვათ, ფიქრად მოგვივიდა: იქნება თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირ-მოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილ საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ. შ. ერისთავმა ჩვენი პირ-მოუფერებელი სტატია, რა უყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცღებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა უყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერია, ამბობს ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, გამხილავიც შეხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?

1861 წელსა, ნოემბრის 5-სა დღესა.

საქართველოს მოამგეზედ

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცსა ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც შიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ისე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის—თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საგოზადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულვიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარვიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმისი მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა,— ერთობ ცხოვრების ჰდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო

ტრუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავს დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლვა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშვსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოაეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე

ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღძრწობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის-დღეში არა; ძის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა — შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჭრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა—ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.

რა ააბლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ? ცოდნასა მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. „ხე ცხოვრებისა — ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი — და ხე ცნობადისა ერთს ძირზე ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვა-და-სხვა დროსა მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ

მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა".

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება.

თუ ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, — ცხოვრება კი ძნელად, თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ. დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და-დღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება, ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის.

მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვა-და-სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, — რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი

იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა. მართალია, ეს დაწინაურებული თავობა ხშირად თავგადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცნობაში თვითეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის, — მართალია, ხშირად თავგანწირულად ჯაფასა სწევენ, ებრძვიან ძველსა ახალის სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამაატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ სძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დასდებენ ღირებულს ფასსა, ვერ დაუნიშვნენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გაამაგროს პირველივე ქვა ახალის საძირკველშია. საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი.

ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავის ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შე-

მოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობასა, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, — ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

მეცნიერება და ხელოვნება — ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა — არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე. ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული შაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა — „აცა ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახ-

ლებისა, კიდევ ამ-რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლეს მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაში მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მოყვანილი და დამტკიცებული, როგორცა ვსთქვით, მეცნიერებაა და ხელოვნება — ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა — არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან. როგორც არსებითი პური. რომელ ხალხშიაც ეგ არის, იქ მომეტებული ნაწილი სიბნელეში დადის: უნდა, საჭიროა, რომ იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფნი, მაგრამ ვერ მისწვდომია, განა იმის გამო, რომ ულირსნი და ულონონი არიან, არამედ ათასი სხვა-დასხვა ნაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ.

მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხ-

შია; მართალია, არიან სკოლები, სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა, მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა — წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარეთ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგონ რამე, შეივსონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი მოუცლელობისა გამო, ზოგი კიდევ სხვა-და-სხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.

ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამცნივეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა — და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდვის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგ-გვარ ლიტერატურას ჰქვიან: „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან

კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთავო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი". აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა".

რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი: უაძისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება — ეგ დედა ყოველი საქმის — ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი.

რამოდენადაც მოსავალი მრავალია, ასე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადასწვდება, ერთი ჟურნალის ღონე ვერ შესძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრების მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ, — და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთ შორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არმც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავ-

ლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომ-ლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ჟურნალები.

ჯერ ჩვენი საწყალი „მოამბე“ არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შესწამა. ჩვენ რა გვეთქმის ამაზედ ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძ-ლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. „მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადვე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხვე-ლებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარსა“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი.

დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონება-გა-მოცლილ „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაც ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრე-ბელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქ-რადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა-გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქ-რობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავ-ბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრე-ბის გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას — მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვ-რების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული,— არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა", ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერია აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი.

ამ საზით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ-სინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მწოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა

და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის — ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი შამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა: არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს

პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას. ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.

ოღონდ ხელოვნება არ იგდასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება — ჭეშმარიტებას, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება — ეგ უდიდესნი საგანნი, — ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს „მოამბეს“ კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდეგშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გაშოყვანასა. ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალისა შიგ-მდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი „მოამბე“.

კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, იმიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა, თუ ამ სტატიამ მაგოდენი შესძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

მეტი არ იქნება მოკლედ გაგვიმეოროთ ის, რაც ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოწატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა. მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობაების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე“ თავის ძველ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი— ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ... „თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

[1862 წ.]

ზოგიერთი რამ

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“.
თ. გრ. ორბელიანი

რაკი ჩვენს ღარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსე სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მიხდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

ვიცი, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო, კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, **მკითხველო,** შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმაო, თუ დაო, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკოო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ,

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს სყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გვონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცურ-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, — ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდამ მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი — სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი

არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი, — სათავადოა, აზნაურისა — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და ოგვე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური — თავადსა, ორივენი — გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითოთითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის. მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ. საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, დ

ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით — თუ არაფერს აკეთებს — თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი — ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში ეხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალაა. ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეა. რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დულსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან — ჩემი ხალხის წყენაა, და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენაა.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსთვის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრე-

ლია, ქართველი — ქართველია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!

VI

განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ველარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ველარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ველარ მოვერევენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ, ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ველარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც — ეგ საქმე დაემართა.

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, — ბინასა, რომგლიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის საზელიღაა.

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნაოქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი **მნიშვნელობა?**

გახვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავ-თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

IX

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთ-

მანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ვეღარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწია. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ — ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას — ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ — ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდის ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთი-ერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავ-თავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მ ი ი რ თ ვ ი ც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას. თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთ კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია. შ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, სიწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ „ჰკიდია“ ვიხმარე და შენც აოასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილების გონების აზრი არ მიაწეროს.

X

სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა

გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გულდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კერძოობითად გავხადეთ, მ ა მ უ ლ ი დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პ ა ტ ი ვ ი — ნეხვად, თ ა ვ ი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კ ა ც ი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

XI

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუჭდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი მისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული — აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი; მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო

მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ — მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!..

[1866—1876 წ.]

პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ

ჩვენ აუარებელი ლექსები მოგვდის დიდის თხოვნითა, **რომ დავიბეჭდეთო.** ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არა-სასიქადულოდ, ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლოა არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვენ ჩვენის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია, იძულებული ვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველივე ეს წარამარად კუდგადაბმული მწყობრსიტყვაობა, რომელიც გაუსაპნავ ურემსავით ჭრიჭინებს ყურისათვისაც და გულისათვისაც. ვკითხულობთ და ვნანობთ, — რაზედ დავკარგეთ დრო და რაზედ წავიხდინეთ, გავიუგემურეთ გუნება. ჩვენ კიდევ იმედი მაინც გვანუგეშებს, როცა ამისთანა უმადურს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელს შრომას ხელსა ვკიდებთ. ვფიქრობთ, იქნება ათასში ერთს კარგსა და მარილიან რასმეს შევხვდეთ, და თუ ეს იშვიათი, ძლიერ იშვიათი ბედი გვეწვევა, სიხარულით წავაკლებთ ხოლმე ხელსა, როგორც ობოლს მარგალიტსა, აუარებელ ლექსში ნაპოვნსა. მაშინ ჩვენც ვსიამოვნობთ და ვსტკბებით და ჩვენს მკითხველსაც ვასიამოვნებთ და ვატკბობთ.

ვამბობთ, ეს ბედი იშვიათად გვეწვევა ხოლმე. ხშირად მთელ დასტა ქაღალდს გადიკითხავთ და ერთ სტრიქონსაც ვერა ნახავთ, „ღვთაებურის ცეცხლით“ გამთბარსა. სანანური მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის, — დამწერი რათა სცდება, რათა ჰკარგავს დროს, ხარჯავს ქაღალდს, მელანს, მაშინ როდესაც არავისაგან დავალებული არ არის? უსაქმურს კაცს, რა თქმა უნდა, ამისთანა უხეირო საქმიანობა არ ეკიჟინება, ცუდად

ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო, ნათქვამია. ჩვენ ამისთანა კაცის არც დრო გვენანება, არც ჯაფა, იმიტომ რომ არც ერთია მისთვის გამოსაყენებელი და არც მეორე, დეე ისევ ლექსებში სიტყვები აჭრიჭინოს თვისდა სასიამოვნოდ და რედაქტორის შესაწუხებლად. ხოლო სამწუხარო და სანანური ის არის, რომ ამაზედ სცდებიან თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით და, მაშასადამე, დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საფასური აქვს.

დღე არ გავა — არ მოგვივიდეს ლექსი და ქვეშ არ ეწეროს „მოსწავლე ამა და ამ სკოლისა“. დღევანდელი ჩვენი სიტყვა ამათ გვინდა მივმართო; ვშიშობ კი, რომ ჩვენი სიტყვა ისე არ იქნას მიღებული ზოგიერთ ჩვენთა მოკეთეთაგან, ვითომც ჩვენ ხალისის დახშვა და გაცუდება გვინდოდეს. ღმერთმა ნუ ქმნას!.. ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთა-შესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე.

ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირს სიტყვას. პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილ-უბრალო წაქეზებას. ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვის ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზემოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვსიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის — ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრო-

ნობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის.

თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ ბიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამ, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ოუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე. კიდევ გეტყვით: პოეზია • ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული — ზღვაა უძირო, არამც თუ ოვალ, ფიქრ-მიუწვდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი — აფრა და მეცნიერება — საჭე, გემის მიმმართველი. ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“. ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველივე ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად.

ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მალე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა, საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. „უკეთუ მთარგმნელი არ იყოს, მკითხველნი დუმენო“, ნათქვამია ერთის ძველის ბრძნისაგან. ჯერ თქვენ, ვი-

თარცა მოსწავლე ყრმათა, ეგ მთარგმნელობა არ შეგიძლიათ, ვიდრე საკმაოდ არ შეისრულებთ სწავლასა. ამიტომაც მოგახსენებთ: სდუმენ იმ დრომდე. ამას გირჩევთ ყველას, ვისაც ხალისი ლექსის წერისა ადრეულად გაგლვიძებიათ. ვცდებით ამაში თუ არ ვცდებით, ეს კი გვერწმუნეთ, რომ რჩევა ჩვენი გულწრფელია ორსავე შემთხვევაში. გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გულითადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე.

[1886 წ.]

წერილები ქართულ ლიტერატურაზე

I

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელადა აქვს: „ხმა შორიდამ“* და რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულს „ახალს და ძველს თაობას“ ჩვენში. ჩვენ გვინდა ჩვენს მკითხველს განვუზიაროთ ჩვენი აზრი ამ წერილის საგანზე, და ვიდრე ამას ავასრულებდეთ, საჭიროდ დავინახეთ მოკლე წინასიტყვაობისავით წარვუმძღვაროთ წინ შემდეგი.

არა ერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალ თაობას,—რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას,—რატომ არა გაკეთე-რაო, იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე-კი არავის გამოურკვევია — რა არის და ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა, და არავინ იცის — ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ.

მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებ-ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელებიხ წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა — და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება, — მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა თუ მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი.

---

* იხ „ივერია“. № 20. [1892 წ.]

ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშობა იქნება. ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკვათამყოფელის მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

აი, როცა ამ საკითხს მივაწყდებით ხოლმე ძალაუნებურად, მარტო მაშინ ვხედავთ, რომ ხსენებული სიტყვები ჩვენში ცალიერი სახელებია უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო. საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორისავ ერთად, თუ ისე ბედნიერად მიმადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისაც და მეორისაც. საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მიხამართავად; იმიტომ, რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად.

ყოველს იმისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძირღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვიცა აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი იმისდა მიხედვით, თუ რომელის აზრისა, ან საქმის პატრონია და მიმყოლი. მაგალითებრ, როცა იტყვიან: ეს კაცი ნაციონალისტია, კოსმოპოლიტია, ლიბერალია, კონსერვატორია, იდეალისტია, რეალისტია, ფრიტრედერია, პროტექციონისტია, რესპუბლიკელია, მონარქიელია, ამით არამც თუ მარტო მის მიერ დაჩემებულს, შეთვისებულს და მოძღვრებულს საზოგადოებურს აზრს და მიმართულებას გვისახელებენ, არამედ მათდა საპირისპიროსაც.

რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცო-

ვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს, ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა.

რასაკვირველია, იშვიათი არ არის ქვეყნიერობაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს რომელიმე აზრი, თუ საქმე, მაგალითებრ, დარვინის სამეცნიერო აზრს და მოძღვრებას დღესაც დარვინიზმობით იხსენიებენ, ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას — ბაირონიზმობით. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე, ეს კაცი დარვინისტია, ბაირონისტია და მებრვე სხვა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინ აგვეტუზება ერთი საკითხი: თუ ცალკე კაცის სახელით საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი განირჩევა ერთი მეორისაგან, რატომ მთელი წყობა, მთელი კრებული, რომელსაც ან ერთი ან მეორე თაობა წარმოადგენს, თავის სახელით ვერ აღნიშნავს მის მიერ მოძღვრებულს საზოგადო აზრსა, თუ საქმესა? ჩვენ ამის უარს არ ვამბობთ: ეგეც შესაძლებელია. ხოლო დავაკვირდეთ იმას, რომ ამ შემთხვევაში სახელი ახალის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, ჰმოძღვრებს და ასულდგმარებს ერთი თაობა, და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს. ხომ მარტო ამითი უნდა გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან, და აბა გვიჩვენეთ, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უწერია თავის დროშაზე? ან ვისი საზოგადო აზრი, მიმართულება, თუ საქმე — ვისას ერჩის და ვისას ებრძვის?

კვლავ ვიმეორებთ: როცა ამისთანა საკითხს წავაწყდებით ხოლმე, მხოლოდ მაშინ ვცნობილობთ, რომ ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის-რა, ბავშობის მეტი, იმიტომ რომ მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშვს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა.

ამიტომაც, როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას — არას აკეთებთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც, და მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალ-ცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი. თუ რომელიმე წყობა ცალკე გამდგარა და განგებ დაურქმევია თავის-თავისათვის ძველი, ან ახალი თაობა, და ყოველს სხვას, თავ-თავის წყობის გარეთ მოქცეულს, ან ერთს, ან მეორე სახელს ეძახიან, — ეგ ხომ საქმის ვითარებისაგან წარმომდგარი არ იქნება, ეგ ხომ ძალად აკვიატებულს სახელს მოასწავებს, თვითნებობით დაჩემებულს! ამისთანა ხალხზე მარტო ეს ითქმის: დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო.

რა თქმა უნდა, ამ საგანს ბევრი სხვა ახსნა და გარკვევა სჭირია, მაგრამ რაცა ვსთქვით, ვგონებთ, საკმარისია ჩვენს თავს ვურჩიოთ, რომ დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ; რას ითხოვდა წინა-დღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა. ჩვენ ვეცდებით შემდეგ ეს საგანი ამ მხრითაც, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ.

II

ჩვენ ჩვენი წინანდელი მეთაური წერილი იმით გავათავეთ, რომ ვირჩიეთ გამოვარკვიოთ: გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა? რას ითხოვდა წინა-დღე და როგორ გაუძღვა იმ თხოვნას დღევანდელი? ჩვენ ესე დავაყენეთ ეს საქმე, იმიტომ რომ ჩვენს ამ საუკუნის ცხოვრებაში ვერა ვპოულობთ ერთს იმისთანა ხანას, რომელიც წარმოგვიდგენდეს აზრთა და მიმართულებათა ერთმანეთთან დაჯახებას, ბრძოლას და ჭიდილსა. პირიქით, მთელს ამ უკანასკნელს საუკუნეს რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ჩვენს ტაატით მოარულს ცხოვრებაში,

როცა კი აზრს ფეხი აუდგამს და უსაქმია, წინ სამტროდ არა სხვა აზრი და მიმართულება არ დახვედრია და მშვიდობიანად უვლია თავის განვითარების გზაზე, გაუფართოებია თავისი მოედანი, გაშლილა, შეფოთლილა, გამოუღია თავისი ნაყოფი. მერე თესლიც დაუყრია შემდეგისათვის და აგრე მოდენილა ჩვენამდე.

მართლაც, მთელი ეს მეცხრამეტე საუკუნე ისე დაგველია, რომ ამ საკმაოდ დიდს მანძილზე არც ერთი ხანა ჩვენის ცხოვრებისა თითქმის არ ყოფილა იმისთანა, რომ ორი სახსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირე, ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად, თუ სხვა რისთვისმე. ვერ ვიტყვით, რომ ამ გრძელ დროს განმავლობაში არ ყოფილიყოს ხანა და ხანა, რომელნიც განირჩევიან თვისთა აზრთა წყობით, მიმართულებით, თუ საქმიანობით, ხოლო ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ ვერ ვიპოვით ერთსა და იმავე ხანაში იმისთანა სხვადასხვაობას აზრთა წყობისას და მიმართულებისას, რომ ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საჭიროება წინ გასძღოლოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ სახეში გვაქვს სხვადასხვაობა მარტო იმისთანა აზრების და მიმართულებისა, რომელნიც სახსენებლად ღირსნი არიან, თორემ ჩხირკედელობის ჰო-არაობა ბევრი იყო, ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანებში, როცა რუსულ ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინ-დაუხედავად, უკრიტიკოდ, და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენის ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახირო. ის კი დაგვავიწყდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ბრძოლას არავითარი მიზეზი არა ჰქონდა არამც თუ არსებობისა, ფეხის ნელად მოკიდებისაც კი.

ამ ბრძოლის ატეხა და მოვლენა ჩვენში, ამტეხელთა და მომავლინებელთა უნებურად, იმას მოასწავებდა ჩვენის მოაზრე ცხოვრებისათვის, რაც დროთა ვითარებამ დაჰმართა მოსაქმე ცხოვრებასა, მით, რომ თავით თვისით წინსვლა შეუფერხა და გადაეღობა მის თვითმოქმედების ძალღონესა, თითქო ჰსურთო, არამც თუ მოსაქმე ცხოვრებით, არამედ მოაზრეთიც, ყოველი ჩვენი დაგვკარგოდა, ავყოლოდით სხვისას, სხვას დავსმგავსებოდით როგორც საქმითა, ისეც აზრითა. ჩვენ ჩვენობა აღარ დაგვ-

ტყობოდა, ერთის სიტყვით მოვლენილ დროთა ვითარებას მივ-
ცემოდით სულითაც და ხორცითაც. მადლობა ღმერთს, ამ ბრძო-
ლის გადმოტანა ჩვენში ქარის მობერვასა ჰგვანდა და ქარსავითვე
გაგვექარვა, და ჩვენმა და ჩვენობამ ომ-გადუხდელად თავისი
თავი გაიტანა ჩვენდა სანუგეშოდ, როგორც ვნახავთ შემდეგში.

ამიტომაც ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვა-
ლი გავუბნიოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მი-
მართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წი-
ნაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი.
აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, გან-
დიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთაც
გაბატონება, ბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმო-
ბა მეორისა. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში არც ერთს
ცალკედ ფეხადგმულს აზრს, თუ მიმართულებას, ბუნება ჟამთა
სიარულში არ გამოსცვლია, არ დაჰშლია, და ყოველივე იგი,
დაწყებიდამ დღევანდლამდე, თითქმის ერთისა და იმავე ბუნე-
ბისაა, ერთისა და იმავე თესლისა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ
როგორც ყოველივე მოზარდი, დღეს ისეთი აღარ არის, როგო-
რიც გუშინ იყო: დღეს უფრო დასრულებულია, უფრო ტანადო-
ვანია, თუ ესე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაქიზებული.
აიღეთ რომელიც გნებავთ ცალკე აზრისა და მიმართულების მა-
ტება და წინსვლა, ყველგან ნახავთ, რომ ერთს მეორესთან მო-
თავსებით, ერთმანეთის შეწყნარებით უცხოვრია, ხელშეუშლელად
მშვიდობიანად უცლია, და ამ სახით ყველა მოღვაწენი ერთს დიდს
ველში ჰბმულან, და ვისაც სად, რა და როგორ ეხერხებოდა, ეს
ველი უწევია, იმიტომ რომ აქ ყოველი გზა რომში იყო მი-
სასვლელი.

აბა მივიხედ-მოვიხედოთ, — მართლა ესეა, თუ არა. მეთვრა-
მეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების
წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თა-
ვის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო
მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ და-
ემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას. თუ დააკ-
ვირდება კაცი იმ საშინელ გარემოებათა, რომელთაც აბეზარს
მოიყვანეს ჩვენი ერი, უამისოდაც ილაჯ-გაწყვეტილი შინაურ ამ-
ბოხებისაგან ცალკე, და ცალკე გარეულ მტერთა ზედმოსევისა,

ხოცვისა და რბევა-აკლებისაგან, ის არა გვგონია ისე გაკადნიერდეს, რომ ამ წყურვილს დასვენებისას უკიჟინოს. ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს.

მართალია, ამ სვენების ხანშიაც კიდევ დაჰნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავლის მზისა, წინა-დღიდგან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმარებდნენ საზოგადო მოღვაწესა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ. მართალია, მაშინდელი აწმყო ისეთი მიზეზიანი იყო, რომ საზოგადო მოღვაწეებს საბუთი ჰქონდათ ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლისა, იმიტომ რომ ეს იმისთანა მოძრაობის დრო იყო, როცა მომხრეობას წარსულთა ანდერძებისას წინ უნდა დაჰხვედროდა იმ აწმყოს გამომწვევი აზრი და მიმართულება. გარნა რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მისწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეუქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებას. დამარცხებულნი სრულად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსნენ, თუმცა კი გულის-ტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში.

ჩვენა ვწუხვართ, რომ მეტის სავსებით ვერას ვიტყვით ამ თესლად დარჩენილისას, რომელიც, როცა ამინდი დაუდგებოდა, ხელ-ახლად უნდა გაღუებულიყო აღმოსაცენად, თუ ცხოვრებას ჰსურდა თავისი მახლობელი სათავე არ დაჰკარგოდა სამუდამოდ. ხოლო რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა გვაცოდინოს, რომ ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, აწმყოსა და წარსულ შუა ჩასტყდა ხიდი, შემდეგს სათავე და დასაბამი მოუწყდა. ამიტომაც ამ ხანაში ბოლოს-და-ბოლოს ვხედავთ, რომ ბუნებური ორკეცი დენა ცხოვრებისა შედგა, გაჩერდა. ჩვენ ორკეცი დენა ვახსენეთ იმიტომ, რომ ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა*, მეორე — მოსაქმე**, რომელნიც ისე �რიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან.

---

* **Идейная жизнь.** (ა ვ ტ.)
** **Практическая.** (ა ვ ტ.)

თვით აზრიც სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც — აზრია, უკვე განხორციელებული.

ამიტომაც ამ ხანაში ვხედავთ სრულს უკაცურობას. არც ერთს მხარეს ბუნებითად რთულ ცხოვრებისას მოღვაწე აღარ უჩანს. მოსწყდა ორკეცი დენა ცხოვრებისა და დაცარიელდა საზოგადო მომქმედთა სარბიელი. რაკი წარსულსა და მაშინდელ აწმყოს შუა დედაშიწა გაირღვა, წარსულ ანდერძებთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ. ისიც-კი დავივიწყეთ, — ვინა ვართ და რანი ვართ. ამ გარემოებამ ხომ სრულიად გაგვიუქმა ჭკუა-გონება, ამოგვიშრო ტვინი, იმიტომ რომ საგანი ცხოვრებისა დავკარგეთ ამაების დავიწყების გამო, და ჭკუა-გონებას, სულს და გულს აღარა ჰქონდა მიზეზი ფრთა გაეშალა, და რა თქმა უნდა მოაზრე ცხოვრება ველარ დაიძროდა ადგილიდამ და შედგა, თითქო ერთს ადგილს შეიკრა და გაიყინაო.

არც მოსაქმე ცხოვრებაში შეეძლო თავი ეჩინა საზოგადო მოღვაწესა. ეს მხარეც ცხოვრებისა, თავის საწყლეში მომწყვდეული, შეჰგუბდა და გაჩერდა შეგუბებული, თითქო ახალ გარემოებათაგან გზადაკარგული ელისო, აცა საით გამიხსნიან ნაპირს, რომ იქიდამ დავიძრა და მივედინოო. გახსნა ნაპირისა თვით ცხოვრების შვილთა ხელში აღარ იყო და რა საკვირველია, რომ აღარც საგანი, აღარც საქმე იყო მოსაქმე ცხოვრებისათვის. უსაქმობამ და უსაგნობამ ცხოვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას. ვისაც რაიმე ნიშან-წყალი ადამიანობისა ჰქონდა, ყველანი ერთობ გაიწივნენ სამსახურისაკენ და მის ფარგალში შეიმწყვდიეს თავი, დანარჩენნი კი შინ, თავის ოჯახებში შეიკეტნენ, ვნახოთ ხვალე რას მოგვიტანსო. პირველნი იმისათვის, რომ ახალ ვითარების კალთას ქვეშ თავი როგორმე გაიტანონ, და მეორენი იმისათვის, რომ თავის პატარა ოჯახების პატარა სანათურიდამ თვალი ადევნონ, — აცა, ციდამ ვაშლი როდის ჩამოვარდება, რომ პირველი მე მივვარდე და მოვკმინჩოო. საზოგადო ცხოვრება-კი უკაცურად დარჩა, არც ერთთა და არც მეორეთა იგი აინუნში არ მოსდიოდათ, თითქო რაკი იგი, როგორც მეტი ბარგი, მოიხსნეს, მოხარულნი არიან, რომ მისთვის ზრუნვა, ურვა და გარჯა თავიდამ მოჰშორდათ და სხვამ იდვა კისრადაო.

აი, ჩვენის ფიქრით, ნიშნობლივი ძარღვი იმ ხანასი, რომელ-

მაც მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლების თითქმის მეორე ნახევრამდე თავი იჩინა ჩვენში.

ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისეც საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვნევდნენ. მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე.

პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგა ხნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ — მცირე კუნჭული-ღა, ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენასა, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ — რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინადღე და რა პასუხს აძლევდა.

ყოველს ამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

III

მწერლობა ჩვენი, ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი. შინაურს ვამბობთ, რადგანაც შინაურობაში იბადებოდა და ისე შინაურობის მოკლე წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ რომ, მაშინ არც ჟურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულობა ცალკე წიგნად ბეჭდვისა. და, სწორედ მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო, რადგანაც

საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლობის თვალისათვის მიუწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით ცხოვრებაში ყოფილიყო. მაგისთანა საგანი. ყველა ასაკს თავის შემძლეობა აქვს და ახლად ფეხადგმულს ვერ მოსთხოვთ ნაბადზე გადახტომას. შესაქცევრად იმიტომა ვხადით იმ პირველ-დაწყებითს მწერლობას*, რომ იგი მარტო ერთს, თუმცა დიდ-გავლენიანს შტოს ლიტერატურისას ემსახურებოდა, სახელდობრ, — პოეზიას, ისიც იმ ფარგალში, რომელსაც „ლირიკას“ ეძახიან და რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამისთანა მგალობელი მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილ ცხოვრებისათვის: ქანცგაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი, — და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო, თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი. ხოლო ამით იმის თქმა გვინდა, რომ რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა.

ამისთანა იყო მწერლობა თ. ალ. ჭავჭავაძისა, თუ მარტო მის უმთავრესს ძარღვს მწერლობისას მივიღებთ სახეში, თორემ ამ ტკბილს მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თვისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება:

ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა,
რომელნი სჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

---

* აქ პირველ-დაწყებითად ვრაცხთ ამ საუკუნის მწერლობის დასაწყისსა და გადავიწყებული არა გვაქვს წინა საუკუნეების ცოტად თუ ბევრად სახელოვანი მწერლობა, რომელიც თითქმის მეთვრამეტე საუკუნედამ შესწყდა ამ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

ეს ძალა, რომ ღიმით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზა-და-გზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიცა სჭკნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით, — ნათელი სურათია მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო, და ამბობს — გაფრთხილდითო:

> რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
> და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ, მონებას,
> მოელოდეთ მათთან თანასწორებას!..
> არ მარადის იშვათ
> მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხვეჭით.

ამ სხვა დროთა მოსვლის იმედი გულიდამ ამოღებული არა ჰქონია ჩვენს პოეტს. პირიქით, იგი ამბობს:

> რადგან იქნება, სულგრძელება იხმაროთ რად არ!
> ნუთუ კვლავ ღმერთმან გკურნოსთ ერთმან...

და თუ სწუხს, მარტო იმას, რომ ვაი თუ მე ველარ მოვესწროო, იმას ვსტირიო, ამბობს იგი:

> ...ვაჰ, თუ ვესწრა ვერ,
> თვარა-ღა ქამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.

ხოლო ამისთანა საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშ-მცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა. და თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულისშვილურ გულის-ტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისთანა გულის-ტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწური მერე როგორ გაზრდილა და უმატნია.

პირველ ხანებში თ. ალექ. ჭავჭავაძის გზას დაადგა თ. გრ. ორბელიანიცა. ხოლო იმავე დროს პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს. იგი ერთს თავის თანამედროვეს მოხუცს სწერს: „ნეტავი ოდეს —

> შენ მომითხრობდე.
> მე ყრმა გისმენდე

გამოუცდელი მოხუცებულსა, —
თუ ვით ივერნი,
ლომ-გულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.

თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, — „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. უწარსულოდ იგი უფესვ-უშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოა და მეორეს მხრით უშვილო. დიაღ, მან პირველმან შეჰკვნესა ჩვენს დავიწყებულს წარსულს:

წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს!..

რა კეთილი? ერთგულება და სარწმუნოებაო, რომელნიც ქართველის თვისებას შეადგენდაო, და რომელსაც იგი უსათუოდ ვეღარ ჰპოულობდა თვის გარშემო; ვაჟკაცობა და მამაცობაო, რომელნიც ქართველის სახელს აღარ ადიდებდნენ უწინდელებრ; და ყოველ ამის ვეღარ მნახველი ამბობს:

დავნატრი მაო, ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისაღმი გულს აღბეჭდილად.

ამ სახით თ. გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა. წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელები სიტყვიერებისა, რომელშიაც, ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს. ამას ჩვენ წინწაწევას და წარმატებას საქმისას ვეძახით და ვსთვლით განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით, იმიტომ რომ აქ ერთი მეორეს ერთვის, როგორც ცალ-ცალკე ტოტი ერთსა და იმავე მდინარესა, და ერთი მეორისაგან გამოდის, როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღეისოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალიოდ.

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ უფრო მეტად არ დავასურათეთ მთელი სიმდიდრე თ. გრ. ორბელიანის პოეზიისა. მაგრამ ყო-

ველ იქიდამ, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, ცხადად დასანახია, რამოდენად ჩაღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა თ. გრ. ორბელიანმა. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ საგნად აღებული გვაქვს არა განკითხვა ჩვენის მწერლებისა კრიტიკის თვალითა, არამედ იმის გამორკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის.

დანარჩენს შემდეგ ვიტყვით.

IV*

გრ. ორბელიანის თანამედროვე იყო ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოცდაათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გაათავა 1845 წ. ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორციისას, და ამიტომაც ამბობს იგი:

> თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,

და მარტო მშვენიერთ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო.

> მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ესთ სანდაველი,
> რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი;
> მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
> და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება.

გარდა ამისა, რომ ნ. ბარათაშვილმა განაწმინდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავ-

---

* წერილის ეს ნაწილი დაბეჭდილი იყო ცალკე გაზ. „ივერია"-ში 1892 წ. № 77 ასეთის სათაურით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი. (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)".

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის რედაქტორის შენიშვნა.

ჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა. მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკვნესის უღონობის სიმწვავითა:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

განა მარტო მისნი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა, რომლისთვისაც ცა ჯერ კიდევ საიდუმლოთა საიდუმლოა:

მე შენსა ძვირეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დამთოს აქ ამოება,
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

ნუთუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კაცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღონობა ამ სურვილის მიუწვდენელობისა — მთელის კაცობრიობის უღონობად? ამისთანა სურვილი, ამისთანა საქმეში უღონობა, ერთის ცალკე ადამიანის სურვილი და უღონობა არ არის.

ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში.

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთის-სოფელი, ჰკითხულობს იგი:

ოუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ყურს უგდებს ჩონგურს და იქაც-კი ერთობ ადამიანის გულის ჩივილი ესმის და არა თავისი:

მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი,

ჰხედავს მტკვარს და იმასაც საყოველთაო საკითხის პასუხსა სთხოვს:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი,

მრავალ დროების მოწამე ხარო, მაგრამ ხარ უტყვი და არას მეუბნებიო, და განაგრძობს:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?

ფიქრმა ცხოვრების ამაოებისამ ადრე აიჩინა ბინა იმის გულში და, გამოვედი თუ არა ყმაწვილობის ასაკიდამაო, მას აქეთ რაღაც „იდუმალი ხმა“ —

ოან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათ და საწადელთა.

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, თუ მაცდური ეშმაკიო, შესძახის იმ „იდუმალ ხმას“.

ბოლოს, როცა ეს „ხმა იდუმალი“, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა — მისი მფარველი ანგელოზი კი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“, რომელმაც აურია წრფელნი ზრახვანი და „მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. ამისთანა „იდუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობს.

მისი ფრთა-ასხმული ფიქრი შორსა ჰქრის და სცდილობს მაშინაც-კი, როცა მყუდროებაშია და დაწყნარებული, ცა განსჭვრიტოს გონების თვალითა და შეიტყოს, — რა არის იქ და ამბობს: „ჰე, ცაო, ცაო... —

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან, მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან.

განა შეტყობა იმისა თუ, — რა არის ცაში, ან ცას იქით, — მუდამის წყურვით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიღწევის უღონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებისა? განა ამაებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების

უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არა?

მისი მშვენიერი „სულო ბოროტო" სხვა არა არის-რა, გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი" ეჭვისა, რომელსაც ეჭვ-ქვეშ „მოჰკვდომია ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება", რომელსაც „ვეღარც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვილსა", რომელსაც ბედი უქადდა თავისუფლებას ამ სოფლად და უმტყუნა, და რომელიც დარჩენილა „უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი".

სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელნიც მან თავის „მერანში" გამოსთქვა. განა არა, მინამ „მერანს" იტყოდა, მისი ჭკუა-გონება თავის მყუდროების სადგურიდამ უკვე დაძრული იყო და სასვენს ბინას ვეღარ ჰპოულობდა დედამიწაზედ და ცას ეუბნება:

გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს.

რადგანაც ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ ჭკუა-გონებისათვის ეთქო: „აჰა, დასდეგ და შეისვენეო". ერთს დროს ეგონა, რომ იქნება სიყვარულმა, ტრფიალობამ მაინც შემიხიზნოს და დამიწყნაროს დუღილი სულისაო, და ამბობს: ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, და მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით, მუნ ვეძიებდი განსვენებასაო; გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით ლამპარი წმინდა განმიტფობდა ციურის სხივითაო; მაგრამ განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს, და სიყვარულის ნეტარების მაგიერ, სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა ჩემს გულშიო:

ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
...და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

აქაც ვერ იპოვა საგანი თავისი გულისა და გულის წყურვილისა. მერე მიჰმართა სარწმუნოებას, იქნება ამან მაინც შემიკედლოს და დამინთქას სალმობანი გულისა სენთაო, და ეევედრება

ღმერთს, დამიურვეო, შემიტკბე, როგორც მამამ შემცოდე შვილიო.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა:
არა დაჰკრიოლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ ძოვეც მას სადგური მყუდროებისა!

მაგრამ ვერც აქ იპოვა იგი სადგური მყუდროებისა, რომელსაც ეძებდა, და იმედდაკარგულს მიესია „შავად მღელვარი ფიქრები“ სულისა და გულის უბინაობისა და არ იცის, სად და როგორ მოიშოროს, სად და როგორ გაექცეს, და ეხვეწება თავის „მერანს“, რომლის ჭენებას მართლა რომ ბუნებით საზღვარი **არა** აქვს, ვითარცა ჭკუა-გონების ქროლას, გასწიო —

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი-ო.

ყველაფერი დამითმიაო: ჩემი მამული, სწორნი და მეგობარნი, მშობელნი, ტკბილად მოუბარი სატრფოც-კი, ერთის სიტყვით ყოველი იგი, რაც შეადგენს ცალკე კაცის საგანს გულის ტეხისას, ჭირისას და ლხინისას, ოღონდ —

ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო-ო.

რაკი კაცს მამული ამოუღია გულიდამ, მშობლები დაუთმია, სწორნი და მეგობარნი, სატრფოც-კი გაუწირავს, განაღა საფიქრებელია, რომ მისი „შავად მღელვარი ფიქრი“, მისი „საიდუმლო გულისა“ ზოგად-კაცობრიულს ვაებას არ მოასწავებდეს, „ჭკუით ურწმუნოებისა და გულით უნდოობისაგან“ წარმომავალს?!

მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც თავის „მერანის“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მიწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:

გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი ბეღარი.

აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად

მღელვარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა.

ამ სახით, იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია, და განაგრძობს:

> დღე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი,
> ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი.

და ჰნუგეშობს, რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულის კვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო,

> და გზა უკალი, შენგან თელილი,
> მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

რას გაურბოდა? საით მიიზიდებოდა? სად ემუდარებოდა თავის მერანს მიმიყვანეო, როცა ეუბნება:

> გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი
> გარდაიარე კლდენი და ღრენი?

ამის პასუხს ვერ ვიპოვით „მერანში“, ხოლო თუ სახეში მივიღებთ სხვადასხვა დროს თქმულს მის მიერ ლექსებს, ცხადად დავინახავთ, რომ იგი მიუტრბის იმ „ჭკუით ურწმუნოებას“, იმ „გულით უნდოობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით“ აღშფოთებას და გაფეთებას, რომელიც შუბის წვერისავით გულს დაესობა ხოლმე აზრგაღვიძებულს ადამიანს, ეჭვით გულ-ღვიძლამდე გაბნეულს, მოუსვენარ და ჭეშმარიტების მუდამ მძებნელ მწყურვალ გონებისაგან. თვითც არ იცის პოეტმა, საით მიიზიდება, სად იპოვის შესასვენებელს სადგურს, ნავთსაყუდარს, რომ იქ შეასვენოს „ვნებათა ღელვანი“. იგი მარტო ამას გვიქადაგებს, რომ ძებნა უნდა ამასაო თავგანწირულად და უშიშრად. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ იგი ჰლამობდა ცას იქით მიეწვდინა თვალი ამ სადგურის დასანახავად, მაგრამ უქმად ჩაუარა ცდამ. ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ. ჩვენს პოეტს ეს რწმენა

დაკარგული ჰქონდა, როგორც მისი „სულო ბოროტო“ გვიმტკიცებს, და რაღა საკვირველია, რომ რასაც იქ ეძებდა, ვერ იპოვა.

ისიცა ვნახეთ, რომ ამავ მის მიერ სანატრელს სადგურს იგი ეძიებდა სიყვარულში. მაგრამ ღალატა ეს ტაძარი და ისევ შეუსაფარი დარჩა. მერე მასვე ეძიებდა სარწმუნოებაში, ჯერ მინამ სასოება გულს შერჩენილი ჰქონდა და არ მოეკლა ეჭვსა, მაგრამ ვერც აქ განისვენა, ვერც აქ იპოვა იგი ნუგეში, რომელსაც ასეთის „სულის კვეთებით“ ეძიებდა. ბოლოს მთლად მიენდო თავის „მერანს“, რადგანაც მის ჭენებას საზღვარი არა აქვს: წენ გასწიე, ნურას მოერიდები, ნურც მე შემიბრალებ დაქანცულობითა, და თუ ვიპოვეთ რასაც ვეძებთ, ხომ რა კარგი, თუ არა-და, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

> და ჩემა შემდგომად მოძმესა ჩემსა
> სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
> შავის ბედის წინ გამოუჰქროლდეს.

ეს მსუსხავი და მწვავი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ესეთის თავგანწირულ სულის კვეთებისა და ეს სულის კვეთება განა ზოგად-კაცობრიული არ არის? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგად-კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღე-მუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავ სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ ღღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანა-და-ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის

მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი?

შორს რათ მივდივართ, — ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის-საცემლად, და ბევრი სხვა ამისთანა, — განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენძრა და თვით თაღიც მთელის შენობისა გაირღვა და ჭლამის გადმოქცევას? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდება, ხან რის, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუტასავით ჰდუღს?

აი, სწორედ ამ თვალთ-გადუწვდენელს სარბიელზედ მიუშვა სადავე ნ. ბარათაშვილმა თავის „ბერანსა“.

ჩვენის ფიქრით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“, და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავი ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთის-სოფლად“.

ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სილრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“.

ეს ჩვენი აზრი ნ. ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტისმეტი ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კი ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ უდროოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი,

ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულის-კვეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდესმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა,

> სად სულსა სული თვისად მიაჩნის,
> და გულსა გული პასუხი ესმის.

ის დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ ამ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართვლის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებს. იგიც შეჰნატრის წარსულს, თ. გრ. ორბელიანისავით, იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რომელთაც —

> არად მიაჩნით უბედურება,
> თუ აქვთ ჭერთ-ქვეშე თავისუფლება.

და, სოლომონ მსაჯულის მეუღლისაგან აღტაცებული, მაშინდელ ქართვლის ღირსეულ დედებს სახსოვარს უშენებს ამ სიტყვებით:

> ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
> კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
> რა იკნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
> სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრეთწოდებული „ახა-

ლი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?

V

ჩვენ სახეში არა გვქონდა და არცა გვაქვს ისე ვრცლად გამოკიდება არც ერთის ჩვენის მწერლისა, რომელთაც ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს აზრთა ზრდაში, როგორიც მოგვიხდა ნ. ბარათაშვილის შესახებ. გზა-კვალი მისის პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირს-შესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ შარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევი. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა ახალგაზრდამ და, ჩვენის ფიქრით, დიდ-საიმედო პოეტმა ორიოდე სასახელო მაგალითი გვიჩვენა, რომ აპირობს მის კვალში ჩადგომას, მისთა აზრთა სფეროში გახმაურებას, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი ჯერ საკმაო საბუთი არ არის ეს ახლად გამოსული მწერალი ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ მივიჩნიოთ.

ესეთი იყო საწყლე ჩვენთა აზრთა დენისა ორმოცდაათიან წლებამდე მთელის თავის სიგრძე-სიგანითა და სიღრმე-სიმაღლითა. მოვიდა ახალი ხანა ორმოცდაათიან წლებისა. სამწერლო მოედანზე დარჩა წინა-აღწერილ სამ მწერალ შორის მარტო გრ. ორბელიანი. ამავე დროს გამოჩნდნენ თ. გ. ერისთავი, თ. ვახტანგ ორბელიანი, თ. რაფიელ ერისთავი.

თ. გ. ერისთავს ორი დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენს წინაშე. ერთი ისა, რომ ჟურნალი შეჰქმნა და ამით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისთვის აზრთა წყარო ესმია. მართალია, მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება, როგორც ახალს საქმეს, ჯერ უჩვეულო და უასაკოს. ისიც მართალია, რომ არც მის შემდეგ „ცისკარს“ გამოუჩენია რაიმე თავი ისე შესანიშნავად, რომ ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი რამ

ლაეჭიროს. ხოლო იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ ქართო არსებობაც ღვაწლია, ხამეტნავად იმ გაჭირებაში, როგორ-შიაც იყო „ცასკარი“. ბევრი ავი დღე გამოუვლია, — ზოგი იმისა-გან, რომ მეშველი მწერალი არა ჰყოლია და მარტოსათვის ჟურ-ნალის ტვირთი მართლა რომ ღვაწლია, და ზოგიც იმისაგან, რომ სახსარიც-კი არსებობისა არა ჰქონია. მაინც კარგა ხანს თავი დაიჭი-რა და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელ-თაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა.

მეორე ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების პორევში მოარული ზული ჩვენი და მარტო განტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა: მისი „გაყრა“ ამისი მაგალითია. მართალია, მისი კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა ჩვენს გონებას, მაგრამ მისგანვე ფრთა-ასხ-მულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები ბორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცო-ტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლო-ბის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის.

გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლ-მე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხი-ლებს. მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება „შეშლილში“ და თითო-ოროლა წვრილი ამავე ოვისებისა ლექსი ზემოთქმულის მოწამენი არიან.

თ. ვახტანგ ორბელიანს ამ ორმოცდაათიან წლებში განსაკუთ-რებულ მიმართულებით თავი არ უჩენია. მან სამოციან წლები-დამ მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლე-ბის ხანაში, ისეც მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩინა თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში. ამას თავის ადგილას ვიტყვით.

თ. რაფ. ერისთავმა ამ ორმოცდაათიან წლების ხანაში დაიწყო თვისი მოღვაწეობა. ამანაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენი პოეტმა, მიართვა პირველ ხანებში თვისი ხარკი სიყვარულსა და ტრფიალებას, მაგრამ ამასთანავე არ უმისოდ მორჩა, რომ ეგრეთ-წოდებულ საჭირ-ბოროტო საგანს ცხოვრებისას არ გაჰხმაურებიყოს. ჯერ ბატონყმობის [გადავარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცმოყვარემ გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: „ვისი უპყრია ძალიო“.

ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავი ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლა-და ჰეინესი არ იყოს „დაწყევლილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რაღ ჰბატონობს. „ვისი უპყრია ძალი“? ეს წესით დაჩაგრული — ადამიანი, და ახლა ნახეთ, რა ტკბილის გულის-ტკივილით ჩვენი პოეტი ბედით დაჩაგრულს მთხოვარას ალაპარაკებს: კვირაობით საყდარს დავალო სათხოვარად, —

სხვა დროს ვგდივარ ერთის კედლის ძირასა
უქალამნო, უშალვრო, თავშიშველი,
ძვირად მაძღარ, ხშირად მშიერი, სველი.
მკერდს არ მწვდება დაგლეჯილი მუნდერი...
თავზედ დამდის წვიმა, თოვლი და მტვერი.

ქვეყანას კი აინუნში არ მოსდის ამ საწყლის ჩაგრულყოფა. მიდის-მოდის ხალხი და გათახსირებულს გლახაკს არავისაგან საკმაო ნუგეში არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო, ის ქვას მიდებს ხელშია!

არიან, რასაკვირველია, იმისთანანიც, რომ ხანდისხან უწყალობებენ რასმე:

ზოგიერთი მოიგონებს მკვდრის სულსა,
სულთაობას სადილს მომცემს და ფულსა,
მაგრამ მცირეს, რომ არც კუჭს ჰხვდეს, არც სულსა!
თუ ცხონდება მკვდარი ერთის ჭამითა,
მაშ აცხონოს ღმერთმა იგი ამითა.

თუმცა ჰხედავს თავის გარეშემო ამისთანა გულქვაობას, რომ გლახა „პურს ითხოვს და ქვას აწვდიან ხელში“, მაგრამ ჩვენი პოეტი მაინც საწყლის გულში ბოროტს არ ატრიალებს, რომელიც კაცს ხელს გამოაღებინებს ხოლმე სხვის ძარცვა-გლეჯად, ან, თუ უღონოა, სხვის საწყევლად და საქოლვად. მისს გლახა-მთხოვარს სწამს, რომ ქვეყანაზე განკითხვა, შებრალება, ქრისტიანობა ჯერ-კიდევ არის და ამ იმედით ნუგეშცემული კი არ იწყევლება, კი არ ჰბოროტობს, შებრალებას ითხოვს: ქრისტიანნო —

შემიბრალეთ, შიმშილმა გამამწარა-ო!

იტყვიან, არც ეგეთი ქედის მოხრა, არც ეგეთი უბოროტო მორჩილობა ბედისა უნდაო, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ გულკეთილობას, გულჩვილობას, რომელიც იშვიათი თვისება არ არის ჩვენებურ მშვიდობის-მოყვარე გლეხკაცობაში, დავინახავთ რომ ჩვენს პოეტს ბუნებისათვის არ უმტყუვნია.

ამ სახით ვხედავთ, რომ რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად. მანვე ყველა...

. . . . . *

...ამ გზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თან-თან გაძლიერებული და მატებული, როგორც ვნახეთ. ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიმაღლით მოაღწია მან სამოციან წლებამდე. თვალნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქმნა. ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ ეს სამოციანი წლები და მათდა შემდეგნი დრონი ერთს საერთო ფარგალში მოვაქციოთ. მიზეზი ის არის, რომ თხზულებანი ორმოცდაათიან წლების შემდეგ მოღვაწეებისა ერთად შეკრებილი არ მოგვეძევება და ცალ-ცალკე გაფანტულები-კი ძნელად საპოვნელია და საძიებელი. ეს გარემოება ხელს გვიშლის გამოვარკვიოთ, რა დროს რამ იმატა ჩვენში, რა დრომ რა განსაკუთრებული ადგილი შემოიხაზა და დაიჭირა, რა დრომ რა წაიმძღვარა და რა ღაღადა. ამიტომ ხანად და ხანად დაყოფა ჩვენის აზრის ისტორიისა სამოციან წლებიდამ შეუძლებლად დავინახეთ. ეს დავაცალოთ ჩვენზე

* აქ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი.

მეტს მცოდნეს და ჩვენზედ მეტად მდიდარს შესაფერის საბუთებითა.

გარდა ამისა, ამ ხანაში გამოსულ მოღვაწეების თხზულებათა უქონლობა სხვაფრივადაც ხელს გვიშლის, — სახსარი არა გვაქვს თვითეულს მათ ცალ-ცალკე კვალში ჩავუდგეთ და მათის ნაღვაწევითვე დავასაბუთოთ ჩვენი აზრი მათდა შესახებ. ყოველ ამ მიზეზის გამო იძულებულნი ვართ ეს სამოციან წლების მდიდარი ხანა, და არანაკლებ ნაყოფიერნი მის შემდეგნი დრონი, მარტო ზოგადის ნიშნებით ზეპირად აღვნიშნოთ, ესე იგი ისე, როგორც ჩაგვსახია გულში, რადგანაც მას აქვთ აქამომდე ჩვენ ჩვენის აზრის მოძრაობისათვის, როგორც დროთა მოწამეს, გვიდევნებია თვალი იმოდენად, რამოდენადაც თითონ თვალი გვიჭრიდა. საცა კრებული რომელისამე მწერლის თხზულებათა ნებას მოგვცემს, ჩვენს თქმულს დავასაბუთებთ კიდეც.

სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის ძიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას. რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველმყოფელმა სითბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად. არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული ევრეთწოდებულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან მეორე მწერალს, ძველსა თუ ახალს, თვისი კალმის წვერი არ მიეწვდინა და დიდი ხნიდამ დადუმებული ჩივილი დაჩაგრულ ადამიანობისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა — არ გაეხადნა თვისის დაკვირვების და გულისთქმის საგნადა და ყოველივე ეს ცალკე თავის კალმის წვერზე არ აეგო.

აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული,

მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქნა. „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდ ამოუდგა სხვადასხვა მხრიდამ და ერთიანის ძალ-ღონით ფეხზე წაწოაყენა გონების თვალის გულ-ღვიძლამდე გასაბნევად. ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ ლექსით, ყველა ჰღალადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვითმოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წოდებულ „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დაკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და საზოციან წლებიდამ დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამეკრმისოდ.

საოცარი ის არის, რომ ამ დროებამდე ჩვენდა სანუგეშოდ მოღწეულთა ძველთა მწერალთა, ის მათთვის უცნობი და ახალი ქროლა ჩვენის აზრიანობისა არა იუარეს, არ იუცხოეს. პირიქით, მთელის თავის ძალ-ღონით მიეცნენ ამ ახალს მდინარეობასა, დროთა ჩაძახილს ღირსეულ მობანედ გამოუჩნდნენ და ახალთან ერთად ძმურად იღვაწეს ამ მიმართულების გასაძლიერებლად. ამ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მამულმა, მამულის სიყვარულმა და მამულის-შვილობამ თვალწინ გამოგვიფინა, თვითეულმა მათგანმა თვისი სხივოსანი შუქი შეიტანა იმისდა მიხედვით, ვის რა უფრო ეხერხებოდა და სადამდე თვალი უწვდებოდა. ვერა ვძლებთ უიმისოდ, რომ ის მართლა-და საკვირველი ამბავი მაგალითებით არ დავასაბუთოთ, მით უფრო, რომ ხელთა გვაქვს ამ ჯურის მწერალთა თხზულების კრებული.

ერთი ამ ჯურის მწერალთაგანი იყო გრ. ორბელიანი, რომელიც თითქო ელოდაო ამ ახალ მიმართულებას, რომ გულს ჩარჩენილი სიყვარული წარსულისა გაჰღვიძებოდა და „ვინ ვართ და რანი ვართ“ — ამის აღსახსნელად ეთქვა:

> ...ძმანო, მივმართოთ თვალნი
> წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
> მათში სახენი სჩანან ნათელნი
> გმირთა, მამულის განმადიდეთა.

მართალიც არის: ჯერ შინაობაშიაც როცა გვინდა ვისიმე ვინაობა შევიტყოთ, დედა-მამას და წინაპართ ვუკითხავთ ხოლმე,

იმიტომ რომ — დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მხოლოდ იმასა სწუხს, რომ არავინ არის გვითხრას ამბავი ჩვენთა გმირებისაო:

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს,
სადა სცხოვრობდნენ ძველ-გმირნი?
დრომან შეჰმუსრა, აღგავა
მიწით მათიცა საფლავნი...

მაგრამ ცოცხალა ჯერედაც
დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი,
საქმენი სახელოვანნი.

იცოდა მაღალ-გონიერმა პოეტმა, რომ

მათთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მზნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება.

ეს ცრემლი მოხუცისა იგი ჟუჟუნა წვიმაა, რომელიც ასე ჰშველის თესლსა ნაყოფის გამოსაღებად, და ეგ ხმალთ-წვდენა ჭაბუკისა იგი ომი და ბრძოლაა არსებობისათვის, რომლისათვის მოწოდებულია ყოველი შემძლებელი ღონე.

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო"; „თამარ-მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" ცხადი მაგალითებია, რომ მან თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნევინა ჩვენს გულში. სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა. მამულიშვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული. რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა. ესე შეჰღაღადებდა ჩვენი მხცოვანი პოეტი მამულს და ასე გვამცნევდა მამულიშვილობის უწმინდაესს მოვალეობას:

ჰე, მამულო, სასურველო,
ვინ გახსენოს, რომ მის გულა

არ ათრთოლდეს სიხარულის
აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დასობიოს თვისი სისხლი,
არა დაჰკლას თავი თვისი
შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

ჩვენ წინა ვნახეთ მისი სურვილი, რომ ხსოვნა არ დავკარგოთ წარსულისა, და ახლა ვნახოთ, ახალმა მიმართულებამ რომ მიახედა აწმყოს, — რას ეუბნება. დროთა ვითარებისაგან ძირს დაცეშულ საქართველოს მაყურებელი ასეთის გულის-ტკივილით მოგვითხრობს აწმყოს ამბავსა: ვეღარა ვცნობო —

დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს,
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!

ეგრეთ გათახსირებულს შვილს სხვა რაღა მამული უნდა ჰქონოდა, თუ არ შვილისავით დამცირებული, ხმა-მიღებული, ეჭვით აღვსილი, უსასოდ ქმნილი, და მამულის-შვილურ სევდით და მწუხარებით მოსთქვამს: ნეტავი აღარ ვიყო,

რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის მამულის სულით დაცემას!

ეს წარსული და აწმყო; ხოლო რა მერმისი სწყუროდა თავის მამულისათვის, თავის სამშობლო ქვეყნისათვის, რომელზედაც მაჰულის-შვილურ აღტაცებით ერთგან სთქვა: სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო? სწყუროდა, რომ კვლავ:

...ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის.
წმინდის ყაყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული.
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა.

სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძედამ დაწყებული — ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა: რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა: რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრ. ორბელიანმა არც აქ უმტყუვნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცია, როგორც უღირსს რასმე, თან აჰყვა. მისი „ო—ს დარდები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“. რომელნიც თითო-თითო პოემადა ღირს, ამისი მოწამენი არიან. აი, რა მწვავე სიტყვებს ათქმევინებს იგი ერთს ამისთანა მდაბიოს, „მუშა ბოქულაძეს“:

> რად მიყურებ ეგრე გაკვირვებითა?
> ნუთუ მართლა კაცი არა ვგონივარ?
> რადგანცა ვარ სიღარიბის სამოსლით,
> არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა?
> . . . . . .
> ღრმადა ვმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
> მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...
> ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის!..

მართალია, სამოციან წლებამდე — იგინი, „ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა“, არავის მოსვლია ფიქრად. ამ ხანამ — ამ უნუგეშო ყოფასაც ადამიანისას თავისი ძლიერი კლანჭი გამოჰკრა და შეჰზარა ქართველთა გული მწვავის სურათებითა. ფხიზელმა პოეტურმა ალღომ გრ. ორბელიანისამ არც აქ იმტყუვნა, აქამომდე დამალულ წყლულსა საზოგადოებურ სატკივარისას, სამოციან წლებში გამოქვეყნებულს, თავისებური შუქი მიაფინა. თავისებურს ვამბობთ იმიტომ, რომ

მუშა, სამოციან წლებში პირველ-წამოყენებული, უფრო ხორციელობის უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკვნესის სულიერობის შევიწროებისათვის. იქ ხორცი მტკივნეულობს, აქ სული იდაგვ-იწვის უნუგეშ მყოფელობისაგან.

ასეა თუ ისე, ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწარით ოხვრას მუშა-კაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალში მორეულ ცრემლსა, და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სადა ჰკვნესის მუშა:

მკერდით ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ-ჩაჟანგებული,
კაცი, გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა.

გარდა ყოველ იმისა, რომ გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცა, — მანვე დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე“ ამ მშვენიერ „მწყობრ-სიტყვაობის“ შეუდარებელი მაგალითია.

მართალია, სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე, მაგრამ ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახ. ორბელიანი. ამისთანა ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა. და

ამიტომაც ნუ გვიკვირს, რომ ვახ. ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფერომდე მივიდა, რომელსაც „რომანტიზმს“ ეძახიან, და რომელსაც ერთ დროს ევროპის პოეზიაში მთელი მოედანი ეჭირა და რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი...*.

[1892 წ.]

* წერილი, ჩანს, დასრულებული არ არის.

სიტყვა, წარნოთქმული
გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე

(25 მარტს 1883 წელს)

აჰა, ჩვენ წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი, რომლის მიცვალებამ გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში და ყოველის ჭეშმარიტის ქართველის გული შესძრა მართლადა ჭეშმარიტის მწუხარებითა.

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენის ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, შეერთებულის გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მაღალს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულსა, საუკუნოდ ჩვენგან წასულსა.

არა, მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო, „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი. იგი იყო —

ვის არ შეეხო ზაკვის ვესლი ძმისა განკითხავად,
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,

ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე
და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა.

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!

იგი იყო კაცი, რომელიც —

დაჰნატროდა დროთა, რომ აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთქვა:

იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება.

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმაღლდეთ—
და განქრეს ბნელი უმეცრებისა.

იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო. ბაგრაძ არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდმო მადლით ცხებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება. იგი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა.

ჩვენს მშვენიერს ქვეყნით თავმოწონებულმა აღტაცებით წარმოსთქვა: „სხვა საქართველო სად არისო!“ და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასოწარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო“.

შენ აღარ ხარ და შენს საყვარელს საქართველოს გულში ჩასწყდა კიდევ ერთი ძარღვიცა.

ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერა რას არგებსო მამულსაო, — სთქვი შენ.

ჩვენ მაგას შენზედ ვერ ვიტყვით.

შენ განვლე შენის ცხოვრების გზა ღა აღბეჭდეცა ნაკალი.

შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნაკალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.

მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!

სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

(25 აპრილს 1893 წელს)

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგეეართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია, მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა

სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტკვერთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთის წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საღლავებ შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მგელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!..
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავი წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტკვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტკვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნებ სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყიავართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის,
ეს განწირულის სულის კვვთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო“. აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ, და დღეს-კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს. თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს, და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართვე-

ლოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიღურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედმოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს

საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით, ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად სისხლის მღვრნელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხენენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და

ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

[1877 წ.]

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, თებერვალი.

აჭარა და ქობულეთი. — კინტრიშის მაზრა გაჭირვებულია. — შველა ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა. — აჭარელების გადასახლების ხმა. — რათ და რისთვის? — როგორ უნდა მოევლოთ და როგორ მოუარეს. — მთავრობას რით იცნობს ხალხი. — ადმინისტრაცია. — არსებითი ნაკლი ადმინისტრაციისა. — უენობა და სიყრუე. — არ იცნობს და არ იცნობენ. — ცხოვრება, კანონი და შუა ცარიელია. — კანონმდებლობა ოთხ კედელ შუა. — ვნება ამის გამო. — კიდევ ქართული და აქაური ენები. — ქართული სცენა. — რა არის სცენა საზოგადოდ და რა უნდა იყოს ჩვენთვის საკუთრივ.

ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი — აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთიერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არვინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი. „დროების“ № 32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამატებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდაობა აჭარას და

ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა, — ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა. არ დააკვირდება მის აწინდელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა ღონისძიებითა, და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა იმ მოვალეობისაგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შეადგენს ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭარისათვის, თუ მთავრობას ჰსურს დაანახოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომელითაც იგი მართლა-და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ — ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავს: ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი. ყოველივე სანთელსაკმელი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობისა ფეხადგმული არ არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი. მაგრამ ხომ მოვეხსენებათ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანს...

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირვება საშინელია, მარტო ის ამტკიცებს, რომ თითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა

ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება ხოლმე. სჩანს მართლა დიდი უბედურობა უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქმნა ეგ უბედურობა ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდეც გაჭირვებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის! რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამოდენადაც საკმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია? განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა, სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! უღონობა კიდევ ჭკუაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია, რით ავხსნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარეშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალ-შუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც, თუ სწორეს გვათქმევინებთ...

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანაებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყუროდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავში სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნავილი ბავშისა: „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილები-

სა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ — უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალ-წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომ'ხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშემო მთელი მაზრა, ათას-ათასი ღვთისკერძო ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!...

აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდთ ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწიენეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ შმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!.. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივე-

რიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მაგ შესაწირავის მისაღებად. ჩვენ ვურჩევთ, რომ შემწირველთა უფრო „დროების“ რედაქციას მიპმართონ, რადგანაც „დროება“ ყოველ-დღე გამოდის და ამის გამო მას შეეძლება ყოველ-დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა სახელებიცა.

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!.. ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც სწუხ და ჰფიქრობ!..

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარაქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა — დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ „Голос“-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ აჭარელები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გამჟღავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ?

. . . . . *) თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში.....*) მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რ ე დ.

კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს — ვიმეორებთ — მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, — და მიდის სად? ოსმალეთში . . . . ? . . . *) რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! . . . . . *) რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიაღ სტოვებს და მიდის სად? . . . . . *) ოსმალეთში!..

ეს რა ამბავია, რა ამბავია!.. ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გაშეცდა, რომ გვერდთ ადამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალხზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მზრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს...

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რედ.

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღურაა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია...

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ. . . . . :
. . . . *)

მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავკარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.
რ ე დ.

წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შეესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა,— შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ზევითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც,— როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა,— გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს.საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არა არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა,— ეგ ღმერთმა იცის. . . . . .

. . .

. . .

. . . . . .*)

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რ ე დ.

ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც. ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სიმართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, — რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულის-ტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, — ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას, — ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედაც და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი. შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი იჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგანაც ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, — კაცი არ იყო, კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კე-

თილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთებიდამ და ზოგი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი.

როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა ვაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წალმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე — იმისათვისაო; და თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია. ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური. ანდრეევსკის ქალის საქმემ აშკარად გამოჰფინა საქვეყნოდ ის სასაცილობა, რომელიც მოსდევს ხოლმე ენის არცოდნას.

ამას გარდა, ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი აქვს და არც ზედმოქმედება არასფერზედ. მრავალ-სახისა და მრავალ-გვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწყნარებას, — რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა. ამიტომაც ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონ-

ქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან.

ამისი წამალი — თითონ ტკივილიდამა სჩანს. აშკარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი — შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდამ. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებრ — სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდს ნაკლს და ეცდება ივი ნაკლი თავიდამ მოაშოროს აქაურს მმართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვს იმ ხალხის ენის ცოდნას, რომელთ შორის სამსახურს ჰნდომობს. ამისათვის საჭიროა ხელახლად შესაფერი ადგილი მიენიჭოს აქაურს სასწავლებლებში აქაურს ენებს. რასაკვირველია, ამ წამალს იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა... ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს ეგეც დიდი ფეხის წინ წადგმა იქნება, თუ მთავრობას ჰსურს ხალხისა შეიტყოს რამე და ხალხს კიდევ თავისი აცოდინოს.

* * *

ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს

ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის. უფ. არწრუნმა ამ ბოლოს დროს თავის დიდს ქარვასლაში გამართა კერძო თეატრი. ამ შემთხვევამ ფრთა შეასხა იმ დიდის ხნის სურვილს, რომ სამუდამო სომხური და ქართული სცენა გაიმართოს. აქაური სომხები დიდის გულმოდგინებით მოეკიდნენ სომხურის სცენის საქმეს და ამბობენ, პირველ გასაწყობად ათასი თუმანი ფული მოაგროვესო და კიდევაც აგროვებენო. არც ქართველობამ დაიკრიფა გულზედ ხელი. ქართველობის მოყვარენიც ამასავე ცდილობენ და არ ვიცით, რა მადლობა უნდა გადუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს. ერთმა კიდევ ქართველმა იმოდენა გულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამახი თუმანი შესწირა მაგ საქმეს, „დროების“ სიტყვით. იმედია, რომ ამაზედ არ გაჩერდება ქართული გულუხვობა და სხვაც ბევრი შეძლებისამებრ გამოიმეტებს შესაწირავსა ამ მეტად სანატრელ და საკეთილო საქმისათვის. დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნაშეტნავად ჩვენთვის, თუ იგი ეხლანდელ გულგარყვნილობის მოედნად არ გავხადეთ და რაღაც სალახანური „მშვენიერი ელენები“ არ ვავარჯიშეთ. დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.

ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთ-

ნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროსგასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, რაკი ის კეთილი აზრი მოგვსვლია, რომ ჩვენი საკუთარი სცენა ვიქონიოთ. ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განწმენდილი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუდგეს და არ გახდეს „მშვენიერის ელეწების“ სამარცხვინო სასალახნო ასპარეზად. ამბობენ, ამ საქმეში მეთაურობას ჰკისრულობსო ჩვენი — ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე — დ. ი. ყიფიანი. ჩვენის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ ჩააბარებდნენ ამ დიდს და მძიმე საქმეს, როგორც ქართული სცენაა. მან ძალიან კარგად იცის, რა ძვირფასი რამ არის ხალხისათვის სცენა, როცა იგი იმ ორს ზემოაღნიშნულს საგანს ემსახურება. თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა რომელთაც დ. ი. ყოფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. ღმერთმა ჰქმნას, რომ რამოდენადაც დ. ი. ყოფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს, იმოდენად ჩვენც შემწეობა და გულის-ტკივილი ამოვუჩინოთ, და მაშინ ჩვენის სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ იქმნება დამყარებული, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ.

ვისს ნათესსა ვმკით?

(მიმოხილვა 1879 წლისა)

აი მოსწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდლისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებიოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო“. ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯერ მივგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა, წასულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარეობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო, არც წინ მიდის,

არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავალის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია და აი, ამ-ჟამად, როცა ღროთა ბრუნვამ ძველსა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდანმაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, — ჩვენ გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც მისთვის, რომ მომავალს შევეხაროდეთ.

თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკე მოარული ღონე — ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რომ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედაენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-და-თორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს ბინაცა აქვთ აჩენილი. შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს შკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარ-

ძოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი ძოჰკიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. — ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, ბერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა — ჯერ-ხანად მაინც — მეტისმეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეგ სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგვითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდთ დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია, როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდამ დავიწყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ

არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე. იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგაწირვა, — ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ვეღარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ, რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ღა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცლკევებულს გულში, როცა ბოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი

ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილ-კაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხობლად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილკაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის წინაშე ვერავინ ვერ ჩამოართმევს. ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსა და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილკაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღალადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

გვეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ შეტი არა ვინდოშოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა. მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩ ვ ე ნ ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ს თ ა ო ს ხ ო ბ ი თ დ ა ღ ვ ა წ ლ ი თ ა რ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი დ ა ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ე რ თ ო გ უ ლ ი ს-ტ კ ი ვ ი ლ ი თ შ ე მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი.

ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, — ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოზეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავალის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.

[1879 წ. 31 დეკემბერი]

კატკოვის პასუხად

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“

რუსთაველი

უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის — ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და ალებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზღობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკ-ძაპურს აწვდის მაბეზღარს, — მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრული მოახლოებია.

ბეზღობის ასეთის პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა. მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალა“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია.

თითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძლებდა, მოიგერებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს, რომ მაგ საზიზღარის ფარ-ხმალით მორთულს შაბაშის და ბარაქალის ძახილით არ აქეზებდეს იმისთანა წმინდა რამ, როგორიც ლიტერატურაა. როცა ლიტერატურა, — ეგ ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანძე, — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთ-მობრძაობა მისის წყობისა უეჭველია.

ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული-კი იარაღაყრილი. დაბეზღებულს აღარა დარჩება-რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრეთ ჩახვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე.

ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზღობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნის კატკოვის და მის კამპანიის წყალობითა და მხნეობითა. შიდა-რუსეთში მაგ ბეზღობას იმოდენა სარბიელი არა აქვს, როგორც რუსეთის სანაპირო ქვეყნებში, ჯერ იმიტომ რომ ეს უკანასკნელნი უმაღლეს მთავრობისაგან შორს არიან, მაშასადამე ტყუილი უფრო ადვილად გასაღდება, რადგანაც შორიდამ ტყუილი და მართალი კარგად ვერ გაირჩევა და თვალი ადვილად მოტყუვდება თვალთმაქცის მაბეზღარისაგან. მერმე იმიტომ, რომ სანაპირო ქვეყნების მცხოვრებნი უცხო ტომის ერნი არიან და, მაშასადამე, ყოველს ცილისწამებას იმისთანა სარჩული უდევს, იმისთანა სათავე აქვს, რომ ყველაფერი ადვილად დასაჯერია და ფიქრად მოსასვლელი.

ეს კარგად იციან ბ-ნ კატკოვის დამქაშებმა და სწორედ ამითაც სარგებლობენ.

მერე ვისგან არის შემდგარი ეს მაბეზღართა რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც რუსეთს სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი საკუთარი დამშეული კუჭი. ეგ იმისთანა მოხელენი არიან, რომელთაც თავისის ბოროტმოქმედებით იმოდენად შეურცხვენიათ თავიანთი თავი, რომ თვით ყოვლადშემწყნარებელს ამგვარებში მთავრობას ველარ შეუწყნარებია იმათი სამსახურში ყოფნა და გამოუყრია. ან კიდევ იმისთანანი. რომელნიც ჯერ კიდევ თავის ადგილას სხედან და საღერღელი-კი აშლიათ მაღლა აცოცვისათვის, ვერასგზით-კი ვერ აცოცვილან. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც თავისის უხეირობით და უნიჭობით

ვერას გამხდარან და უნდათ თავი როგორმე გამოიჩინონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო ვხედავთო.

ეს სამივე წყობა მაბეზღართა რაზმისა ერთსა და იმავე კურდღელს სდევნიან დასაჭერად. „აი, ქვეყნის ერთგულნი ჩვენა ვართ, ძაღლურის ალღოს აღება ჩვენთვის მოუნიჭებია ღმერთსაო, ჩვენ ყველაფერს ვამხელთ, რასაც სხვანი ხელს აფარებენო და, ჯილდოს მაგიერ, ჩვენვე გვდევნიან, სამსახურიდამ გვყრიანო, სამსახურში წინ არ მივყევართო. აბა, ერთი ხელში ჩაგვიგდონ რაიმე მოხელეობა და მაშინ ჩვენ ვიცით, რას აღმოვაჩენთო და რამდენს დაფარულს გამოვაქვეყნებთო“, და სხვანი და სხვანი.

ამგვარის დამქაშების შემწეობით ბ-ნს კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში. ამიტომაც არ დარჩენია არც ერთი რუსეთის ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადადგომის სურვილი არ შეეწამებინოს. ამით თითონაც იკვებება და თავის დამქაშებსაც, ცოტად თუ ბევრად, საკვებავ გზას უხსნის.

რაც-კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მის დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მიედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „Московские Ведомости“ ჰქვიან. ოღონდ-კი ორგულობა შესწამეთ რომელსამე ერს რუსეთისას და ბ-ნი კატკოვი ხელაპყრობით მოგეგებებათ.

ჩვენს საქართველოზედაც არა-ერთხელ გამოულაშქრია ბ-ნს კატკოვს, ორგულობა შეუწამებია და გადადგომის სურვილი დაუბრალებია.

ამ უკანასკნელს დროსაც (იხილეთ № 44 „Московские Ведомости“-სა) ერთს ბ-ნ კატკოვის შესაფერ დამქაშს დაუბეჭდია ბ-ნ კატკოვის გაზეთში კორესპონდენცია ტფილისიდამ. დამქაში პირდაპირ ამბობს, რომ ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა გადადგომის სურვილი მოქმედებსო.

კარგი დროც შეურჩევია. საქართველოში ეხლა ახალი უფროსი მმართველი მოდის. მაბეზღარს უსათუოდ უფიქრნია: — „იქნება ღმერთმა მიპრიანოს და ახალმა მმართველმა მომიკითხოსო, ვინ არის ასეთი ერთგული რუსეთისაო, და კუჭის გასაძღომი ადგილი მომცეს რამეო“.

ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა დავთრები დაკარგულია, საცა თავი და ბოლო ვეღარავის მიუგნია.

კორესპონდენტს ჩვენის სეპარატისტობის და გადადგომის სურვილის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო, და როცა რუსები არდგენენ, მაშინ-კი არაო. ქართულ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში-კი არაო. ქართველებმა „ს ა მ შ ო ბ ლ ო ს“ გადმომკეთებელი ავტორი დიდის ყოფით მიაცილეს შინამდინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აქტრისას გრაჩიასაო.

სასაცილოა, რომ საზიზღარი არ იყოს, ამისთანა ბეზღი, ამისთანა საბუთებზედ აშენებული! ქართველებს თუ სომხებს რომ სციოდეთ და თეატრი გაათბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია? ქართველებმა რომ მოწონებულის თხზულების ავტორს პატივი სცენ და სომხებმა კიდევ თავის აქტრისას საჩუქარი მიართვან, — აქ სეპარატისტობა რა მოსაყვანია?

რათა ჰშურს ბ-ნს კორესპონდენტს, რომ ქართველები თუ სომხები თავიანთ თეატრში დაიარებიან? რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!

მინამ დიდი მთავარი აქ ბრძანდებოდაო, ამბობს იგი კორესპონდენტი, ქართული და სომხური თეატრი არ იყოო და, როცა წაბრძანდა, მაშინ ხელი შეუწყვესო. ვიცით, ნიშანში ვინც ამოუღია ბ-ნს კორესპონდენტს ახია, რატომ სამსახურში არ მიიღო ბ-ნი კორესპონდენტი! ხომ ქებას დაუწერდა!..

ვინ არ იცის, რომ ჩვენმა თეატრმა ფეხი აიდგა ჩვენში დიდის მთავრის აქ ბრძანების დროს და მისვე დროს მკვიდრად გაიმართა წელში. რასაკვირველია, თვით ქართველების მეცადინეობით მოხდა ეს სასიამოვნო ამბავი და არა გარეშე შემწეობითა: ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან ჰქონია. ჩვენ

მარტო იმისი მადლობელნი ვიყავით და ვართ, რომ დამშლელი არ გამოგვიჩნდა. სხვას ვერავინ ვერას დაგვაყვედრებს.

რუსულს თეატრს-კი ამავე ხანებში ხუთი ათას თუმნამდე ფული მიაშველა მთავრობამ, მაგრამ მაინც-კი თავი ვერ დაიჭირა. რატომ? იმიტომ, რომ შემოსავალი არა ჰქონდა, და შემოსავალი არა ჰქონდა იმიტომ, რომ აქაური რუსები რუსულს თეატრში არ დაიარებოდნენ.

მე რომ კორესპონდენტის ადგილას ვყოფილიყავ, აქაურს რუსებს ორგულობას შევწამებდი.

ესეთი გულგრილობა აქაურის რუსებისა რუსულის თეატრის მიმართ უფრო ძლიერი საბუთი იქნებოდა, რომ აქაურ რუსებისათვის სეპარატისტობა შეეწამებინა ბ-ნს კორესპონდენტს, ვიდრე ის უმანკო გულმხურვალება, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს „სამშობლოს“ ავტორის გაცილებაში და რომელიც ბ-ნს კორესპონდენტს თავის ბეზღის სარჩულად და საბუთად დაუდვია.

ამისთანა საბუთებით აღჭურვილი მაბეზღარი ისე შესაბრალისი არ არის, როგორც მისი გამგონი და წამქეზებელი ბ-ნი კატკოვი.

ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველობისათვის და მის ეროვნობის ღირსებისათვის. იგი ამბობს, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო, და ქ ა რ თ უ ლ ი დ რ ო შ ე ბ ი რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზმენო.

გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის — არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ.

ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია;

გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა.

თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც-კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც-კი ითაკილებდა.

„ესეღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?!.“

1880 წ. 23 თებერვალი.

ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო

გაზეთ „Кавказ“-ში ჩვენ დიდის ყურადღებით წავიკითხედ ცოტად ცხარედ დაწერილი წერილი ბ-ნ იანოვსკისა. ამ წერილში ბ-ნი იანოვსკი ამბობს, რომ ყოველივე ის, რასაც „დროება“ მაბრალებსო, ახალ-სენაკის სკოლაში არ მითქვამსო, არც ბ-ნ მარკოვისათვის მიმიწერია ოფიციალური ქაღალდიო და არც ბ-ნ სემიონოვისათვის არავითარი დარიგება და რჩევა არ ზიმიციაო.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ბ-ნი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარჰყოფს ყოველს იმას, რაც მართლადა საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. მას შემდეგ, რაკი ეგრე საჯაროდ გამოაცხადა ეგ უარყოფა იმისთანა პატივცემულმა გვამმა, როგორიც ბ-ნი იანოვსკია, ჩვენ აღარა გვეთქმის-რა. ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ თითონ ბ-ნი იანოვსკი არა ჰკისრულობს არც ერთს ბრალსა, „დროებაში“ გამოცხადებულს. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვერწმუნებით ბ-ნს იანოვსკის და ამასთანაც გვიხარიან, რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამომდე საკვეხურადა ჰქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ მოხელეებსაცა. ესეც ერთი წარმატება, ერთი სიკეთეა.

ამის გამო ჩვენ თავს ვანებებთ იმაზედ ლაპარაკსა — ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი და ვინ მტყუანი. ეხლა ეგ ჩვენთვის სულ ერთია. ეგ საგანი ეხლა უკან უნდა დავაყენოთ, იმიტომ რომ ბ-მა იანოვსკიმ სხვა, უფრო უაღრესი და უმძიმესი საგანი წამოაყენა თავის წერილში. ამ უკანასკნელ საგანთან ის პირველი ჩვენ თითქმის არაფრად მიგვაჩნია, ჩვენ ვამბობთ აქ იმაზედ, რომ ბ-ნმა იანოვსკიმ თავისის მოქმედების და მოღვაწეობის დედა-აზრი გა-

მოგვიცხადა თავის წერილში და აი, ეს დედააზრია ის უაღრესი და უმძიმესი საგანი, რომელმანც მიიზიდა მთელი ჩვენი ყურადღება.

ჩვენ ვეცდებით, გულახდილად და თამამად წარმოვსთქვათ ამ საგანზედ ჩვენი აზრი. იმედი გვაქვს, რომ არავინ დაგვწამებს — ხალხს გული უნდათ ააყრევინონ ჩვენს მოქმედებაზედაო. იმედი გვაქვს, რომ ამ უმართებულო და უკადრისს ფარ-ხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი, როგორიც ბ-ნი იანოვსკია. ჩვენ გვსურს — ბ-ნ იანოვსკი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ აქ ჩვენ გვალაპარაკებს მარტო ერთი ჭეშმარიტების სიყვარული და ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობა და სხვა არა-რა.

თუმცა ბ-ნი იანოვსკი, როგორც მრავალმხრით განვითარებული კაცი, უეჭველად კეთილის განზრახვით არის აღძრული და ჰსურს იმ ადგილს და საზოგადოებას, საცა მოწვეულია სამსახურისათვის, სიკეთე მიანიჭოს, მაგრამ მისგან ამორჩეული გზა, ჩვენის ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვასა და არც მის სიკეთის სურვილსა. ჩვენა გვგონია, რომ საერო სკოლას*) საერთოდ და ჩვენსას საკუთრივ ბ-ნი იანოვსკი ისე არ უყურებს, როგორც ის გამოჩენილნი პედაგოგიაში გვამნი, რომელთაც დაადგინეს საერო (народный) სკოლა მის ნამდვილს და ჭეშმარიტს მნიშვნელობაზედ. ბ-ნს იანოვსკის, როგორცა სჩანს მის წერილიდამ, განსაკუთრებული დანიშნულება და უმაღლესი საქმე ამისთანა სკოლისა უკან დაუყენებია და საერო სკოლას იმ ტვირთსა ჰკიდებს, რაც მოსამზადებელის კლასის საზიდარია. ჩვენის ფიქრით, ეს დიდი შეცდომაა საზოგადოდ და ჩვენში ხომ საკუთრივ. ჩვენ ვეცდებით — ეს სიტყვა უსაბუთოდ არ დაგვრჩეს.

საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდან გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია. ამიტომაც საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა

---

*) საერო სკოლას იმ აზრით ვხმარობთ, როგორც რუსები სიტყვას народная школа.

საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ.

საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარჩოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს. სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს.

„საერო სკოლის საგანი ის კი არ არის, — ამბობს გამოჩენილი რუსი პედაგოგი უშინსკი, — რომ ბავშის თავი, ცოტად თუ ბევრად, გამოჰქედოს სხვადასხვა-გვარის ცოდნითა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე, ან კიდევ ტეხნიკური ცოდნა მიანიჭოს წერა-კითხვისა, რომელსაც მოზარდი არ გამოიყენებს; არამედ ის არის, რომ სკოლაში ვარჯიშობითა გაიხსნას ბავშმა ჭკუა და გულისყური ბუნებრივის ღონისძიებით გონების თვალი აიხილოს გარე შემორტყმულ ბუნებაზედ და საზოგადო დამოკიდებულებაზედ, იმოდენად გაიმართოს ნიჭი მართლ და თვითმსჯელობისა, რომ საკუთარის ჭკუით შეეძლოს ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოსო“. აი თავი და ბოლო საერო სკოლისა.

აი ამ დიდსა და მძიმე დანიშნულებას უნდა მისდევდეს საერო სკოლა საზოგადოდ და მარტო მაგის მიხედვით უნდა მოწყობილი და აგებული იყოს. სხვა საგანი საერო სკოლას არა აქვს.

„საკუთრივ საერო სკოლასაო, — ამბობს იგივე უშინსკი, — თვისი მნიშვნელობა იმოდენად განსაკუთრებული აქვს და სხვა უმაღლეს სკოლებთან ისე შორს არის, რომ მის გამართვაზედ ცალკე შეიძლება კაცმა იფიქროსო“.

ეს ორი აზრი, ერთი მეორის შემავსებელი, იმისთანა გამოჩენილის პედაგოგისა, რომლის ტოლიც რუსებს ჯერ აქამომდე არა ჰყავთ, საკმარისია, რომ დავინახოთ, რაში მდგომარეობს ბ-ნ იანოვსკის შეცდომა საზოგადოდ. პირველი იმაში, რომ საერო სკოლას მოსამზადებელის კლასის საქმეს უნიშნავს, და მეორე მასში, რომ ამ საქმის შესაფერად მოუწადინებია თითონ საერო სკოლების გა-

ჭართვაცა. ასე გეფიქრობთ ჩვენ, იმიტომ რომ მის წერილში ერთი სიტყვაც არ არის თქმული მასზედ, რაც საერო სკოლის, უმთავრესს-კი არა, განსაკუთრებულს დანიშნულებას შეადგენს.

ეს შეცდომა უფრო ცხადად გამოგვეხატება თვალ-წინ, როცა გამოვიკვლევთ, — რა ღონისძიებით და საშუალებით შეუძლიან საერო სკოლას თავისს განსაკუთრებულს და ფრიად ძნელს დანიშნულებას რიგიანად და წარმატებით მიაღწიოს.

პედაგოგიის დედაბოძი და განთქმული მეცნიერი დისტერვეგი ამ საგანზედ ამბობს, რომ —

„ის მეტ-ნაკლები გონება-გახსნილობა, რომლითაც ბავშვი შედის სკოლაში, უნდა აუცილებლად იყოს საზღვარი, საიდამაც უნდა მოჰყვეს ადამიანი სწავლებასაო. აქის გამო ოსტატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ენასა, რომელსაც ყმაწვილები ხმარობენ სკოლაში შესვლის დროსაო. ახალი უნდა აიხსნას ძველის შემწეობითა, უცნობი — ცნობილითაო. სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება შეუძლებელი საქმეაო“.

მეორე გამოჩენილი და განთქმული პედაგოგიაში კაცი პესტალოცცი ამბობს, რომ —

„ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა აკარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ განათლებულან იმაზედ ვარჯიშობითა, რაც მახლობელია ბავშვისა, რაც გარს არტყია, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანიაო“.

„ერს რომ თავისი ენა არ ასწავლოთო, — ამბობს მეორე გამოჩენილი რუსი პედაგოგი ვესსელი, ეგ ის იქნება, რომ არ ვინდათ ერის აზრი, მისი სულიერი ძალღონე, ნიჭი გაიხსნას და ვაიმართოსო. ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერი ბალღობიდამ გამოვიდესო. თუ ჩვენ არ დავაწყებინებთ ერს თავისის დედა-ენის სწავლებას და, თუნდაც მის მაგიერ სხვა, ძალიან მახლობლის ენის სწავლებას მოვაყოლებთო, მაშინ უფრო უარესს ვიზამთო: სრულებით შევშლით ერის გონებითს განვითარებას, სრულებით შევშლით მის სულიერს ბუნებასაო“.

„ბავში რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწოვს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლის ენის ღვიძლის ძუძუდამაო, — ამბობს უშინსკი; — დედა-ენა ისე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი; ისე აცოდინებს ხასიათს ამ ხალხისას და საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავში

ცხოვრებს, მათს ისტორიას, თვისებას და მიდრეკილებას, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსიო“.

„საერო სკოლა საკუთრივ დედა-ენის სკოლაა, რომელიც უნდა შეისწავლოს ყველა ყმაწვილებმა იმისდა მიუხედავად, განაგრძობენ მერე სწავლას გიმნაზიებში, თუ არაო“, — ამბობს ივანე ამოს კომენიუსი.

ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-ნმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუპრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა,— და განა ეს სასურველია ვისთვისმე?

ზემოთ-მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა.

მეორე სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავში ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით.

„პირველ-დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლოო“, — ამბობს პესტალოცეი. „კაცს გულში გამოუკვანძეთ მისი პატარა სამშობლო, — ამბობს დისტერვეგი: — გზა გაუხსენით, რომ არამც თუ მარტო შეისწავლოს, არამედ შეიყვაროს კიდეც იგი სამშობლო, მისი განსხვავებული თვისება, მისი განსაკუთრებული ხასიათი. ამით ნუ გგონიათ, რომ ხელს უმართავდეთ პროვინციალურს პატრიოტობას, არამედ გაუმაგრებთ ადამიანს ფესვებს ადამიანის სულის ღონისას. ეგ ფესვები მის სამშობლოს მიწა-წყალშია, მის მოძმეთა განსაკუთრებულ ხასიათშია,—მათს ისტორიაშია. ყოველს სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, როცა თვითოეულს ადა-

მიანში კაცი პოულობს განსაკუთრებულს თვისებას მისის ქვეყნისაო“.

„როგორც ჩვენის საკუთარის ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა, ჩვენის ქვეყნისაში — სხვა ქვეყნებისასაო, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მრთელის პატივისცემას გვასწავლისო“, — ამბობს გერმანელი პედაგოგი რიხტერი, როცა ლაპარაკობს მასზედ, თუ რა დიდი რამ არის ბავშის აღზრდისათვის შესწავლა და შეყვარება თუნდ პატარა ადგილისა, საცა მოზარდი დაბადებულა.

„პესტალოცცის სკოლა, — ამბობს ტილო, — ნამდვილი საერო სკოლაა, იმიტომ რომ ყოველი საგანი სწავლებისა დადგენილია სამშობლო ნიადაგზედა. იგი იწყებდა თვის მოქმედობას იქიდამ, რომ ცოცხლად და თვალთხედვით შეასწავლიდა სამშობლოს, მამულსა. ამიტომაც სამშობლო ქვეყანა, დედაენა, სამშობლო ერის ცხოვრება შეიქმნენ მას აქეთ უპირველეს საგნებად პირველ-დაწყებითის სკოლისათვისაო“.

„თქვენს კულტურას არც ძირი აქვს, არც სიღრმე, — ამბობს საფრანგეთის მეცნიერი ბრეალი: — იმიტომ რომ თქვენ არა გწამთ ძალნი ადგილის და თავისიანობის სიყვარულისაო. სკოლა ადგილზედ უნდა იყოს ამოსული, ადგილში უნდა ჰქონდეს გამაგრებული ძირი და არა ზემოდამ იყოს ამოსული, მოდგმულიო“.

„არის მარტო ერთი საზოგადო, დაბადებითვე დაყოლილი მიდრეკილება, რომელზედაც აღზრდას (სკოლას) ადამიანისას შეუძლიან ყოველთვის დაემყაროს, — ამბობს უშინსკი: — ეგ ის არის, რასაც ჩვენ ვეძახით ეროვნობას (народность). როგორც არ არის ადამიანი, რომ თავისითავი არ უყვარდეს, ისეც არ არის ადამიანი, რომ არ უყვარდეს თავისი მამული, თავისი ქვეყანა. აი ეგ სიყვარულია ის უტყუარი გასაღები ადამიანის გულისა, რომელსაც აღზრდა (სკოლა) უნდა ხმარობდეს. ეროვნობაზედ დამყარებული ბავშის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჭკუით მიღებული, ანუ ზნე, დასჯის შიშით ჩანერგულიო“.

ამ სახით, მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ეროობრივი ელემენტი არის, ესე იგი — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და

რომელთა შორისაც ბავში ტრიალებს და სცხოვრებს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე. მაშასადამე, ყოველ ამის შესწავლა და ცოდნა არის მეორე განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი.

ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად — განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე.

სწორედ ამ სხვა საპალნესა ჰკიდებს საერო სკოლას ბ-ნ იანოვსკის წერილი, მერე ისე ჰკიდებს, რომ საკუთარის ტვირთის ზიდვისათვის ღონე თუ სულ არ მოესპობა, ძალიან მოაკლდება მაინცა.

ბ-ნ იანოვსკის თვისი დედა-აზრი გამოჰყავს უმაღლესად დამტკიცებულის განჩინებიდამ და გვაუწყებს რომ: 1) ყოველი, რასაც რომელსამე სასწავლებელში ასწავლიან, უნდა ასწავლონ! ცნობიერად და გაგებით, რადგანაც მარტო ამ პირობით სწავლებას ერთისა თუ მეორის საგნისას ექმნება ზედმოქმედება შეგირდის გონებითსა და ზნეობითს განვითარებაზედ: 2) სწავლება ერთისა თუ მეორის საგნისა იმ განზრახვით უნდა მიდიოდეს, რომ მოსწავლეს მიანიჭოს ნამდვილი ცოდნა საგნისა; უამისოდ სწავლება საგნისა უქმად დროს დაკარგვა იქნება, არამც თუ ურგები, არამედ მავნებელიცა მოსწავლეთათვის; 3) ზოგად განათლების სხვადასხვა-გვარ სასწავლებელთა შორის უნდა იქმნას, რამოდენადაც შესაძლოა, მჭიდრო კავშირი, მით უმეტეს უნდა იყვეს საჭირო კავშირი სხვადასხვა საგნების სწავლებაში ერთსა და იმავე სასწავლებელში და 4) სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოს, რაც შეიძლება მომატებულად, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომლის შორისაც და რომლისათვისაც არსებობს.

— ამ წინადადებათა ძალით, ამბობს ბ-ნი იანოვსკი, ყოველს კეთილად განწყობილს პირველ-დაწყებითს სკოლაში სწავლება სა-

ზოგადოდ უნდა მიდიოდეს უპირატესად (და არა განსაკუთრებით?) დედა-ენის შემწეობითაო. რუსული ენა არა რუსთათვის ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ყმაწვილებმა, კურსის შესრულების შემდეგ, იცოდნენ არამც თუ მარტო წერა-კითხვა, არამედ გაგებაც ჰქონდეთ წაკითხულისა და წერითაც გამოთქმა შეიძლონ როგორც დედა-ენაზედ, ისეც შეძლებისამებრ (?), რუსულადაცაო. ამის მისაღწევად აი რა გზა ამოურჩევია.

პირველ წლის მეორე ნახევრიდამვე ოსტატმა ყოველ დღე უნდა გადასდოს 30—45 წამი, რომ ბავშები შეაჩვიოს რუსულს ენასა და იმისათვის, რომ ბავშებმა ცნობიერად შეითვისონ ცალკე სიტყვები, ფრაზები და მოკლე ამბები. უნდა ყოველივე იგინი ჯერ დედა-ენაზედ ათქმევინოს და მერე რუსულადაცაო. მეორე წელს კი, რაკი შეგირდები შეისწავლიან დედა-ენაზედ წერა-კითხვას, უნდა შეუდგნენ რუსულის წერა-კითხვის სწავლებასა. მესამე წელიწადს კი, რასაც დედა-ენის შემწეობით ასწავლიან ბავშებს, ყოველივე ის, შეძლებისამებრ (?) რუსულადაც უნდა ასწავლონო.

რუსულის ენის შესწავლას ამ გზით ბ-ნი იანოვსკი იმ საბუთითა ჰხედავს საჭიროდ, რომ ზოგან საერო სკოლაში თავად-აზნაურთა შვილებიცა სწავლობენო, რომელთათვისაც გიმნაზიებში შესვლა არამც თუ სასარგებლოა, არამედ აუცილებლად საჭიროცაა. უმაღლეს სასწავლებელში შესვლას თითონ გლეხის შვილებიც არა იშვიათად ნატრულობენო და ამას უნდა ხელს უწყობდეს და უმართავდეს საერო სკოლაო.

გავბედავთ და ვიტყვით, რომ ეს პროექტი ბ-ნ იანოვსკისა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ოთხს მუხლს, მის აზრისას, რომელიც თითონ ბ-ნ იანოვსკის ზევით მოჰყავს. პირველი მუხლი თხოულობს, რომ ყოველი საგანი ისწავლებოდეს სკოლაში ცნობიერად და გაგებით. პედაგოგიის ძირეული კანონი კიდევ ამას ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდაო ბავშმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო. ნუთუ ვისმე ჰგონია, რომ ბავშები, არამც თუ პირველს ექვს თვეში, არამედ სამსა და ოთხს წელიწადში, თავის დედა-ენაში ისე გაიწურთნებიან, რომ მასზედ დაფუძნდეს რუსულის ენის ცოდნაცა? და თუ ესე არ იქნება, ხომ ცნობიერად და გაგებით ცოდნაც არ იქნება რუსულის ენისა. აი რა ფაქტი მოჰყავს რიხტერსა, როცა საერო სკოლაში პროვინციალურს ენასთან სახელმწიფო ენასაც

ასწავლიან, სახელდობრ, ნემეცურს, ესე იგი, ი მ ა ვ ე ძ ი რ ი ს ე ნ ა ს, მაგრამ უფრო ვანვითარებულს. რეკრუტის კომისიების სიტყვით, „ისე არა ავიწყდებათ-რა ბავშებს, როგორც ნემეცური (სალიტერატურო) ენაო".

4-ს იანვარს ყოფილმა საერო სკოლების ოსტატების კრებამ პეტერბურგში საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთში, საცა ჩვენებრ სამის წლის კურსია და ასწავლიან მარტო ერთს დედაენას — რუსულს, ბევრი ყმაწვილები სკოლის შემდეგ წერა-კითხვას ივიწყებენო. მაშ რაღა ითქმის რუსულის ენის შესახებ ჩვენს სკოლებში, საცა იგივე სამის წლის კურსია და საცა ეგ ენა სრულიად სხვაა მოსწავლე ბავშისათვის. ნუთუ ჰგონიათ, ჩვენში საერო სკოლა სამისავე წლის კურსით იმ სასწაულს მოახდენს, რომ დედა-ენაც შეასწავლოს ბავშს და რუსულიცა იმოდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე არ გადაავიწყდეთ?

მეორე მუხლი 8-ნ იანოვსკის აზრისა თხოულობს, საგანი ისე შეასწავლონ ბავშსა, რომ ნამდვილი ცოდნა იყოს საგნისა. ნუთუ დედა-ენაში ჯერ კარგათ არ გაწურთნულს და გავარჯიშებულს ბავშს ისე ეცოდინება სამს წელიწადში თავისი დედა-ენა და რუსულიცა, რომ ან ერთი იქმნას ნამდვილ ცოდნად და ან მეორე? ნუთუ ეგ ნამდვილი და გამოსაყენებელი ცოდნა იქნება და არა გაზეპირება? თუ ესეა, რომ სამი წელიწადი დედა-ენის შესწავლებასაც არა ჰყოფნის, როგორც საქვეყნოდ აღიარეს თითონ. რუსეთში საერო სკოლის ოსტატებმა, თუ ესეა — რომ ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული — მახლობელით, უცნობი — ცნობილით, — მაშ, ნუთუ ერთსა და იმავე დროს დედა-ენის და ჯერ თითქმის უცნობის — რუსულის ენის სწავლება ჩვენს საერო სკოლებში უქმად დროს დაკარგვა არ არის, არამც თუ ურგები, როგორც სამართლიანად ამბობს თითონვე ბატონი იანოვსკი, არამედ მავნებელიცა? უცნობი ცნობილით ასწავლეთო, — ამბობს დისტერვეგო, — თუ გინდათ ცოდნას ცოდნა ერქვასო, სწავლას — სწავლაო, სხვა გზა არ არისო, სხვა ღონე შეუძლებელიაო. ან ეს ძირეული კანონი პედაგოგიისა სულ მთლად აღიარებული უნდა იყოს, ან სულ არა. ამათ შუა საფეხური არ არის, რომ კაცმა ფეხი მოიკიდოს.

სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოსო, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ა ღ, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომელთ

შორისაც და რომლისათვისაც არსებობსო, ამბობს იგივე ბ-ნი ია-ნოვსკი, საერო სკოლა ერის შორის და ერისათვის არსებობს, ესე იგი — იმ უმრავლესობისათვის, რომელსაც, როგორც წინა ვსთქვით, არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება და, ჩვენდა სამწუხაროდ, არც საჭიროება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ამა უმრავლესობის საჭიროება რა არის ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, არა ისა, რომ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში განაგრძოს სწავლა, თუმცა კი ეს დიდად სანატრელია, არამედ თვალახილებული იყოს. თვის გარეშემოში თავისის ჭკუით შეეძლოს ცხოვრება, მართლმსჯელობის ნიჭი გახსნილი ჰქონდეს, თვითმსჯელობას შეეჩვიოს, ერთის სიტყვით, იმოდენად გაღვიძებული იყოს სულითა და გულით, იმოდენად განვითარებული, რომ თავის შინაურობის აკკარგიანობას გაუძღვეს, თავის პატარა მოედანს ცხოვრებისას თვალი და ხელი ცნობიერად და გაგებით გადააწვდინოს.

ამას საჭიროებს ერი საზოგადოდ და ჩვენი ნამეტნავად. აი ეს საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს იმ სკოლამ, რომელიც ერის შორის არის და ერისათვის არსებობს. რაც შეძლება მომატებულად უნდა დააკმაყოფილოსო, ამბობს ბ-ნი იანოვსკი თითონ,—და მისი პროექტი კი ამ საჭიროებას არამც თუ რაც შეიძლება მომატებულად არ აკმაყოფილებს, არამედ რაც შეიძლება ნაკლებად, იმიტომ რომ საერო სკოლას ისეც არასაკმარს ღონეს და დროს უფანტავს და უყოფს. ჩვენ ვამბობთ, — და ყველანიც დაგვემოწმებიან, — რომ სამი წლის კურსი საერო სკოლისა შეტად მოკლე ხანია ჯერ იმისათვისაც, რომ ბავშმა გონება გაიხსნას, სულიერად და ხორციელად გაიმართოს თავისიანობაზედ ვარჯიშობითა, თავისი დედა-ენა, თავისი ქვეყანა გაიცნოს და შეისწავლოს იმოდენად, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს. ჯერ თითონ რუსეთში, საცა ჩვენებრ სამის წლის კურსია, საცა მარტო ერთს დედა-ენას ასწავლიან, ეშდურიან — საერო სკოლა თავისს დანიშნულებას ძალიან ნაკლებად ასრულებსო. და რამოდენად ნაკლებად უნდა აასრულოს ჩვენმა საერო სკოლამ, რომელსაც, გარდა თავის პირდაპირის დანიშნულებისა, გარდა დედა-ენის ცოდნისა, რუსულის ენის ცოდნასაც ავალებენ და იმავე სამის წლის კურსს უნიშნავენ.

— ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ საერო სკოლას შეუძლიან ბო-

სამზადებელის კლასის საქმეც გაარიგოს. ჩვენ იმას განმეორებით ვიტყვით, რომ საერო სკოლას საზოგადოდ ის დანიშნულება არა აქვს — ერის მოზარდი უმაღლესის სასწავლებლისათვის მოამზადოს. იმას, როგორც ვნახეთ, თავისი საკუთარი საქმეც მეტად ბევრი და მძიმე აქვს და, თუ მაგ მხრითაც საერო სკოლა შველის სადმე ერსა, — ეგ მარტო იქ თუ შეიძლება, საცა ერის დედა-ენა და უმაღლესი სასწავლებელისა ერთი და იგივეა და სკოლის კურსიც უფრო ხანგრძლივი, იქ საერო სკოლაში გამოვლილი ბავში მომზადებულია უმაღლესის სასწავლებელის უმცირესის კლასისათვის, რადგანაც ჯეთილად აგებული საერო სკოლა ისე არ გამოუშვებს ბავშს, რომ არ იყოს ვონებითაც საკმაოდ გახსნილი და დედა-ენაშიაც. რომელიც უმაღლესის სასწავლებელის ენავეა, საკმაოდ, გაწურთვნილი და გავარჯიშებული. იქ საერო სკოლას თუ მოაქვს ეგ ნაყოფი, თავის-თავად გამოაქვს მარტო იმის წყალობით, რომ თავიდამ ბოლომდივე უმცირესს სასწავლებელიდამ უმაღლესამდე, ერთი და იგივე ენა მოქმედებს სწავლებისათვის.

აქ, ჩვენში კი საერო სკოლის ენა ერთია და უმაღლესისა სრულებით სხვა. ამიტომაც ჩვენში საკუთრად საერო სკოლა, თუ უნდა რომ მარტო სახელით არ იყოს, თავისდღეში სამის წლის კურსით მოსამზადებელ კლასის საქმეს ვერ იზამს, რადგანაც აქ ამ მოკლე ხანში დედა-ენაც საკმაოდ უნდა შეისწავლოს ბავშმა და უმაღლესის სასწავლებელისაცა, ესე იგი, რუსული ენაც: ერთის სიტყვით, ერთი-ორად საქმე ისე გაიძნელოს, რომ ვერც ერთი ჰქმნას და ვერც მეორე. ნუთუ ეს სასურველია ვისთვისმე?

ჩვენ კიდევ ვიტყვით, რომ სამის წლის კურსი საერო სკოლისა საკმაოდ არ მიგვაჩნია ჯერ სკოლის პირდაპირის დანიშნულებისათვისაც და სად შესძლებს იგი მოსამზადებელ კლასობასაც იმისთანა უმაღლესს სასწავლებელისათვის. საცა მარტო რუსული ენა მოქმედებს და დედა-ენა პირ-აკრულია. გერმანია, და ნამეტნავად პრუსია, არის ის ქვეყანა, საცა საერო სკოლის განსკუთრებული თვისება მისსლობით გამოკვლეული აქვთ გამოჩენილთა მეცნიერთა შემწეობით, მისი თავი და ბოლო. სიგრძე და სიგანე დიდის ცოდნით და სიფრთხილით გაზომილი აქვთ: იქ საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე იმოდენად ძნელად და სამძიმოდა აქვსთ აღიარებული და ცნობილი, რომ მისი კურსი ხუთისა და ექვსის, ზოგან რვა წლობითაც არის ხოლმე. თუ იქ, საცა, რაც უნდა ვსთქვათ, ერის

გონებრივი და ქონებრივი ყოფა-ცხოვრება გაცილებით ჩვენზედ მეტია და უკეთესი, საცა ერი უფრო მიხვედრილია და გონება-გახსნილი, საცა დახელოვნებული და კარგად მომზადებული ოსტატები მრავალია და, მაშასადამე, საცა ყოველ ამ მიზეზით, სკოლის საქმე უფრო გაადვილებულია, ხუთს წელიწადზედ არა ნაკლებ ახმარებენ საერო სკოლის პირდაპირ დანიშნულებას,—ნუთუ ჩვენში სამი წელიწადი, ეს მოკლე ხანი, იმისათვისაც საკმაოა, რომ საერო სკოლამ თავისი პირდაპირი დანიშნულებაც აასრულოს და რუსული ენაც იმოდენად აცოდინოს ბავშს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს?!

ავსტრიაში, საცა რუსეთისამებრ სხვადასხვა ენის ერი ცხოვრებს, ბევრსა სცდილობდნენ, რომ სკოლების შემწეობით განევრცელებინათ ნემეცური ენა, როგორც საზოგადო სახელმწიფო ენა ბევრი სისტემები სცვალეს, ხან ერთი კანონი დაადგინეს, ხან მეორე, მაგრამ ნემეცური ენა ისე ვერ გაავრცელეს, როგორცა სურდათ, და ერს კი აწყენინეს და გული ტყუილ-უბრალოდ აუმღვრიეს 1805 წ. კანონის ძალით, პირველ წელიწადს ნება ჰქონდათ მიცემული სწავლება მარტო დედა-ენის შემწეობით ემოქმედიბინათ და მას შემდეგ ნემეცურად.

„ცხადიაო,—ამბობს ამაზედ რუსის პედაგოგი ვესსელი,—რომ ამისთანა მოთხოვნილება შეუძლებელი იყოო“.

და მართლადაც, 1848 წ. მთავრობამ სცნო, რომ ძ•გ კანონიდამაც არა გამოვიდა-რა და ახალი კანონი დაადგინეს, რომლის ძალითაც მთელი სწავლება სკოლაში დედა-ენაზედ უნდა მოწყობილიყო, იმ პირობით კი, რომ ნემეცური ენაც ესწავლებინათ, როგორც სახელმწიფო ენა.

1855 წ., ესე იგი, როცა ავსტრიის პოლიტიკა უკუქცა, შესცვალეს ეს კანონი და 1805 წ. კანონს დაუბრუნდნენ და უბრძანეს, რომ ყოველს სკოლაში სწავლება იყოს ნემეცურს ენაზედ, მხოლოდ კი პირველ წელიწადის პირველ ექვს თვეში ნება ჰქონდათ ერის დედა-ენაზედ სწავლებისა.

„ამ კანონმაო,—ამბობს იგივე ვესსელი,—გული აუმღვრია საერთოდ სლავიანებს, მადიარებს და იტალიელთა, მით უფრო უმეტეს, რომ მ თ ა ვ რ ო ბ ა ა მ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ დ ა დ ა ა რ ა ვ ი თ ა რ ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ს-კ ი (ხ ა რ ჯ ს) ა რ ი ძ ლ ე ო დ ა თ ვ ი ს ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ა ს ა ს რ უ ლ ე ბ ლ ა-

დ ა ო. ბოლოს, 1866 წელს, ესე იგი მას შემდეგ, რაკი ავსტრიის შთავრობამ ისეც სცადა და ესეც და დარწმუნდა, რომ არა გამოდისრა, მიიღო კანონად ბოგემიის კრებისაგან დადგენილი წესი, რომლის ძალითაც ჩეხურს და ნემეცურს ენას ერთნაირი უფლება მიანიჭეს სწავლებაში, მაგრამ ისე კი რომ სწავლება საერო სკოლაში ერთერთზედ უნდა ყოფილიყო და მეორე კი ესწავლებინათ, როგორც საგანი სწავლებისა. სხვა სკოლებისათვის კი აღდგენილ იქმნა ისევ 1848 წ. კანონი. 1869 წ. ეს კანონი შეივსო მით, რომ დაადგინეს: თითონ საზოგადოებამ, რომლის ხარჯითაც იმართება სკოლა, გადასწყვიტოს: ა) რა ენაზედ უნდათ მოაწყონ სწავლება და ბ) მეორე ენაც, იმ ქვეყანაში მომქმედი, უნდა ასწავლონ თუ არაო".

აი სად მიიყვანა ავსტრია თითქმის სამოც-და-ათის წლის გამოცდილებამა.

მართალია, ბ-ნი იანოვსკი რუსულის ენის სწავლებას საერო სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობს, რომ აქაურებს ჰსურთო რუსულის ენის ცოდნაო. ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ.

მაგრამ საქმე იმაშია, ისე მოგვიწყოთ სკოლა, რომ რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს, იმოდენად შაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს. ჩვენ თუ გვსურს რუსულის ენის ცოდნა, ისე გვსურს, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოვიპოვოთ, სხვათა შორის, მის შეწყობითაცა. ამისთანა ცოდნისათვის არამც თუ სამყოფია ის სამის წლის კურსი საერო სკოლისა, რომელიც ბ-ნს იანოვსკის განუზრახავს, არამედ არა ნაკლებ ექვსის წლისა, რომ პირველს სამს წელიწადს საერო სკოლა ჩვენში თვის პირდაპირ დანიშნულებას ემსახუროს განსაკუთრებით და მეორე სამს წელიწადს ის მეტოდა იხმაროს რუსულის საცოდნელად, რომელიც ნაჩვენებია ბ-ნ იანოვსკის წერილში. მაშინ ბავში გონება-დაუჩაგვრელად მომზადებული იქნება არამც თუ უმაღლესის სასწავლებლისათვის, არამედ იმისათვისაც,

რომ შინაც ღონისძიება ჰქონდეს განაგრძოს სწავლა, როგორც დედა-ენის შემწეობით, ისეც რუსულითაცა. ამასთან დედა-ენა და **რუს**ული ენა იმოდენად შესწავლული იქნება, რომ, თუ საჭიროა, შინაც გამოიყენოს და გარეთაც.

იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს **და** ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს. ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა*).

*) ამ წერილის ბოლო, ჩვენდა უნებურად, ბოწყვეტილია.
(ავტორის შენიშვნა)

ქართველი სტუდენტობა რუსეთში

I

ტფილისი, 4 თებერვალი, 1886 წ.

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო „ახალ ამბავთა“ შორის ერთი გულსაწვავი ამბავი. ოდესის უნივერსიტეტში, საცა ჩვენი მოზარდი ყმაწვილ-კაცობა ჰრჩეობს უმაღლესის სწავლის მიღებას, რადგანაც იქ ჰავა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებზედ უფრო უკეთესია და უფრო შესაწყნარებელი ჩვენებურებისათვის, ქართველი სტუდენტობა კარგა ბლომად არის. ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია და ყმაწვილ-კაცობის ხალისით და გაბედულობით გასდგომიან შორს და სანატრელ გზას სწავლისას. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო“, და როგორც იქნება, ვაითა თუ ვაგლახით, ჩვენს თავს გავიტანთო. ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა — უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა. უკეთესს მოხუცს თუ რაჰ ენანება თავისის წარსულისა, სწორედ ამ თვისებათა შესუსტება ენანება ხოლმე და ამიტომაც არც ერთი გონიერი და სულგრძელი კაცი ამისთანაებში არ უსაყვედურებს ყმაწვილ-კაცს, წინდაუხედავი რათა ხარო. საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია — ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. აქ ჩვენ ყმაწვილ-კაცობის თავგანწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ და ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაცა.

ამ მხრით ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ

მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილკაცის ძახილი მოდის, მიშველეთო. ყველა ჩვენი ღონე ზედ-შევაკალით, ყველა ჩვენი მეცადინეობა ზედ-შევალიეთო და ვერას გავხდითო, იწერებიან ოდესიღაც უნუგეშოდ შთომილნი ყმაწვილ-კაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი. ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შემწეობის ხელსა! აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ, რაიმე შეაწიოს. სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული:

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია“.

II

ტფილისი, 22 დეკემბერი, 1886 წ.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა. ყველა ჰხედავს ყველა ჰგრძნობს, ყვველა ჰღაღადებს. ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო.—ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშიც, კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს — ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს — ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. ეგ სურვილი ყოვლად-მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად, ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია. იგი ჰმოქმედობს და არა ერთსა და ორს დედ-მამას მიაყენებს ხოლმე სასწავლებელის კარებზედ ხელწნით და მუდარებით, რომ სანატრელი კარი მისთა შვილთა წინ გაეღოს, და ამასთანაც ჰკანკალებს, — ვაი თუ

არაო. არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილ-კაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ იქ შორს, შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს, —

„და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მოდიან ის თავგანწირულნი, ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გარდახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის მწვანე შტოს ნოეს მტრედსავით, ნიშნად ხარებისა და ნუგეშ-ცემისა. მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“, — არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირიკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა.

ყოველს ამას მოველოდებით სწავლისა და ცოდნისათვის თავგადადებულთა და გარდახვეწილთაგან. ამას ვითხოვთ, ამას ვაველდრებთ, ამას ვეხვეწებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი ალარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ. დღევანდელი კიევიდამ მოწერილი ამბავი მკრთალი სურათია იმისა, რასაც ჩვენი საცოდავი ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყანად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკალად და, მაშასადამე, ჩვენდა საბედნიეროდ. გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არა ჰფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელს წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ

აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და ძახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ "ძიმ'ძილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას — ძმა, რამდენს მეგობარს — მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!..

ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს... ნუთუ მართლა ისე უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!... თუ, — თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია, — ისე გულგრილები ვართ, ისე უმადლონი, რომ გული ხელს იკავებს და დაუდევრობა — მადლის სურვილსა

დავით აღმაშენებელი

(დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის — 26 თებერვლისათვის)

არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე ვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის ვულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიანარა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქოს ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ეროზა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით, ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც შეუძლვით ჩვენ-წინა. ესინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა

სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებელობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გვირგებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსასცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი საძსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლ-

მადიდებელის სარწმუნეობისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-ღა დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს:

> „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“.

ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი სწერს:

> „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას

ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. — მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა სწერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება, დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩითში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატივებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“*.

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე — რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

---

* როგორც ეს ციტატა, ისეც ზემოყვანილნი, ბ-ნ დ. ბაქრაძის შენიშვნიდან არის ამოღებული.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი: — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

[1888 წ.]

ერი და ისტორია

(დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე)

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს

დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, **რა** არის — არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა, ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამაპაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, ჭართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ-ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც-კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის ერის დღეგრძელობისათვის.

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმოსპილოს ეგვანება. დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირ-

კველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი, საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენინ ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს-ბრუ-დახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის-თავზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ განა დიდი მანძილიღაა სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძა-

ბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული? რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.

ეს მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატკივართა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულისშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ-გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელ-ახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალით ვხედავთ.

ჩვენ გვწამს ესეთი სასწაულთმოქმედება ისტორიისა და ამიტომაც დიდის სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს ბ-ნს დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერიაში“ დაბეჭდილის პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი ასე, რომ თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებულის წარსულისა. ვისაც-კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე. მართალნიც არიან.

ზემოხსენებულისაგან ცხადად დაინახავს ჩვენი მკითხველი,

თუ რა დიდსა და სახელოვან ღვაწლსა და სამსახურს სდებს ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან. ყოველ ამ დიდ სიკეთის მომნიჭებელი იქნება ჩვენი პატივცემული ბ-ნი ბაქრაძე, რომელსაც მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის-დღეში არ დაივიწყებს თვისთა სახელოვანთა კაცთა შორის. ღმერთმა ისე კეთილად შეასრულებინოს ეს სასახელო განზრახვა, როგორც თვითონ ბ-ნ ბაქრაძეს და მისთა კეთილმყოფელთა ჰსურდეს და, სხვათა შორის, ჩვენცა.

[1883 წ.]

ᲐᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

წერილი პირველი

წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა „Северный Вестник“-მა დაჰბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი „Письма о Грузии“. რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თითონვე მოგვითხრობს.

იგი წერილების თავშივე გვეუბნება, რომ განვიზრახეო გაკვრით (бегло) ვაცნობო მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერის ცხოვრებისა ისე, როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლიტერატურასა და ეხლანდელ ყოფა-მდგომარეობის ფორმებშიაო. ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო განვუღვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლოს ეს ბევრგვარად საინტერესო ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სხვა ამიერ-კავკასიის ტომებზედ უმრავლესია, უფრო განვითარებული მოქალაქეობრივად (граждански) და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უუმეცნიერესს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო.

ამას ამბობს ავტორი 49 გვერდზედ თებერვლის ნომერში და ამნაირად გვაუწყებს თავის განზრახვასა და ნიშანში ამოღებულ საგანსა. ხოლო მარტის ნომრის 57 გვერდზედ იგივე ავტორი თავის განზრახულს საგანს ამრიგად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო, — „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო. თუ ჩვენმა წერილებმა ამ ძირეულს და თავდა-თავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა, ჩვენ ჩვენს ვან-

ზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო“. აქედამა სჩანს, რომ თავი-და-თავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირგულს საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს.

ჩვენ იმის გამოძიებაში არ შევალთ, — რამოდენად ეთანხმება თავში განზრახული საგანი ბოლოში გამოთქმულსა. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამისთანა საკითხს იძლევიან ისტორიის მკვლევარნი. რომ ეს ჩვენი გაკვირვება ცუდ-უბრალო გამოკიდებად არავინ არ ჩამოგვართვას, საჭიროა გამოვწალთ ასო-ასო იგი თავი-და-თავი საგანი, რომელიც ავტორს ნიშანში ამოუღია და რომლის მისაღწევად აუღია კალამი ხელში. გვეშინიან, გადასხვაფერება სიტყვისა ან აზრისა არ მოგვივიდეს თარგმანში და ამიტომაც ავტორის სიტყვებს რუსულადაც მოვიყვანთ. ავტორი, ათავებს-რა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველის-ძველ ცხოვრებისას, ამბობს:

«Без ясного знакомства с этими доисторическими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно-ли грузинский народ стар (!) и износил свои силы (!), или-же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свой силы для будущего. (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутую».

თუ ამას დავიჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავი-და-თავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს, — დაბერდა იგი ერი და ღონისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისისათვის. ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორიას და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ.

აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითოეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია,

როგორც ცალკე ადამიანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუ-ვა, ვერ გადასცდებაო.

ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავის-თავს ჰკითხავს, — დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მი-სი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირკედელობა იქნება, ცუდ-უბრა-ლოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა და გვითხარით, ამაში რომელი ვიგულსხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სი-ბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდე-ბოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარ-ბიელზედ და მეორე გვიან.

თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ. მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დრო-ზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰ-ყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს, თუმ-ცა ძნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ, თუ მოხდა, აქ სიბერე არა-ფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვ-ლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება. თი-თონ რუსულ ლიტერატურაშიაც-კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურ-ებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი ამის თაობაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ავტორს, ვითარცა კაცს ასეთის ჭეშმ-ქუხილით მოუბარს «о свободном и широкольющемся потоке света и знания, о связи с могучим, глубоким родником общечеловеческой мысли»*,

* ავტორის სიტყვებია.

ზურგი შეუქცევია იმ поток-ისათვისაც და იმ родник-ისათვისაც; და, არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოვებია; მაშ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყალხზედ შეყენებულ ფრაზებს, თუ თითონ მთქმელს საჭიროდ არ დაუნახავს არც ის поток-и света и знания, არც ის родник-и общечеловеческой мысли და მარტო ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლია, თითქო იმ მთელ კაცობრიობის აზრთა წყაროში, იმ ნათელისა და ცოდნის ნიაღვარში, მარტო დრეპერისა და მის მიმდევართა აზრი იყოს და სხვისა არავისი.

„სიბერე ერისა“, ჩვენი ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმი, არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არ-არსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოსაში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა-ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი. ეს კიდევ არაფერი. **რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს** მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა, ვიმეორებთ, მინამ ამას დაგვმართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებულ დიდებული родник-и общечеловеческой мысли, ის поток-и света и знания მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი კამბობთ, ამ „ერის სიბერის“ გამო ავტორს კიდევ ხელმოსაჭიდებელი ხვსი აქვს თავის გადასარჩენად; საქმე მეორე წინადადებაა:

„დაიცალა (ქართველი ერი) ღონისაგან(?), თუ ჯერ დღესაქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო“ — (Износил свои силы, или-же он до сих пор не начинал еще жить полною инсенсивною жизнью и сберег свой силы для будущего».

ამბა, ერთი გვითხარით, ეს „сберег свои силы для будущего“ რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა-ყველა და ამისთანა საკითხს-კი არ მოველოდით არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამ-რიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა; ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლუ-

რებს, და მეორე — არა-ინტენსიური ცხოვრება-კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორგვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის", თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია — ჩვენ, ქართველებს, მოგვბაძონ*, ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი, ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური" ცხოვრება!.. დღეს-აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არდაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრობა და გაბიაბრუება ისტორიისა! ჰოი, поток-о света и знония, ჰოი, родник-о общечеловеческой мысли! „რაზედ გაცუდდნენ ძალნი თქვენნი მომჯადოებნი"?!

„ინტენსიური ცხოვრება" ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მზნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-

---

* ავტორი მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიურის ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის.

ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.

ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო. რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის, და იქნება ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას.

ეხლა-კი უსაბუთოდ ჰკილავს ავტორი ჩვენებურ ინტელიგენციას 54 გვერდზედ, რომ ტყუილად აბნევს აქ (საქართველოში) მზე თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სასიხარულო სხივებსაო. იგი თითქოს არც ათბობს, არც ანათებს და მარტო თვალს ახამხამებსო. რათ არის ესე, ჰკითხულობს გულშემატკივარი ავტორი: კაცს აქ სული რათ უგუბდება და რატომ ნათელი არა ნათობსო. ბევრიაო ამისი მიზეზი და უპირველესი, თავი-და-თავი ის არისო, რომ აქაურ ინტელიგენციას თავი შეუკეტნია, «потеряв связь с могучим и глубоким родником общечеловеческой мысли».

ჩვენ გვგონია, რომ ავტორი არ უნდა უწყრებოდეს ჩვენებურს ინტელიგენციას ამისათვის, თუ თავისი დედააზრი, თავისი მოძღვრება „ღონის შენახვაზედ“ მართლა სწამს. ავტორს, წყრომის მაგიერ, უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით იქცევა ამ შემთხვევაში: ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის „ინტენსიურმა აზროვნებამ“ ღონე არ შემოახარჯვინოს.

აი, სადამდე მიჰყავს კაცი უთავბოლო ფრაზებსა. ის თავი-და-თავი საგანი, რომლის გამოსარკვევადაც აუღია ავტორს კალამი ხელში და რომელიც გამოთქმულია ზემო-მოყვანილ რუსულ ციტატაში, აშკარად გვეუბნება, რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. მას სწამებია ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება“ ერისა ღონის გამომცლელია და, მაშასადამე, დამაუძლურებელი; მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჭკვა უხ-

მარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია.

ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკიცხავს ჩვენებურ ინტელიგენციას, თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრია ყოვლად შემძლებელ წყაროსაო! უმეცრებას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ერის ღონისაგან დამცლელი ჰგონია და არა-ინტენსიური ცხოვრება კი — ღონის შემნახველი.

ეხლა, აბა ნახეთ, სხვა ადგილას იგივე ავტორი იმავ ინტენსიურ ცხოვრებას რა ფრაზებით, რა ბუკითა და ნაღარით აქებ-ადიდებს: «всесильная современность, могучий и глубокий родник общечеловеческой мысли, свободный и широколькющийся поток света и знания, общечеловеческая сокровищница слова и мысли“ და სხვანი და სხვანი. ახლა ერთი ჰკითხეთ ავტორს, საიდამ არის ყოველივე ეს, თუ არ „ინტენსიურ ცხოვრებისაგან“. რამ შეჰქმნა ეს ყოვლადშემძლებელი ეხლანდელობა, ეს ღონიერი და ღრმა წყარო კაცობრიობის აზროვნებისა, ეს თავისუფალი და განივრად მომდინარე ნიაღვარი ნათლისა და ცოდნისა, ეს კაცობრიობის სალარო სიტყვისა და აზრისა, თუ არ „ინტენსიურმა ცხოვრებამ“?

ნუთუ ყოველივე ეს ერთად და თვითოეული ცალკე უტყუარი ნიშანი და მაგალითი არ არის „სრულის ინტენსიურის ცხოვრებისა?“ თუ ესეა, ამის მთქმელს განაღა შეეძლო ბოლოს ეს ეკითხნა:

«Грузинский народ стар (?) и износил свои сылы (?), или он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (?)».

ორში ერთი: ინტენსიური ცხოვრება ან ღონეა, ან ღონისაგან დამცლელი. რომელი ერთი დავუჯეროთ ავტორსა. აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ან ზემოხსენებული ქება-დიდება ცუდ-უბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად, ან ეს უკანასკნელი ლათაიად მოყვანილია. თუ ერთიცა და მეორეც მართლა ცარიელი ფრაზები არ არის და აზრი რამა აქვთ, ძნელად დასაჯერია, რომ ერთისა და იმავე კაცისაგან იყოს ნათქვამი.

ეხლა ჩვენ ხომ ვიცით, რა ღრმა აზრი და საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავისის წერილებისათვის ხელი მიუყვია. საგანი, როგორც

ჰხედავთ, ურიგო არ არის, რადგანაც აქედამ ერთი კარგი რჩევა გამოდის: ვერიდნეთ ინტენსიურს ცხოვრებას ერთი ათასიოდ წელიწადი კიდევ და ამით ღონე შეგვენახება უფრო შორეულ მერმისისათვის. და თუ ეს ღონის შენახვა კარგია, ჩვენს შემდეგთაც ვუანდერძოთ, ესევე ჭკუა იხმარონ, იმათაც ზურგი შეაქციონ ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის და ეგრე ერთი შთამომავლობა მეორეს მიჰყვეს ქვეყნის დასასრულამდე. ახლა დაიჟინებთ და იკითხავთ, — ეგ ღონე რაღა ეშმაკად უნდა ერსა, თუ ყოველთვის ზანდუკში შენახული ექნებაო? ამისი კი რა მოგახსენოთ. ხოლო ეხლა კი ადვილად გასაგებია, ველურნი ერნი რათ უფრთხიან, როგორც ჭირს, ინტენსიურს ცხოვრებას? თურმე ნუ იტყვით, არ იხარჯებიან და ღონეს ინახავენ მერმისისათვის. მეტი ჭკუაღა გინდათ! რომ სწორედ ამ ჭკუაზედ გვივლია ჩვენც. ამას ავტორი სცდილობს თავის წერილებში დაამტკიცოს. ეს ახალი მეცნიერება დღეს — აქამომდე არავინ იცოდა და მადლობა ღმერთს, „Северный Вестник"-მა ქვეყანას შეატყობინა, ჩვენის ავტორის შემწეობით. რა თქმა უნდა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა. მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს ევროპისათვის, ეს ახლად ნაპოვნი წამალი „ღონის შენახვისა".

ყოველივე ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს ამაზედ გაგვეთავებინა ჩვენი საუბარი. ვინც ისტორიაში იმას ეძებს, — აცა, ვინ არ მიეცა ინტენსიურს ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო, იმასთან ლაპარაკი მეტია. მაგრამ ჩვენ მაინც ამით არ ვათავებთ ჩვენს საუბარსა, იმიტომ რომ ერთს ადგილას (53 გვერდზედ) ავტორი ამბობს, მე იმისთანა მხარეს ქართველთა ცხოვრებისას უნდა შევეხოო, რომელსაც ჯერ არავინ შეჰხებია ქართულს ლიტერატურაში და ამაში პირველობა მე შემხვდაო. მოდით და წყურვილი ნუ აგეშლებათ. ბოლომდე მიჰყვეთ ავტორსა.

შემდეგში გავსინჯავთ, რა გზით, რა „ინტენსიურ ცოდნით", ერთის სიტყვით — რა საგზლით უვლია ავტორს თავის ძირეულ და თავ-და-თავ საგნამდე მისაღწევად და რა საკვირველებანი აღმოუჩენია გზა-და-გზა მსოფლიო ისტორიისათვის საზოგადოდ და ჩვენისათვის ცალკე.

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!..“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი..“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ: რით გაგახარაოთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანა-

ში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, ცამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ-კი ასეთნი?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით

ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ:

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძ-ლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრ-ჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვა-ცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნ-დოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნ-დოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შე-გვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გა-ჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თა-როზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯი-თი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მი-წა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შე-ვირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეუ-ლი-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება,

და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა, რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე დავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მრათალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღალადი? ვაი რომ არა!... მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — **რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ,** ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს **თხრილი, ისეთი უძირო,** ვდგევართ და ულონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო?“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება **იმიტომ,** რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც ალარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთო?

(1897 წ., 31 დეკემბერი)

ასი წლის თავი
ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან

I

ტფილისი, 12 იანვარი 1898.

11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, წირვა და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი საქართველოს მეფის ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევითა, დიდძალი ხალხი მიაწყდა ამ დღეს სიონის სობოროს, ასე რომ შიგ ეკლესიაში ტევა არ იყო. გარეთ მთელი სიონის ქუჩა ორ-პირად დაჭერილი იყო ხალხითა და პოლიციაც ძლივს ამაგრებდა, რადგანაც ყველა ეკლესიაში შესასვლელად იწევდა და ეკლესიაში-კი ადგილი არ იყო. ამ საუკუნოდ სახსენებელ დღეს მეფე ერეკლეს მიცვალებისას დაესწრნენ მისი ბრწყინვალება მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის მოადგილე, მარშლები, ჩვენ. დიდკაცობა, ქალი თუ კაცი, ქართველთა დაწესებულებათა წევრნი და თითო-ოროლა რუსთა მოხელეობის წარმომადგენელნი და მრავალნი სხვანი.

ამ-სახით ამ ქართველებისათვის ღირს-სახსოვარს დღეს მეფე ერეკლეს გარდაცვალებისას პატივი სცეს მისმა ბრწყინვალებამ მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა და უმაღლეს მოხელეობის წარმომადგენელთა, დიდი და პატარა ქართველობისა მოვიდა, რომ ლოცვა-კურთხევით მოიხსენოს განსვენებული მეფე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალ-ამოღებული ჰპატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთის და თესლი კაცს, ვინც-კი შემოკედლებულნი იყვნენ მისს საფარველ ქვეშ, რომელმაც ზედ შეაკლა ტფილისს თვისნი შვილნი, თვისნი ქართველნი, რომ ტფილელნი გადაერჩინა ძარცვატაცებისა და ტყვე-

ობისაგან, რომელმაც თუმცა უკანასკნელ დროს ვერ იხსნა ტფილისი წახდენისაგან, მაგრამ თავისი უკეთესი ძალ-ღონე ხომ შეალია, უკეთესი მამულისშვილნი ხომ შეაკლა და მტლად დაუდო. სხვა არა იყოს-რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი!..

რით გადაუხადა ესეთი ღვაწლი ტფილისმა მართლა-და მისთვის ღვაწლით-მოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გარდაიხადა? მით, რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტის-მეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებულ აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.. ვთქვათ არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღვირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი ეცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში! რას შეუფრთხა? ნუთუ მომავლინებელთა თვისთა? მოვლინებულმა არ უღალატა განა თვისთა მომავლინებელთა და მათის უმართებულობის წინაშე დაივიწყა მოვალეობა ქალაქის მოურავის თანამდებობისა!..

ეხლა ვკითხოთ იმათ, ვინც ყურები გამოგვიჭედა ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ღაღადითა: რის მომასწავებელია ასეთი უმართებულო საქციელი მთელის იმ წყობისა, რომელთაც დღეს ხელთ უჭირავს პატრონობა ჩვენის ქალაქისა? ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე იყო, რომ ასე ყურები გამოიჭედეს ბამბითა და სამარცხვინოდ თვალი დაიხუჭეს, მითამ და აქ არაფერიაო? ნუთუ ამას იქითაც იტყვით, რომ ეხლანდელი „მამანი ქალაქისა“ მართლა ქალაქის წარმომადგენელნი არიან და მისის სურვილების გამომეტყველნი და არა მარტო ერთგვარ წყობისა, რომელსაც მეორე ნაწილთან, ქართველობასთან არავითარი კავშირი და ერთობა არა აქვს, და არც სურს რომ ჰქონდეს? განა ესე ექცევიან ძმები ერთმანეთს? განა ერთის ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს, სადიდებელს ნულარ ვიტყვით? სიტყვით რომ ძმობას იძახით, საქმით რათა ხართ ეგრე შორს? ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? ესეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალებ-ასაფარებელი „классовая борьба“-ა? ნუთუ აქაც ეგ „борьба“ ჭლაპარაკობს, და არა გულჩახვეული, უტყვი ავგულობა

იმათ მიმართ, ვის ძმობასა და ერთობას ეგრე ებღაუჭებიან, და ვის სადიდებელს და ღირს-სახსოვარს დღეს ეგრე უკადრისად, უმართებულად და უზრდელად ექცევიან!.. ვისაცა გქონან ყურნი სმენად, ისმინეთ!..

II

ტფილისი, 21 თებერვალი, 1898.

ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც მეფე ერეკლე მიებარა მიწას და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სამეუფეო ტაძარში. ამ დღეს მისს საფლავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი და ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვანს გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილსა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“. მაგრამ საკმაო-კია მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყოველი ხომ წავა და გათავდება, სხვა რა დაგვრჩება, რომ მართლა საუკუნოდ სახსენებელი იყოს ჩვენთვის ამისთანა კაცი?

თვითოეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, — ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, — დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ უფრო ბევრ-რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა:„ დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“. უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლმოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“.

ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დას-

ტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნებოვანს კაცს, სხვა ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდ-ბუნებოვანობისა. ეს რკინის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისათვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდ-ღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელ-დებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს.

ზემოთა ვთქვით, რომ ხსენება დიდ-ბუნებოვანის მამულის-შვილისა შთამომავლობის მოვალეობაა. ერთი დარგი ამ მოვალეობისა ის არის, რომ წირვა და ლოცვა გადავიხადოთ მისი სულის საოხად და განსასვენებლად მართალთა შორის. ამას ითხოვს ჩვენი რჯული, ქრისტიანობა. ეს წესი, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა უნდა ავასრულოთ. ხოლო ეს არ უნდა ვიკმაროთ. საქმით რითიმე მართლა საუკუნოდ სახსენებელი უნდა გავიხადოთ სახელი მეფის ერეკლესი. სამადლო საქმე რამ უნდა შევქნათ და სახელი ერეკლესი დავარქვათ.

რა საქმეა იმისთანა, რომ მით საუკუნოდ ხსენებულ იყოს სახელი განსვენებულის მეფისა? ბევრ-გვარი გაჭირვება გვიძევს წინ და ძნელია კაცმა ერთი ისე ამოირჩიოს რომ მეორე არ გაჰნანდეს, მეორესთვის გული არ ეტკინოს. სახსარი კი ცოტაა. აი, მაგალითად, გუშინ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტაძარი მცხეთისა შესაკეთებელია, წვიმა ჩამოდის, და ლამის ეს ძველი ნაშთი ჩვენის დიდებისა დაირღვას, და ჩამოიქცესო. განა გულ-გასაგმირავი ამბავი არ არის ესა? მაგრამ რით უშველოთ? რა გზა და სახსარი გვაქვს ამისათვის? მეორეს მხრივ, მოდით და ამისთანა ამბავს ყურს ნუ ათხოვებთ! რა ვქნათ? მეტი გზა არ არის, ბევრ

გაჭირვებიდამ ერთი იმისთანა უნდა ავირჩიოთ, რასაც ჩვენს ღონეს გავაწვდენთ და სხვა ყოველი გაჭირვება გულის-ტკენით და ნანვით ჯერხანად თავისს სვე-ბედს უნდა მივაჩემოთ.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ ერთი კარგი სარჩიელი დაუყენა თვალწინ ჩვენს თავად-აზნაურობას: არწრუნისსეულის ქარვასლის შემოსავლიდამ, რაც ხარჯს გადარჩება, ყოველ-წლივ გადაიდოს რამოდენიმე ნაწილი და ამ-გზით შეგროვდეს იმოდენა ფული, რომ მისის სარგებლით შემწეობა ეძლეოდეს ღარიბ მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებელში. აზრი მშვენიერია, ადვილად ასასრულებელიც, შეტის-მეტად სასარგებლო და განსახორციელებლად დაუყონებლივ საჭირო. ამ ფულს დაერქმევა სახელი მეფის ერეკლესი. რა თქმა უნდა, არც უმისობა იქნება, რომ გარეშე კაცთაც ამ მართლა სამადლო საქმეს თავისს შეძლებისა-გვარად თავისი წვლილი არ მოაწოდონ, ოღონდ-კი თავადაზნაურობამ სარჩიელი თ. ივ. სულ. ჭავჭავაძისა მიიღოს და საზოგადოებას გაზეთების შემწეობით ხმა მისცეს, რომ შემოსწირონ რამ, და იმედია, რომ ეს არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოში.

თუ ეს საქმე შეასრულა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ქამთა-გაუთავებელი საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნება მეფის ერეკლისა, რადგანაც თავნი ფულისა უსათუოდ ხელუხლებლად დადებული იქნება, მარტო სარგებელი წავა. ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად, და ამ-სახით წყარო განუწყვეტლად ედინება ქამთა დათავებამდე. აი, ჭეშმარიტად მადლიანი საქმე და ღირსი მისის დიდის სახელისა, ვისიც საუკუნოდ ხსენება ასე სანატრელია ჩვენთვის და ვისთვისაც საქართველოს შვილთა განათლება და სწავლა-ცოდნით შემოსვა დაუძინებელი სურვილი იყო.

ამისთანა საქმეში სათნოება მადლისა და დიდება სახელისა ხელი-ხელ ჩართულნი იქნება და-ძმურად. მადლი თავისს სათნოების დიდებისთანას სხვას უკეთესს და უტურფესს ამხანაგსა და თანამგზავრს ვერ უშოვით, და დიდებას სათნოებისთანას. სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა. ამ ნეტარებას ნუთუ დავიშურებთ იმ კაცის სახელისათვის, ვინც ორმოც-და-თორმეტი წელიწადი „რკინის კარი იყო საქართველოსი!..

ამისთანა სახსენებელი ანდერძს ეგვანება, იმ ანდერძს, რომელიც ისაქმებს ჟამთა დაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა. ისაქმებს იმ დიდ-სათნოებიან საქმითა, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან და რომლისთვისაც ისე გულდადებით და გულის-ტკივილით იღწვოდა აწ განსვენებული გვირგვინოსანი, რაც შეეძლო, როცა დრო და ჟამთა ვითარება ათასში ერთხელ ამისთვის მოაცლიდა. ეს ხელთუქმნელი მაგრამ დიდად საგრძნობელი სახსოვარი თავისთავად იღაღადებს დღე-მუდამ, რომ საზელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამაპაპათა, — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღეს-აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც — კი იპოვონ, რომელ-

საც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვაგლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გაძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა. თვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპი-

რისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

[31 დეკემბერი, 1899 წ.]

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 3

წერილები ლიტერატურაზე

ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედა 13
საქართველოს მოამბეზედ 31
ზოგიერთი რამ 45
პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ . . . 55
წვრილები ქართულ ლიტერატურაზე 59
სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე 91
სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 94

პუბლიცისტური წერილები

ოსმალოს საქართველო . . 97
შინაური მიმოხილვა . . 102
ვისს ნათესსა ვმკით? . . 115
კატკოვის პასუხად . . 120
ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო . . 126
ქართველი სტუდენტობა რუსეთში . . 140
დავით აღმაშენებელი 144
ერი და ისტორია 149
აი ისტორია . . . 154
რა გითხრათ? რით გაგახაროთ? . . . 162
ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან 166
ეცხრამეტე საუკუნე 172

Чавчавадзе Илья Григорьевич
ПИСЬМА

(На грузинском языке)
«Накадули», Тбилиси, 1987

რედაქტორი ნ ი ნ ო დ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
მხატვარი ჯ. ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი გ. ღ ლ ო ნ ტ ი
ტექნიკური რედაქტორი მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე
კონტრ.-კორექტორი თ. შ ი ნ დ ა გ ო რ ი ძ ე
კორექტორი ნ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი

გადაეცა ასაწყობად 13.03.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.08.87. ანაწყობის ზომა 6×8,5. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,23. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 10,58 საღრ-საგამომცემლო თაბახი 8,33. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 4052

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира, 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР, г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.